ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№7 (61) ივლისი, 2018 წელი ფასი 2 ლარი

ლექსები

გიორგი ლობჟანიძე
ლელა სამნიაშვილი
დათო ქარდავა
თეა თოფურია
დავით ჩიხლაძე
ნანა აკობიძე
შოთა იათაშვილი
გიო ლომიძე
ვლადიმერ აფციაური
ნათია გიორგაძე
ფარნა კორინი
ეკა ჟურხული

პოემები

მირიან ეგანოიძე
ზაზა ბიბილაშვილი
დიმიტრი ნიკლაური

ახალი თარგმანები

ვლადიმირ მაიაკოვსკი
მიშელ უელბეკი
ნიზარ კაბანი
ტონუს ოსტერჰოფი

№7 (61) ივლისი, 2018 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: გიორგი ლობჟანიძე, ლელა სამნიაშვილი, დათო ქარდავა, თეა თოფურია, დავით ჩიხლაძე, ნანა აკობიძე, გიო ლომიძე, ვლადიმერ აფციაური, ნათია გიორგაძე, ფარნა კორინი, ეკა ქურხული, მირიან ებანოიძე, ზაზა ბიბილაშვილი, დიმიტრი წიკლაური, ნინო ქოქოსაძე, ლელა კოდალაშვილი, გიორგი ეკიზაშვილი, გიორგი ლობჟანიძე, დავით ღოლიჯაშვილი, ზვიად რატიანი

გამომცემლობა «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

1. ლექსები

გიორგი ლობჟანიძე

პოეზია

გაანჩხლებული მოხუცი ქალი,
რომელსაც ასი ახალგაზრდის
ენერგია აქვს,
გაავებული შემომცქერის
სამარშრუტოში
და ჰგონია,
რომ სწორედ მის ადგილს ვიკავებ...
ხანდახან
ზუსტად ასე ვუყურებთ
ერთმანეთს
მე და პოეზია...
მე დაღლილი
ვარ
და განძრევის თავი არა მაქვს.

თავისუფლება

მიიზლაზნება დრო სიცხეში, მაგრამ რაკი ჟამს
პეპლად ქცევისა კვლავ უცდიან მატლის ჭუპრები,
მინდა გახარო: ჩემმა გულმა ხელი გაგიშვა
და შეგიძლია, დატკბე სრული თავისუფლებით.
შენ მხოლოდ სივრცეს აღიქვამდი ხრამის კიდიდან,
და არც კედელი აღარ ჩანდა თეთრი საგიჟის...
ნუ გეშინია:
ასეთია თავისუფლება!
მე მხოლოდ ის ვქენ,
რაც გინდოდა:
ხელი გაგიშვი!

* * * (როგორ ღრმად მჭრის ეს გაზაფხული...)

როგორ ღრმად მჭრის ეს გაზაფხული,
თითქოს დანის პირზე დავდივარ...
წარსული სიზმრებს ჩაუჟონავთ,
როგორც წყალი უდაბნოს ქვიშას...
მომავალი, წინ, სიბნელეში,
ვარსკვლავივით რომ ანათებდა,
მტაცებლის ორი თვალი აღმოჩნდა,
დაიმსხვრა
და ლაყე კვერცხივით
აუშვა სუნი...
დამსხვრეული ნაჭუჭიდან
შეუმდგარი წიწილა წივის –
სიყვარული,
კვერცხშივე რომ გაულაყდა
უნიათო კრუხს
და წიწილად ვერასოდეს გამოიჩეკა.
მე გიხსენებ:
როცა შენი ძუძუები
სიბნელეში
ნაღვერდალივით მეჭირა ხელში,
რაღაც საშიშად შიშინებდა.
თურმე: ჩემივე ხელისგულები...
აი, ისინიც! –
ზედ მთლიანად ამოსწვიათ
მომავლის ხაზი,
ბოზი გოგოს წინდასავით წასვლიათ თვალი
და ბედისწერაც
ვერ ამოიყვანს...

ჩვენ კი, ქვემოთ...

იმ დილით, მე და ჩემი პატარა გოგო
ფანჯარაში ვიყურებოდით...
მზეს შევხაროდით
და ნელ-ნელა ვიღვიძებდით
ახალი დღის
მამაშვილურ ნეტარებაში,
რომ ჩვენ თვალწინ
მოპირდაპირე კორპუსის
მერვე სართულის ზღუდეს
უცებ ყვავილის ქოთანივით
მოსწყდა რაღაც
და ძირს დაეშვა
მოცახცახე წვიმის წვეთივით.
როცა მივხვდი,
რაც ხდებოდა,
ბავშვს თვალზე ხელი ავაფარე,
რომ დამეფარა,
მე კი თავი ვერ დავიცავი,
და ბოლომდე შევცქეროდი,
როგორ დაასკდა
ასფალტს ზურგით
მშვენიერი
ქალის სხეული.
მერე ძირს ხალხი აირია
და მეც სასწრაფოდ იქით დავეშვი,
მისაშველებლად,
თუმც ვერ გავბედე მიახლოება
და შორიახლო
ვიდექ სეირის მაცქერალივით...

გამწარებული გაჰყვიროდა შუახნის ქალი
(ალბათ, დედა აივნიდან გადმოვარდნილის),
ძირს გორავდა
და თავს ასფალტს ურახუნებდა:
დავიღუპე, დავიღუპეო! –
მშველელს უხმობდა
მშველელი კი არვინ ვიყავით...
სასწრაფო მართლა მალე მოვიდა
და მომაკვდავი წაიყვანეს.
უბანი დარჩა,
ჭორები
და მიეთმოეთი:
“იეღოველი ყოფილა თურმე!” –
ისე მითხრეს,
თითქოს ფრენა სხვას არავის არ მოუნდება,
თითქოს ამქვეყნად სიყვარული არ არსებობდეს, –
ზურგიდან ჩუმად მბიძგებელი,
ჩასაფრებული...
საით მიფრინავს ბაბუაწვერა,
მზის სხივები რომ მოუხმობენ?
ქარი მხოლოდ მიზეზია
თუ საშუალება...
ის – სიყვარული –
ზემოთ
რჩება
და ჩვენ –
ქვემოთ, –
დაღუპულნი,
მოყაყანენი...

ჩრდილი

ხედავ, ძვირფასო,
ხედ ვიქეცი
ქალაქის პარკში.
დაგინახე,
მომინდა,
ჩემს ჩრდილში შემეშვი
და სიგრილედ გადმოგფენოდი
სიცხით შეხუთულს...
სხვანაირი ვერც იქნებოდა ეს სიყვარული...
ჩემს ასაკში მხოლოდ გასცემ
და გიხარია...
დაგინახე,
გამიხარდა შენი დანახვა,
მაგრამ სიტყვებმა მიღალატეს,
გადამეკარგნენ
და ხედ ვიქეცი,
რომლის ქვეშაც
თქვენი წყვილი
ერთმანეთს შეხვდით...
და ერთმანეთს დიდხანს კოცნიდით...
მერე შენ დანა ამოიღე
და ზედ გული ამომჭერი ისარგაყრილი
და ეს გული –
ჩემი ტანჯვით,
ჩემს სხეულზე ნაზარნიშები –
სხვას ეკუთვნოდა...

ჩვენ ყველგან მხოლოდ საკუთარი ჩრდილი დაგვყვება –
ისე ერთგულად,

ნაბიჯ-ნაბიჯ,
მოუშორებლივ,
რომ ხანდახან
კიდეც გვაშინებს...

ზამთრისპირული

უკვე იგრძნობა სიბერე, თუმცა
როდესაც მართლა ასაკში შევალ,
მხოლოდ ეს ერთი გრძნობა გამყვება
უსიხარულო დღეების მძევალს.
ჩემი თავიდან ასი ათასი
მოვალეობა ჯიკავ-ჯიკავით
მერეკებოდა...
რატომ არ შეგხვდი,
როცა ნამდვილად კარგი ვიყავი...

* * * (აქ, ამ მიწაზე...)

აქ, ამ მიწაზე,
რომელსაც ჩემი სამშობლო ჰქვია,
მშენებლები ცვივიან
ხარაჩოებიდან,
როგორც ფოთლები,
შიმშილისგან გაყვითლებულნი...
ძირს დაცემამდე
ცდილობენ,
ჰაერს ჩაებღაუჭონ,
რადგან ჰაერი
ერთადერთია, რაც უფასო დარჩა,
რასაც ყველას შეუძლია,
მოეჭიდოს
ძირს დავარდნამდე...

* * * (მთასავით ვარ...)

მთასავით ვარ.
ჩემთან ყოფნა მოსაწყენია.
დიდხანს ცხოვრება ჩემში –
თითქმის შეუძლებელი.
მხოლოდ სეზონზე მაწყდებიან
რამდენიმე დღით,
აპარატებს აჩხაკუნებენ,
სელფისათვის იპრანჭებიან
ვნებიანად თვალმინაბულ-
ტუჩმოწკურულნი...
ჩემს წიაღში ბოდიალი
სახიფათოა:
გზის გვერდით
მუდამ
ნაპრალია
ჩასაფრებული,
ბილიკების წინ წყალია,
უკან – მეწყერი...
და შენ
როგორ ხარ
ერთადერთი,
უჰაერობას გამოქცეული,
ტურისტივით რომ არ ამოსულხარ,
ჰაერს დაეძებ
და ამბობ:
არსად აღარ წავალ!
მე შენთან ვრჩები!

მსგეფსი

(მოთქმა უხმოდ თავ-ბოლო ერთი)
ორშაბათს გეტყვის:
– ამ პარასკევს უთუოდ გნახავ!
პარასკევამდე სამი დღეა
და გავიწყდება,
მას რომ კვირაში ოცდასამი პარასკევი აქვს...
თორემ სამი დღით მოცდა რაღაა?
განა რა რჩება ორშაბათიდან პარასკევამდე? –
უსიხარულო რუტინა –
ბევრი
მოვალეობის უგრძესი ჯაჭვით,
რომელიც,
რაც უფრო გრძელდება,
უფრო მოკლეა:
ზედ გიბამს
და ციბრუტივით
მხოლოდ ვიწრო რკალის გარშემო
ტრიალს განებებს...
ტრიალებ და
ნაპერწკლებივით გცვივა თავიდან
ყველა სურვილი...
სად გცალია სურვილებისთვის?
სადაგ დღეებში
შენ არა ხარ ადამიანი.
მუშაობ და
დაპირება გაძლებინებს:
პარასკევს გნახავ!
სინამდვილეში
შაბათ-კვირა

უფრო ძნელია.
მარტოდმარტო ყოფნის ორი დღე,
რომელთა შორის,
როგორც აქლემის კუზთა შუაში,
ჩაჭედილი ხარ
და ამ ორი დღის უდაბნოს ლახავ...
რომ როგორმე გააღწიო ორშაბათამდე
და კიდევ ერთხელ გაიგონო:
– პარასკევს გნახავ!

ნაფრთევი

ნუ გეშინია...
ყველაფერი თავისთავად
გასაზიზღრდება...
შენ ნუ ეცდები,
რადგან ყოფა
თვითონ,
უშენოდ,
შეძლებს –
მწერივით
გამოფიტოს
ეს სიყვარული,
გარშემო ქარვის
აკლდამები
შემოუშენოს.

სულ სამ წელიწადს თუ დააცდი,
თვითონ გამივლის
სიგიჟე,
რასაც შენთან ყოფნის
სურვილი ჰქვია.
პეპლის ფრთები აქვს
ამ სურვილს
და
დაილეწება
მტვერში, რომელსაც
გულგრილობის ცოცხებით გვიან.

ვის დაუცვია ფიცი,
ვინც თქვა:
სულ მეყვარები...

რომელი ვარდი არ დამჭკნარა
ზაფხულის მხუთრით...
ჭინჭრის ღეროზე შეყინულა
ჭრელი პეპელა,
სამი დღის ქარით
დალეწილი
ნაფრთევი უთრთის.

ცხოვრება

ეს სიზმარი –
მე რომ უკვე წყალს
გავატანე –
შეიძლებოდა,
შენთვის
მეამბო...

რას გვეუბნება

თაზოს

რის საჩუქარი? – ყველაფერი ტანჯვით გვეძლევა,
საჩუქარს კაცი ვერ მოიხმარს, ვერაფერს უზამს,
შეხედე – მთელი წლის ნანატრი თოვლი მოვიდა,
სუდარასავით გადმომემხო მარტოსულ ჰუსარს...
თვალუწვდენია გზა, სიცივის ავლია ქობა,
ისე მივდივარ, თან არაფრის მიმყვება ჯავრი,
ღამდება, თუმცა მალე მთვარე ამონათდება,
რომ საშიშ გზებს არ შემატოვოს ეული მგზავრი.
იცის ჰუსარმა: სიყვარული თუ არ გაცოცხლებს,
სჯობს, არც იცოცხლო, ჩაიმარხო ნამქერში ბარემ
და ეუბნება ეს მთელი წლის ნანატრი თოვლიც,
რომ ცაზე მხოლოდ დაისისას ამოდის მთვარე.
რომ პოეტებს და გიჟებს შერჩათ მხოლოდღა ძალა,
წუთისოფელი ქვასავით და კლდესავით კოდონ,
ვიდრე იმ კლდიდან ამოკვეთილ ჩუქურთმასავით
წყაროსთვალივით წამოგხეთქავს სტრიქონი თოთო.
დაღამებისას სიხარული უფრო მძაფრია,
იმედის ანდა სასურველი მეგობრის პოვნის,
რომელსაც ეტყვი და რომელიც ზუსტად გაგიგებს,
რას გვეუბნება მთელ წელიწადს ნანატრი თოვლი...

ლელა სამნიაშვილი

სახელები

ჩვენ გვქვია ჩვენი შვილების სახელები,
რადგან ისინი გულმა გვიკარნახა.
ჩვენი შვილების, წიგნების და კატების სახელები,
ჩვენი ანგარიშის პაროლი და მომხმარებლის სახელი,
ჩვენი ავტომობილის მარკა და კაბების ბრენდი,
კურორტი, რომელიც გვირჩევნია ზაფხულობით
და ქალაქი და ქვეყანა, რომელზეც ვოცნებობთ.
ჩვენ გვქვია ჩვენი შეყვარებულების სახელები.
და ჩვენი რჩეული მსახიობების. და საფეხბუთო გუნდების.
ნებისმიერი ბგერათშეხამება, რომელიც მოგვეწონა
საკუთარი სახელების მიღმა.
და დეპრესიული და ჭკუამხიარული ავტორების,
რომლებსაც სხვადასხვა დროს ვკითხულობთ.
და საყვარელი ხილის და ბოსტნეულის,
როგორც ჩიპოლინოს თავგადასავალში.
და თუ ცისკენაც ვიცქირებით,
პლანეტების, რომლებიც ყველაზე იდუმალი გვგონია.
ასე ძალიან შორს შეიძლება წასვლა.
ვინ შეჩერდება, ჩვენი სრული სახელები რომ მოისმინოს.
არადა, სულ გვეკითხებიან.
და ჩვენც ვიმეორებთ, ლაკონურად,
როგორც ზრდილი და გაწვრთნილი თუთიყუშები
იმას, რაც ენას ძალად გაუტკბა
და რაც სხვებმა შეგვირჩიეს
ასე, თავისთვის.

გაციფრულება

ჰაერი – სიცხისგან აფიცრული
სახლიდან არ მიშვებს.
ვზივარ, ძველ ფოტოებს ვაციფრულებ –
დროის სანიშნეებს.
ზოგი უიმედოდ გაყვითლდა,
ზოგისგან გრძნობაც არ უბერავს,
რომ სადმე, წარსულის ეზოსკენ გახვიდე
უჰაერობიდან.
ძვირფას სახეებსაც დაედოთ მიტკალი,
ქაღალდი ვერ უძლებს
ალბომის ძილ-ღვიძილს,
ნაცნობი თვალების ლოდინს და სიმძიმეს.
ფოტომიგრაცია წუთების, რომლებიც
ჯერ კიდევ მძაფრია,
გრძელდება. თითები სწრაფად მოძრაობენ
და დემოგრაფია –
ციფრულ სამყაროში იცვლება უწყვეტად.
იქ უჰაერობა
არ ერჩის ქალაქებს,
ბრტყელი სახეების მიგრანტთა თაობას.
ღიაა ეკრანი –
ცისფერი ნათება – სამოთხის ეთერი,
რომელშიც ნელ-ნელა ყველანი ვლაგდებით,
ყველანი ვეტევით –
ასე, უსხეულოდ – წლებით, ალბომებით,
ხმებით და ფერებით –
მძევლები წაშლის და შენახვის თამაშის,
სხვა მეხსიერების.

მახოს

ერთი კათხა ლუდი, მეგობარო,
ერთი კათხა ლუდი.
მსუბუქი ქაფი მის ზედაპირზე
და მძიმე სითხე, პურისა და სიმწრის გემოთი –
ყელში რომ სწრაფად ჩასრიალდება –
ეს არის ცხოვრება.
ერთი თუნუქის ქილა მიწისთხილიც –
რომ უფრო გწყუროდეს.
ერთი საფერფლე, ნამწვით სავსე,
რომ ჩანდეს უფრო ნაცრისფერი.
ეს არის ცხოვრება.
საუბარი სამყაროზე,
რომელშიც თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა,
მაგრამ არაფერიც არ არის თავის ადგილზე –
როგორც ნაძვების სულ შემთხვევით თანაბარი კენწეროები
სარკმლის მიღმა, როგორც ოთახი, მაგიდა, სკამი,
მოღიმარი ადამიანი, რომელსაც ცოტა ახარებს და
ადარდიანებს –
გონებაში ჩაბეჭდილი მისი სიცილი –
ისევ ჰყვება ომისა და მშვიდობის ამბავს
და მელომანის დაჟინებით სჯერა სიმართლის –
მუსიკაში ხომ ხშირად არის ყველაფერი თავის ადგილზე.
ცხოვრებას კი – არც მუსიკის, არც სიმართლის
არაფერი არ გაეგება.
ის ივსება უტვინო ტექნიკით, უმიზნო განრიგით.
ადამიანი ამაოდ ცდილობს, ამ ყველაფერს სული ჩაბეროს.
საგულდაგულოდ დალაგებულიც, არეულიც –
დღის ბოლოს მაინც ცარიელი ოფისია –
მთელი თავისი ინფრასტრუქტურით.

სხვისი ცხოვრებიდან მხოლოდ ეს ჩანს –
შუქი ჩაქრა,
ადამიანი სახლში წავიდა.

* * * (ცას თვალს ვერ ჩავჭიდებთ პასუხის ძიებით...)

ცას თვალს ვერ ჩავჭიდებთ პასუხის ძიებით,
მიწაც სულ პირს იკრავს, როცა ჩვენ ვხმაურობთ.
რაღაც სასწაულით თუ განვხორციელდით,
ხორცი რატომ დნება სულ უსასწაულოდ.
ათასწლეულებიც. არის და არც არის.
თვალის ხამხამია – დრო – გაშეშობანას
თამაშობს. და ისევ ისეთი ჯვარცმაა,
მაშინაც, როდესაც ასეთი შობაა.

დათო ქარდავა

არაფილოსოფიური ქვა

– ქვა თუ იზრდება?
იკითხა მეგობარმა.
პატარა კენჭი დროთა განმავლობაში ლოდად თუ
გადაიქცევა?
რა გავლენა აქვს წყლის სტიქიას ანდა ნიადაგს?
ქვა რომ შვა, იმ ქალს ეცოდინება ზუსტი პასუხი –
მუცლად რომ იღო, ის ქვა თუ ეზრდებოდა საშვილოსნოში?
სიზიფესაც ენდობოდა კაცი –
თუ გაიზარდა მისი ლოდი,
მთელი ცხოვრება აღმართ-აღმართ რომ მიათრევდა?
გაჭირვებულიც გვეტყოდა რამეს,
ყოველ ჯერზე¬ ქვა აღმართში რომ ეწეოდა.
ან ის ჯიუტი, თავის აგდებულს, თავს რომ უშვერდა.
გულქვას პასუხი იქნებოდა საინტერესო,
ქვა რომ უძგერდა იმ თავის მკერდში.
მკვდრებიც გვეტყოდნენ, რომ შეეძლოთ, საფლავის
ქვებზე,
მათ რომ დაუდგეს დარაჯებად სამარადჟამოდ.
გრანიტში გათლილ ძეგლსაც ექნებოდა რამე სათქმელი –
რამხელა იყო, როცა აღმართეს, თუ შეიცვალა?
– ქვა თუ იზრდება?
იკითხა მეგობარმა მოჩვენებითი სერიოზულობით.
– რა-ა?
გულუბრყვილოდ შეეხმიანა სხვა მეგობარი.
პასუხი იყო მყისიერი, მრავალხმიანი:
– ტრაკში ქვაა!

თევზებს წაართვეს დამხრჩვალის გვამი

წყალში დაიხრჩო, ხელოვნურ ტბაში,
ასეთ სიკვდილს არაბუნებრივსაც უწოდებენ.
ტბის ნაპირზე, ვერხვებისა და ტირიფების ჩრდილში,
ღელავდა ხალხი:
რატომ შევიდა?
ალბათ ნასვამი თუ იქნებოდა!
იცნობდა ვინმე?
დელფინივით ცურვა სცოდნია!
ვინ იცის, იქნებ, თავი მოიკლა,
ხომ გაგიგიათ, დელფინებიც იკლავენ თავს!
იდგნენ დაზაფრულები და ნაპირიდან ადევნებდნენ
თვალს,
როგორ გულმოდგინედ ყვინთავდნენ მაშველები
ხელოვნურ ტბაში,
როგორი ხმაურით უჩინარდებოდა წყალში მათი შავი
ლასტები,
როგორ ჩნდებოდა ტბის ზედაპირზე ჰაერის მსხვილი
ბუშტები,
რომლებსაც დროდადრო იმედგაცრუებული მყვინთავები
ამოჰყვებოდნენ ხოლმე,
დამხრჩვალის გვამი კი არა და არ ჩანდა.
თითქოს ვეშაპს გადაეყლაპა იონასავით და უკან
ამონთხევას არა ჩქარობდა.
„ალბათ ფსკერზე წყალმცენარეებში თუ გაიხლართა,
ტბის დაშრობა შეიძლება გახდეს საჭირო,
თევზებმა შეჭმა რომ ვერ მოასწრონ“, –
თქვა ნაპირზე გამოსულმა ერთმა მაშველმა,
სხვები კი განაგრძობდნენ დამხრჩვალის ძებნას.
მათ გარშემო გაჩენილი წრიული ტალღები მშვიდად

ლოკავდნენ ტბის ნაპირებს.
მზის ჩასვლამ წყალი ისე გააშავა, როგორც ჩაის
ერთჯერადმა პაკეტმა მდუღარე ფინჯანი.
„დაღამებამდე უნდა ვიპოვოთ“, –
თქვა კვლავ მაშველმა,
მხარზე მოიგდო თევზის სუნით გაჟღენთილი სველი ბადე
და ტბაში დაბრუნდა.
ხალხი ფეხმოუცვლელად იდგა ნაპირზე,
ელოდა სხეულის გვამად ქცევის ბანალურ სასწაულს,
ელოდა, თუმცა არ იცოდა როდის აღსრულდებოდა ეს
სასწაული,
არავინ იცოდა, მაშველები დაასწრებდნენ ტბიდან გვამის
ამოტანას თუ მზე – ტბაში ჩასვლას.
ბადემ გაამართლა – ამოჰყვა გვამი.
დამძიმებული ნავი ავისმომასაწავებლად გასრიალდა
ტბის ზედაპირზე,
ნაპირზე მყოფები ააღელვა და დააფრთხო მკვდრის
მოახლოებამ,
უკან დაიხიეს, მაგრამ ცნობისწადილმა შორს არ გაუშვა
და ამ ბრძოლაში საკუთარ თავთან
შეავლეს თვალი ნავის ქიმზე დადებულ მაშველთა
ნადავლს –
ბადეში გაბმულ გაშავებულ, სლიპინა გვამს,
რომელიც მთვარის შუქზე ისე ბზინავდა,
როგორც ზღვიდან გამორიყული მკვდარი დელფინი.

პოვნასა და დაკარგვას შორის

როცა ბავშვი ხარ,
გგონია, რომ სამყარო შენს მხარესაა,
ძალიან გიმართლებს,
ხან ფულს პოულობ,
ხან ისეთ ნივთებს, სხვას რომ იოლად გაუცვლი.
პოულობ მეგობრებს, ამხანაგებს.
არაფერი შეედრება ამ სიხარულს,
ამ დროს მხოლოდ „პოვნებისთვის“ ხარ მზად,
დაკარგვა შენს სამყაროში ჯერ არ არსებობს
ეგ მერე მოდის, თანდათანობით, როცა ბერდები,
როცა მეტს ჰკარგავ, ვიდრე პოულობ –
ჰკარგავ გასაღებს, ფულს
(ისე, ვინმემ ხომ უნდა დაკარგოს, სხვამ რომ იპოვოს),
ჰკარგავ ტელეფონს, ჯანმრთელობას, ადამიანებს
და ამ კანონზომიერებაში არსებითად ვერაფერს შეცვლი.
მახსოვს მოხუცი ქალი შეშლილი სახით,
გრძელ-გრძელ კაბებში ჩაკარგული,
გამოხვეული რაღაც ნაჭრებში,
თავსაფარებიც ეკეთა მუდამ, გრძელი ფართუკიც.
გაუჩერებლად დადიოდა თვალის ცეცებით,
მიწას ჩითავდა, თავს არა სწევდა,
ძირიდან კრეფდა ყველაფერს, რაც ფანჯრებიდან ცვიოდა ქვევით,
წრეზე უვლიდა უბნის ყველა სახლს.
რომ გაივლიდა, თამაშსა ვწყვეტდით, განზე ვდგებოდით,
ბავშვებს გვიბღვერდა და გვაშინებდა,
სულ პოულობდა მუდამ რაღაცას
ხან – სასარგებლოს, ხანაც – უვარგისს.
ფერად სარჭებით დახუნძლული ჰქონდა ფართუკი, კაბის

კალთები
და დადიოდა დღის ბოლომდე ასე მორთული.
საზარელი სურვილებით დახუნძლული ნატვრის ხესავით,
ქვეცნობიერად შიში გვქონდა ამ მოხუცი ქალის,
გვეგონა, რომ სწორედ ის იყო „გუდიანი“,
რომელიც მოვიდოდა და წაგიყვანდა,
და ახლა, როცა ბევრი წლისა ხარ
(ყველა წავიდა, მარტოღა დარჩი),
მეტად რწმუნდები,
ფანჯრიდან გადავარდნილ იმ სარჭივით ხარ,
ადრე თუ გვიან დედაბერი ხელს რომ დაავლებს,
თავის ფართუკზე მიუჩენს ადგილს და შორს წაიღებს.

ბოშა ბროწეულებით

მელიქიშვილის გამზირზე
ბოშა ქალს ისე ჩაებღუჯა დამსკდარი ბროწეულები ხელში,
როგორც ჯერ კიდევ მფეთქავი გული კანიბალს.
შავი ჭუჭყიანი თითებიდან წვეთავდა წვენი,
ისეთი წითელი, როგორც სისხლი.
გარს ეხვეოდნენ ბოშა ბავშვები,
კალთებს ახევდნენ, ზედ ახტებოდნენ და
ცდილობდნენ თითებს შორის გამოჟონილი წვენის პირით
დაჭერას.
ვერ ეტეოდნენ ტროტუარზე,
დარბოდნენ მქროლავ ავტოებს შორის,
არაფრად აგდებდნენ მძღოლების ყვირილს,
მუხრუჭების ღრჭიალს, სიკვდილის საფრთხეს,
საქმიანი ხალხის მოცდენას,
გზის პირას რომ ჩერდებოდნენ ორიოდ წამით,
სადღაც იქვე კი იდგა ბროწეულის გამყიდველი და გულით
ხარობდა,
თან მანტრასავით იმეორებდა მექანიკურად:
ეს „ვარდისფერი გულოშაა“,
ეს – „ყირმიზ-ყაბუხი“,
ადრე სხვა იდგა ამ ადგილას, სხვა ხილსა ჰყიდდა,
ატენელ მოხუცს წინ ედგა სათლი წითელ-ყვითელ
ვაშლებით სავსე –
თავისი მოყვანილი მისსავე ბაღში.
იაფად ჰყიდდა, მალე იცლიდა ხელს და მიდიოდა თავის
ატენში.
წელს აღარ გამოჩენილა,
არსად მინახავს მზისგან დამწვარი მისი შავი პირ-სახე,
დიდი ხელები, ძლიერი ქედი...

ნეტა, რა მოხდა?
ცუდი მოსავალი თუ მოიწია,
ქალაქში ჩასატანად რომ არ უღირდა.
ან იქნებ ქურდმა გამოიღო მარცხენა ხელი?
არც ღმერთის მაცნე დაგვავიწყდეს, მეხის უფალი,
ისიც ხომ იმკის თავის მოსავალს?
და მომეჩვენა, რომ ბოშა ქალი შუაქალაქში,
ბავშვებში მდგარი, ცისკენ აზიდული ბროწეულებით,
იყო ყველა მებაღის ზრუნვის საგანი,
როგორც სიცოცხლის ხე – ფესვებგადგმული მთელ
პლანეტაზე, არახენეში
და სულერთია, ვინ იდგება მელიქიშვილზე –
ბროწეულივით დამტკბარი კაცი თუ ატენელი სხვა
ბერიკაცი,
ეს ხე ყოველთვის მოისხმს ნაყოფს და არ გახმება.

ფოტო წარწერით

ძველ ალბომში ნანახი ყველა ფოტო სევდიანია,
ყველა ფოტოს ამჩნევია ტკივილის კვალი,
ყველა ფოტო იმის შეხსენებაა, რომ დროც ვერ ჰკურნავს.
დახედავ ფოტოს და ყველა ჭრილობა წამში გეხსნება,
თუნდაც ეს ფოტო 6X10-ზე, ჩემი პორტრეტი,
მეხუთე კლასში რომ გადამიღეს,
დაფაზე – „ვინ გვასახელებს“ გამოსაკრავად,
მახსოვს, ვახარე დედას,
რომ ფოტოს მთხოვდნენ ფრიადოსნებში გამოსაჩენად.
სულს ძლივს ვითქვამდი სიხარულისგან,
კალთას ვქაჩავდი, უნდა გვეჩქარა,
თავი სიზმარში მეგონა და მაშინებდა გამოღვიძება.
ფოტოგრაფს, მაშინდელი მოდის მიხვედით,
ეცვა მოტკეცილი, ჭრელი პერანგი,
დაბალწელიანი შლაქსი-შარვალი ფართო ქამრით.
ჰქონდა ყანწის ფორმის მსხვილი ულვაში,
და გრძელი, დატალღული თმიდან ჩამოზრდოდა წითური ბაკენბარდები.
დამსვა განათებულ ადგილას
თვითონ შერგო თავი შავი ნაჭრის ქვეშ,
აქ იყურეო, ობიექტივზე მანიშნა ხელით,
ჩიტის გამოფრენაზეც იხუმრა სავალდებულოდ,
ნუ მოძრაობო, კიდევ ერთხელ შემეხმიანა და გადამიღო.
მერე მადლობა გადაგვიხადა და სარდაფიდან ამოგვაცილა.
დედამ კონვერტში ჩაწყობილი ოთხი ფოტოდან ერთი ამოარჩია,
ლამაზად ჩამოაჭრა ზედმეტი ალაგი,
პორტრეტის ქვეშ, თეთრ მინდორზე მიაწერა ჩემი სახელი,

საგულდაგულოდ გამოჰყავდა ყოველი ასო, თითქოს
ქარგავდა,
ბევრს იცინოდა, გულით ხარობდა,
... მაგრამ ვერ გავხდი ფრიადოსანი,
ვერ გავამართლე ეს იმედები,
ვეღარ ავედი იმ სანუკვარ, წყეულ დაფაზე,
რაღაც საგანში სხვა ნიშანი გამომაყოლეს
და დარჩა ფოტო წარწერებით, როგორც ბრალდება,
იმ წლებისა და იმედების მოსაგონებლად.
ყველა სხვა ფოტო სადღაც გაქრა, მიმოიფანტა,
ეს კი აქ დარჩა ძველ ალბომში ჩაწებებული,
დარჩა, როგორც მარადიული შეხსენება,
როგორ ვერ გავხდი ფრიადოსანი,
როგორ დამაკლდა ძალიან ცოტა,
როგორ ვერ გავამართლე იმედები,
არ მახსოვს, მისაყვედურეს თუ გამამხნევეს,
მაგრამ რამდენი წელიც უნდა გავიდეს,
რაც უნდა გავაკეთო,
ყველა პერიოდს მოერგება ეს ძველი ფოტო –
როგორ ვერ გავხდი ფრიადოსანი ვერცერთ საქმეში.
რაც უნდა ვაკეთო,
როგორც უნდა აღფრთოვანდნენ ჩემით,
რაც უნდა მაქოს ბედისმწერალმა,
ყველა საქმეში დამაკლდება ძალიან ცოტა,
ვერ გავამართლებ სხვების იმედებს,
როგორც წლების წინ ვერ გავუმართლე საბრალო დედას.

ბავშვობის დატირება

რომ შევხვდებოდე ათი წლის ჩემ თავს –
ძალად გაკრეჭილს ჯარისკაცივით,
ცუდი ქცევისთვის დასჯილსა და ყურებჩამოყრილს,
სადმე ჩამომჯდარს კიბეებზე მოკლე შარვლით,
შიშველ ფეხებზე ამოცმული ძველი კედებით,
წვრილი ნიკაპით,
დახეთქილი მშრალი ტუჩებით,
ხელებს მოვხვევდი გაჩხინკულ მხრებზე,
ღრმად ჩავხედავდი დამფრთხალ თვალებში.
ვეტყოდი, ბიჭო, მაპატიე რომ მიგატოვე,
რომ სველ ბალიშზე ჩაძინებულს გამოგეპარე,
რომ შენს ეჭვებთან, შენს შიშებთან მარტო დაგტოვე
რას ვიფიქრებდი, სამუდამოდ თუ დაგკარგავდი
რომ სხვების მსგავსად უსაშველოდ შევიცვლებოდი,
სხვების შემყურე იმ სხვებადვე რომ ვიქცეოდი...
რომ შევხვდებოდე ათი წლის ჩემ თავს,
ცრემლით და ნერწყვით გავუწმენდდი ჭუჭყიან მუხლებს,
იდაყვზე შემხმარ სისხლს და ტალახს,
ბევრს ვიტირებდი,
წლებით ნაგროვებ დაუღვრელ ცრემლში სისხლს
გავურევდი,
ჩემ თავს ვეტყოდი, ათი წლის ჩემ თავს,
როგორ დაგკარგე, პატარა ბიჭო, როგორ მომიკვდი.

თეა თოფურია

* * * (**რა საწყალია ძლიერი ადამიანი...**)

რა საწყალია ძლიერი ადამიანი,
თუ გაუჭირდა, ვისთან დაიწუწუნებს,
ყველას მისი იმედი აქვს.
დაიბნევა და ჭკუას ვერავის ჰკითხავს,
აქეთ ეკითხებიან.
რომ გაღარიბდეს, ფულსაც ვერ ისესხებს,
მისგან სესხულობდნენ...
როგორ წვალობს ძლიერი ადამიანი,
მიედ-მოედება, წრიალებს
და მერე ღმერთს დაქაჩავს კაბის კალთაზე –
მიშველე რამე, შენ მაინც ხომ ჩემზე მეტი ხარ.

* * * (ეს ცხოვრება ერთადერთი ნამდვილი ამბავია...)

ეს ცხოვრება ერთადერთი ნამდვილი ამბავია,
რომელიც მართლა გადაგვხდა თავს,
ჩვენ კი დილიდანვე ისე ვალამაზებთ,
ისე ვრთავთ და ვკაზმავთ, ბოლოს გვერევა.
საკუთარი თავებიდან ხუთი წუთით გამოსულები,
უკან დაბრუნებისას, სხვის ცხოვრებაში შევაბოტებთ
ხოლმე.
და ვდგავართ, თითქოს შეყვარებულს წავუსწარით
ღალატზე,
ან სხვისი კარადა გადმოვქექეთ ჩვენი ტანსაცმლის
ძიებაში.
იქაც იმდენი რამე დაგვხვდა დამალული, ძალად
გაპრანჭული.
არადა, სხვასთან მაინც ველოდით ნამდვილ ამბავს,
ვინმე შინაურს.

* * * (და ეს დღეც დადგება...)

და ეს დღეც დადგება,
ყველაზე გულწრფელი დღე,
როცა სიკვდილზე კი არ დავწერ,
საკუთარი თავის ნაცვლად,
სხვებს კი არ დავხოცავ მოთხრობებში,
თვითონ ვიქნები მიცვალებული,
ცივი, ბებერი, ვალმოხდილი მიცვალებული –
საზრუნავის და ამ ფიქრის გარეშე –
ნეტავ, ახლა მკვდარი ვიყო და არავინ მენატრებოდეს.

სლოვაკეთი, მატარებელი

მატარებელი ძუნძგლიანი და გატენილი იყო.
მე ვიჯექი და გავყურებდი სლოვაკეთის მთებს,
რომლებიც საოცრად ჰგავდა ბორჯომისას
და ფანჯარაც ისეთივე ჭუჭყიანი იყო,
როგორც თბილისი-ბორჯომის მატარებელში.
ჩემ წინ მჯდარი ქერა ბიჭიც, ასე თექვსმეტის,
უხარისხო ჯინსით და გაბზარული მობილურით,
მის გვერდით ქალი, კალთაში შვილიშვილით
და ის ლამაზი ქერა გოგოც,
ყველანი ისე ჰგავდნენ
თბილისი-ბორჯომის მატარებლის მგზავრებს,
თითქოს ვაგზლის მოედანზე ჩასხდნენ ამ ვაგონში
და ახლა რატომღაც სლოვაკურად ლაპარაკობენ.
მე კი გავყურებდი ფანჯარას, რომლის მიღმაც დღე
გადიოდა
და არაფერზე არ ვფიქრობდი.
და ახლა ვფიქრობ, შეცდომა იყო არაფერზე ფიქრი.
უნდა მომეფიქრებინა და მემოქმედა.
უნდა გავმართულიყავი წელში,
გამეყარა თვალი-თვალში მგზავრებისთვის
და ჩემი თავანკარა ქართულით მომეყოლა ჩემი ამბავი:
როგორ მიყვარდა და არ მიყვარდა,
როგორ ვინანე და დავაშავე, როგორ მშურს, მძულს
და მშია კიდეც ან მეძინება...
ყველაფერი, რასაც ვერაფრით ვყვები მათთან,
ვინც ქართული იცის,
რადგან ან იცინიან, ან სულელურ რჩევებს მაძლევენ,
ან უხარიათ, რომ ბოლოს და ბოლოს მეც გამიჭირდა,
ფიქრობენ, ასეც მომიხდება, ჯერ სადა ვარ, შენ მერე ნახე.

მოკლედ, ათას რამეს ფიქრობენ...
და მეც უნდა მეფიქრა და მომეფიქრებინა,
მეც უნდა შევშვებოდი სლოვაკეთის მთებს
და მატარებლის გაჩერებამდე
მელაპარაკა ამ დალოცვილ ენაზე,
რომელიც ცოტამ იცის და ვერავინ გაიგებს
და რომელზეც შეგიძლია გული ისე მოიოხო,
შენი საიდუმლო შენთან დარჩეს.

დავით ჩიხლაძე

ელე-მელე

[1]

საქანელითგან მოერთვის
სუმბულნი აღბულახისა
მელა-ბრწყინვალეც მორთულა
სამკაულებით ბაღისა
მისი სიცილი მოლხენა
ვით ზარი წკრიალა ხმისა
თანა სდევს საყვირთ მორბენალთ
მთის ბილიკებით ღამისა
ელე-გოგონას კრებული
ყვავილთა შვენის მდელოსი
ლაჟვარდებს მოფარებული
მზიური საქართველოსი
ზამბახი სივრცეს უმღერებს
ფოთოლს მოიტანს ნიავი
ელეს და მელეს სუფრაზე
უტკბესი მტევნებიანის

ელეს ჰყავს მხევალთ კრებული
ღვთიური მარწყვის მეკონის
ყაყაჩოს დასიზმრებულის
ბინდით შემთვრალი მეგობრის
მარწყვი კი იქვე გზის პირად
წვიმით იხარებს ნაყოფი
სად დღე-ღამესა აქვს ბინა
საზღვარზე ყოფნა-არყოფნის
ამშვენებს გოგო-ელესა
მარწყვი და მეკო ორთავე
ამოიყვანენ გველებსა

სამკაულებით მორთავენ
მიაგებებენ ძველ ჰანგებს
ორრქიან მთვარეს ცისკრისას
ელეს ვერავინ მიაგნებს
ზეცის ბორბალზე მიჰქრისა
დილით კი მარწყვი ყაყაჩო
უსმენენ შრიალს მდელოსი
როცა ხეხილში თამაშობს
მზის სხივი საქართველოსი

ნანა აკობიძე

რეკვიემი გარიცხულ პოეტზე

დღეს პოეტს ჩავურიცხე ჰონორარი –
არც ისე ბევრი და არც ისე ცოტა
(არც იმდენი – ასე ამბობენ ჩემს ენაზე).
პოეტის ჰონორარი ყოველთვის ასეთია:
ბევრსა და ცოტას შორის გამოკიდებული,
უხერხული შორისდებულივით.

ამ გახსენებაზე: მეც პოეტი ვარ.
ბოდიში: ყოფილი პოეტი,
რომელსაც ოდესღაც ჰონორარს უხდიდნენ.
დღეს მისი გვარი მსხვილ გადამხდელთა სიაში წერია,
სახელმწიფო ტენდერში მონაწილეთა თეთრ სიაშიც,
მაგრამ პოეტების სიაში დიდი ხანია აღარ ირიცხება...

მე გარიცხული პოეტი ვარ.
შეუფერებელი საქციელისთვის სიიდან ამოშლილი.
ლექსების მაგიერ ბიზნეს-გეგმებს ვწერ და
მოგების გადასახადს პატიოსნად ვუყოფ სახელმწიფოს.
ხმაურიანი მანქანის მშვიდი ჭანჭიკი ვარ,
ადრე, პოეტობისას, პირიქით იყო:
მშვიდი მანქანის ხმაურიანი ჭანჭიკი ვიყავი...

მე დავიწყებული პოეტი ვარ.
მალე გუგლშიც არ მოიძებნება ჩემი ლექსები.
აღარც – ამ ქალაქში: ერთადერთი სახლი,
რომლის კედელზეც გრაფიტით ეწერა ჩემი ლექსი,
დაანგრიეს და
ახლა ის ადგილი სარძევე კბილივითაა ამოღებული –
მუდმივი კბილის – სართულებიანი კორპუსის ჩასასმელად.

ის დანგრეული ლექსი პოეტზე იყო,
რომელიც ჩიტს ჰგავს და ხან არის, ხან არ არის.
მე ვერ ვიქეცი ასეთ ჩიტად:
უწონობასა და წონას შორის გავაკეთე არჩევანი.
საპროტესტო ტრანსპარანტები ჩამოვხიე ჩემივე
კედლებიდან,
პიჯაკი ჩავიცვი, ახალ ჰაიკუებს – ინვოისებს ვწერ და
– რით გემსახუროთ? ვუღიმი ხის კაცუნებს.

ასეთია ბებერი პოეტის ამბავი,
რომელსაც თავი დაავიწყდა, სხვებმა კი შეიძულეს:
პირველ რიგში იმათ, ვისაც
ხელფას-ჰონორარებს უხდის და უხდიდა,
ანდა მომავალში აუცილებლად შეიძულებენ
ცოცხლებიც და მკვდრებიც,
რადგან ასეთია ახალი პოეზია:
მიცემული არასოდეს არაა ბევრი, ყოველთვის ცოტაა.
არც იმდენი – როგორც ჩემს ენაზე ამბობენ...

ისე, ყოველი შემთხვევისთვის

მინდოდა მეთქვა, რომ მალე დაბერდები.
თუმცა შენ დამასწარი და უკვე დაბერებული ზურგი მომიშვირე,
იეროგლიფებად ამოჩრილი ხერხემლის მალების წასაკითხად.

მინდოდა, მეთქვა, რომ შენი საათი გაჩერდა,
ეს მაშინ მოხდა, როცა დაძრული მატარებელი გააჩერე და
ჩემ მაგიერ ტუჩებგადღაბნილი გამცილებელი შეგეფეთა.

მინდოდა მეთქვა, რომ არა მარტო დაბერდები –
მოკვდები კიდეც და წარმოვიდგინე ჩემი თავი შენს ჭირისუფლად,
როგორც შენ თქვი – სულიერ ცოლად.

მინდოდა მეთქვა, როგორი იქნებოდა პროცესია,
შენსავით მოწყენილობისგან წელმოწყვეტილი და
სამგლოვიარო კალათაზე შემოყოლებულ ხავსს
მოჭიდებული.

მე ვიყავი ხავსი, მაგრამ შორს – სხვის კედელს მოდებული,
სიკვდილი კი იქვე იდგა, შენს ფანჯრებთან და
შენი სახლიდან გამოსულს, ქუჩის კუთხემდე მაცილებდა.

ეს მინდოდა მეთქვა მაშინ, როცა ჩემი გულისთვის
ქალაქის დანგრევა ახსენე და ისიც თქვი, რომ მალე
დაბერდები,
მაგრამ ვერ გითხარი – ჩამოხრჩობილის ოჯახში თოკზე არ
ლაპარაკობენ.

მით უფრო, თუკი თოკი საფლავში ჩააყოლეს და
მისი ერთი ბოლო მიწის ზემოთ დატოვეს –

ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

როცა გმარხავდნენ, მეძინა შინ
მეძავი იყო,
მაგრამ ისეთი,
სულ მინდოდა, ხელზე მეკოცნა.

ნეტა თუ აკოცე, მიწადაყრილო, და
თუ იაქტიურე იმ მარხვაში...

შენ რომ გმარხავდნენ,
მეძინა შინ და
ქვისკენ პირი მიქნია-მეთქი, ვლოცულობდი.

მხოლოდ ახლა გავიღვიძე და
დამალობანას სათამაშოდ მოვედი.
წიფლის კუბოკრულ კედელზე გიკაკუნებ.

როცა გეტყვი ი – გამოდი.
როცა გეტყვი ე – არ ამოხვიდე –
უკან ჩაბრუნება გაგიჭირდება.

ჩარტყმული უარი

ეს სასაზღვრო გამშვები პუნქტია.
მხოლოდ ერთი ნაბიჯი მაქვს დარჩენილი და – გადავალ,
მთავარია, ამ დროს უკან არ მოიხედო,
მაგრამ ვიხედები...

უარს მირტყამენ პასპორტში და ვბრუნდები,
მაგრამ აქაც უარი მაქვს ჩარტყმული.

როგორ შეიძლება, არსად იყო,
მაშინ, როცა გაქვს პირადი ნომერი –
შენი არსებობის უტყუარი დასტური, და სახლი,
რომელიც დგას ზუსტად შენსავით:
მორყეული ბალავერით, გადაღებილი ფასადით და
რეესტრის ნომრით;
ხანდახან, როცა შექანდება და მერე ისევ წელში
სწორდება,
ნიშნავს: მასაც უარი აქვს ჩარტყმული...

ვყიდი სახლს

ვყიდი სახლს.
ვუთითებ ნომერს
და ვთიშავ ტელეფონს...
ასე უფრო ადვილია:
არავინ იკითხავს:
რამდენი კვადრატული ბედნიერება მქონდა ამ სახლში,
რამდენი – ცენტრალური სითბო;
რამდენი – სველი წერტილი თუ ბალიში...

ვყიდი სახლს;
ძვირია ჩემი ქონება.
მხოლოდ ჩემს ხელში აქვს ჩალის ფასი,
რადგან რაზეც დგას,
დედაბოძი კი არა,
განასკვული თოკის დამჭერია,
საჭირო დროს რომ ჩამოვქაჩო.

* * * (აღარ თქვა ეს სიტყვა – მომენატრე...)

აღარ თქვა ეს სიტყვა – *მომენატრე;*
ნიშნავს:
ჩიტები სხედან დენის მავთულზე და
მაღალ ძაბვას კენკავენ ჩემი ხელებიდან,
სადაც დასრესილ პურთან ერთად
მსგავსი სიტყვები მაყრია ხორკლებად;
ჩიტებს უჭირთ მათი მონელება;

აღარ თქვა ეს სიტყვა – *სიყვარული;*
ნიშნავს:
ბავშვები თამაშობენ დახუჭობანას.
სამალავებში ეშვებიან, როგორც ჭებში,
და მე ვშეშდები – მეშინია, არ მიაგნონ იმ ჭას,
რომელშიც მე ვარ ჩამარხული და ვყვირი:
ბავშვებო, გამოდით!

არ თქვა ეს სიტყვა – *შეხვედრამდე;*
ნიშნავს:
საშობაო სანთლები აღარ ენთება ჩემს ფანჯრებზე,
რადგან ფანჯრები – უკან ჩაბრუნებული თვალებია,
საკუთარ ტყავში მომზირალი.
ნიშანი კი წაშლილია,
ბოლო მგზავრი რომ უნდა მოეყვანა ჩემამდე.

აღარ თქვა ეს სიტყვები!...

შეაგროვე, გასანთლე და მარყუჟი გამონასკვე –
შემინახე იმ დროისთვის,
როცა ჩიტები
აღარ აკენკავენ დასრესილ პურს ჩემი ხელებიდან,

ბავშვები იმ ჭას მიაგნებენ,
ბოლო მგზავრს კი ნიშანი მიეცემა...

შოთა იათაშვილი

* * * (დაბერებულა ჩემი ძველი მეგობარი...)

დაბერებულა ჩემი ძველი მეგობარი,
თმაში ჭაღარა შეპარვია,
თავის მოკვლა გადაუწყვიტავს.
ამოვედი,
მოვეფერე,
ჩავაძინე,
ცივი ხელი მომიჭირა
და დამშვიდდა თანდათანობით,
ხელი გათბა,
გადავიტანე ხელი ლოყაზე,
მითხრა, გვერდით მომიწექიო.
მივუწექი,
თბილი ხელი თბილ ლოყაზე დავუტოვე,
ამოუშვა თბილი სუნთქვა,
სადღაც გაუშვა მწარე დარდები...
დაბერებულა ჩემი ძველი მეგობარი...
ლოყაზე ედო ჩემი ხელი,
დავყურებდი,
ულვაშები სულ ციცქნაზე წამოზრდოდა,
მაგრამ – ჭაღარა,
ღრმად სუნთქავდა,
დაღლილი იყო,
ჩავეხუტე და დავიძინეთ...
მივხვდი, რომ მეც დავბერებულვარ...
ხელი ლოყის ქვეშ იდო და იდო,
ხან გვეძინა,
ხან ვიღვიძებდით,
ხან შამპანურს ვსვამდით
ორი დეგენერატი,

მაგრამ როცა კვლავ იძინებდა,
მივუწვებოდი,
ხელს ლოყის ქვეშ ამოვუდებდი,
და ვფიქრობდი,
დაბერებულა ჩემი ძველი მეგობარი,
თავის მოკვლა გადაუწყვიტავს...

* * * (როცა არ გჯერა...)

როცა არ გჯერა,
რომ თავს იკლავს ადამიანი,
და თან იცი, რომ
ხანდახან იკლავს...

როცა ჩართავს ერთ სიმღერას და
ათასჯერ უსმენს,
მერე კი რაღაც შესძულდება და
გადაწყვეტს, რომ
თავი მოიკლას...

გჯერა ამისი,
და არც გჯერა,
ერთხელ შეგემთხვა:
მართლა მოხდა,
და დაივიწყე,
რადგან ამით ვერ იცხოვრებდი,
და მას მერე დასდევ ყველას,
ვინც მოინდომებს თავის მოკვლას.
საცოდავი ხარ ამ რბოლაში,
თუმც ხანდახან –
გამარჯვებულიც.

ხალხი დარბის,
რომ თავი მოიკლას,
და შენც დაქრიხარ,
რომ მიასწრო, გაუღიმო, გადაარჩინო.
მძიმე სპორტია,
არც ზაფხულის
და არც ზამთრის ოლიმპიადის.

თავს იკლავს ხალხი,
ან არ გამოსდის,
შენ ცდილობ, რომ არ
გამოუვიდეთ.

მე მოცეკვავე გოგოებთან ვმეგობრობდი

ჩვენ კაფეებში ვსხდებოდით და ვლაპარაკობდით
ისინი ამ დროს ჩვეულებრივი გოგოებივით
გამოიყურებოდნენ
საერთოდ არ ცეკვავდნენ
ჭამდნენ იცინოდნენ და თავიანთ ჩანთებში იცქირებოდნენ
მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ ისინი მოცეკვავე გოგოები
იყვნენ!
მოცეკვავე გოგოებს მოსწონდათ ჩემთან სეირნობა
მოსწონდათ ჩემი აზრების მოსმენა
ისინი ხანდახან სიამოვნებისგანაც კი შეჰკივლებდნენ
ხოლმე
ან ხმა აუკანკალდებოდათ და თვალზე ცრემლი
მოადგებოდათ.
ჩემთან ერთად თითქმის ყოველთვის იყო ერთი მოცეკვავე
გოგო მაინც,
ზოგჯერ ორი, სამი, ოთხიც კი.
მე მათთან არასდროს ვცეკვავდი და არც არასდროს
ვიწექი მათთან.
მე ხანდახან ჩავეხუტებოდი მოცეკვავე გოგოებს
და უბრალოდ მიხაროდა მიხაროდა რაღაც
ხანდახან პირიქით, მოცეკვავე გოგოები ჩამეხუტებოდნენ
მე
და მათაც რაღაც უსაშველოდ უხაროდათ.
კარგია როცა მოცეკვავე გოგოდ იბადები
და ალბათ უფრო კარგია, როცა მოცეკვავე გოგოებთან
მეგობრობ.
მე მთელი ცხოვრება მოცეკვავე გოგოებთან მეგობრობაში
გავატარე.
სამყარო რამდენიმეჯერ დაინგრა და თავიდან აშენდა

მე სამყაროს ამ ნანგრევებს მივათრევდი ყოველდღე და სადღაც ვაწყობდი
მერე დაღლილი ვწვებოდი, ვიძინებდი და მოცეკვავე გოგოები მესიზმრებოდა
დილით საყვირის ხმა მაღვიძებდა
წამოვხტებოდი და ვიწყებდი ნანგრევების ერთმანეთთან მიწებებას
მშრომობდი პატიოსნად
მუხლჩაუხრელად თავდადებით
და ამიტომ უცებ ჩემთან მოდიოდა მოცეკვავე გოგო და მეუბნებოდა:
შენ კარგი ბიჭი ხარ,
წამოდი ახლა, გავისეირნოთ
მერე სადმე შევჭამოთ ნაყინი დავლიოთ ღვინო
ის არ ცეკვავდა მაგრამ მე გული შემიფრთხიალდებოდა ამ დროს
რადგან ვხვდებოდი, რომ ის მოცეკვავე გოგო იყო!
ერთხელ ჩემს ცხოვრებაში უცნაური გოგო გაჩნდა
მე დავიწყე მასთან ერთად სეირნობა სიარული კაფეებში ცხოვრება
მაგრამ ეს ძალიან სხვანაირი იყო
თითქოს ძალიან ნაცნობი მაგრამ მეტისმეტად უჩვეულოც
მერე ამ გოგომ იმღერა და წავიდა, გაქრა
მე დავსევდიანდი და ასეთი სევდიანი
დავათრევდი დილიდან საღამომდე სამყაროს ნანგრევებს
სანამ ჩემს ცხოვრებაში ისევ არ გაჩნდნენ მოცეკვავე გოგოები
და არ გააგრძელეს ჩემთან მეგობრობა.
ამბობენ, რომ მოცეკვავე გოგოებს აქვთ კარგი ტანი
გრძელი ფეხები ვიწრო წელი დახვეწილი მიხვრა-მოხვრა
რომ ისინი არიან ყელშეღერებულები და მსუბუქები
ბევრი ამბობს ამას და ალბათ ასეცაა

მაგრამ მე ეს არ ვიცი
მე ვიცი მხოლოდ ის, რომ მოცეკვავე გოგოები არიან კარგი მეგობრები
და მე მთელი ცხოვრება მოცეკვავე გოგოებთან ვმეგობრობდი!

მუდამ თანამედროვე ადამიანი

ყველა ადამიანი ყველაზე თანამედროვე ეპოქაში იბადება
და ცხოვრობს
და ყველა ბედნიერია იმით რომ უფრო ადრე არ მოევლინა
სამყაროს –
უფრო განუვითარებელ უფრო სასტიკ და უფრო ჭუჭყიან
დროს
„გამიმართლა“ – ფიქრობს იგი
რა საშინელება იქნებოდა ინკვიზიციის ხანაში რომ
გავჩენილიყავი
რა საშინელება იქნებოდა მე-18 საუკუნის აქოთებულ
პარიზში რომ მეცხოვრა
რა საშინელება იქნებოდა ლენინგრადის ბლოკადაში რომ
მოვყოლილიყავი
მაგრამ ძველი დრო ის დროა, რომელშიც არასოდეს
ჩნდება ადამიანი
ადამიანი მუდამ ახალ დროში ჩნდება და ის ბედნიერია
ამით
უხარია ცხოვრება და ცივილიზაციის ახალი წარმატებები
ის მუდამ წინაა წასული
ის მუდამ ფიქრობს რომ ყველას გადაუსწრო და იმ
წერტილამდე მიაღწია
სადამდეც დღემდე არავის მიუღწევია

ყველა ადამიანი ყველაზე თანამედროვეა
ყველაზე თანამედროვე ეპოქაში კვდება და
ადგილს უთმობს ასეთსავე ყველაზე თანამედროვე
ადამიანს

ცა სხვებზე უფრო შორს მქონდა

ტრისტან მახაურს

მოკლე ფიცარი მეყოფა,
მიწასაც მოკლეს დავიჭერ,
არასდროს ვეხეთქებოდი
მე ხომ ისედაც თავით ჭერს.

მოკლე ნაბიჯით გრძელ გზებზე
მგელს დავყვებოდი ძუნძულით,
მთაში მეკავა სამეფო,
თბილისში მქონდა კუნძული.

ტყავის შავ ჩანთას დღემუდამ
დავატარებდი თოფივით,
ვესროდი ყველას კაფიებს
სევდიდან თავგაყოფილი.

ლექსებს შევრეკდი წიგნებში,
ხარსა და ძროხას - ახორში,
ცა სხვებზე უფრო შორს მქონდა,
მიწა კი სხვებზე ახლოში.

არ მეყო მოკლე სიცოცხლე,
თუმც მეყო მოკლე ფიცარი,
იხუმრეთ, ვინც აქ დარჩით და,
გავართობ მათ, ვინც იქ არი.

გიო ლომიძე

* * * (ადამიანებს ბუმერანგები ისვრიან...)

ადამიანებს ბუმერანგები ისვრიან;
მთვრალები ფეხებს ერევიან;
ყველა განედს ეკვატორობა სურს;
მიწა ეყრდნობა ტერფებს;
ყველას – ვუგებთ, ვუყვარვართ;
ყველა – გვებრძვის და გვივიწყებს;
გვნახულობს სიზმარი;
გვირჩევს მიმართულება; გვისახავს მიზანი;
ვათბობთ ცეცხლს; ვანათებთ მზეს;
ვახარებთ ბედნიერებას;
გვიღებენ ვალები, მერე აღარ გვიხდიან;
ბგერებს ესმით ჩვენი; სამყარო გვხედავს;
არომატებმა ჩაგვისუნთქეს;
ასაკს ვემატებით; მუხლებს ვეკეცებით;
ხეები გვჭრიან; ატომმაც გამოგვიგონა, მერე გამოგვიყენა;
განგაშის ზარმა ჩამოგვკრა;
სოლიდარობას არ ვემეტებით ერთმანეთისთვის;
გვქაჩავს ნაფაზი; ნარკოტიკი გვიჩხერს;
შრომას ვეთაკილებით; მათხოვრობა პატივს გვცემს;
ცხოვრებას ვეზარებით;
გვქმნის და გვინარჩუნებს კულტურა;
შარი გვეძებს; ძალადობენ;
ვიპყრობთ ჩრდილოეთს; ვემეგობრებით დასავლეთს;
გვეძებს ღმერთი; გვაშენებენ ეკლესიები;
გვიმონებს დოგმა და სიხარბე;
სიმშვიდე ვერ პოულობს ჩვენში ადგილს;
რევოლუციებს ვიზიდავთ; ქართველობა ჩვენით ამაყობს;
გვახარისხებენ; ვძულვართ ინტელექტს;
ვეხალისებით ბრაზს; რევანში კმაყოფილდება ჩვენით;

დრო გვხარჯავს და მაინც უნდა გვწამდეს რომ ღმერთს ვიხსნით…

სიმშვიდის პაროდია

ამოსატუმბია ჩემში დაგროვილი უჰაერობა,
მუდმივ შინაგან სიმჭიდროვეს რომ იფართოებს.
რატომ იმუქრებიან მატარებლის ვაგონებში,
განაპირა ადგილებიდან, ჩემი მსგავსი არსებები
ყოველდღიურობით გაფითრებული გამოხედვითა
და ყელში ამოსული ერთმანეთობით?
ვხედავ, მათი ყურებიდან გადმოკიდებულ
მინიატურულ ბაგირებზე
როგორ მიძვრებიან თავებისაკენ უშედეგოდ
მუსიკალური ჟანრები
და მათსავე ზურგჩანთებიდან გაუჩინარებულ
ხვალინდელ დღეებს ჩაბნელებულ გვირაბში
გაფითრებული ნესტით ვთხუპნი.

უელბეკს

ახირებული კაცი ყოფილხარ, მუსიე მიშელ...
რისი თქმა გსურდა ამ ქვეყნისათვის?
იქნებ გირჩიეს მჩხიბავებმა – მზიან ივნისში
ისეთი ქვეყნის მონახულება,
პოეზიით რომ იკვებება ქუჩის ძაღლიც კი;
სკვერებში ხეებს ავგაროზად ბუდეები აქვთ
და ღამღამობით ცარიელი ოდა სახლები
სამტრედეებსაც გაწბილებით აფახურებენ.
ახირებული კაცი ყოფილხარ, მუსიე მიშელ...
იქნებ ჩემსავით ნიკოტინის უკმარისობა
თამბაქოს ხშირად მოხმარებასაც კი გაიძულებს,
კანონმდებლობით შეზღუდული სივრცის მიხედვით.
იქნებ სპორტული ცხოვრებაა შენი მოტივი.
ბედზე ამბობდი: ალბათ ჩემსავით
ნესტით შემთვრალი კაჟის ხიბლი აქვს,
უკუნეთში რომ უნდა გაკვესოს
ერთხელ, მრავალი მცდელობის შემდეგ.
ჩამოარიგე შენი ყველა ნაკლოვანება
ტექსტის ქანებში შეფარული მინერალებით
და შეახოცე გავეშებულ ადამიანებს
დამჭკნარი ხელისგულებიდან ვნების რუტინა.
კანზასის შტატი გაიხსენე, ძველი სასტუმრო
– მუქი დვრილების წყვილი წყევლა როგორ გეამა
და უსასრულო შედევრები დაგაწერინა.
ხეების მიმართ აჩემება არ გაგიკვირდეს –
რასაც აქ ნახავ;
როგორ მოძრაობს ყველაფერი
არა თავისი ნების მიხედვით. ვერ დაგამშვიდებ.
ჯერი შენზეა მეტი წილი გაკვირვებების,

თუ რა თქმა უნდა, ყველაფერი არ დაგიმალეს.
ამ საფეხბურთო მუნდიალზე ნეტავ რას იტყვი,
ჩემი დიადი მეზობელი როგორ მასპინძლობს?..
გეცოდინება სამეზობლოს ავანჩავანიც.
მე საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრები მხიბლავს.
ზიდანი რატომ არ ათავკაცეთ?
ოდითგან არის თავი კაცი ჩვენში მთავარი.
სამეზობლოში თავი კაცის სიმაღლეც ფასობს,
ვისაც მსოფლიო ასე სცემს პატივს.
ვიღას სჭირდება ლიტერატურა მუსიე მიშელ?
ჩვენ ვეღარაფერს შევცვლით, უელბეკ,
ან რასაც შევძლებთ, ის იქნება,
ვიმოგზაუროთ, პრემიები გავითავისოთ
და მივადევნოთ თვალი ყველაფერს,
საზღვრების მიღმა ამ ჩემპიონატს.
ახირებული კაცი ყოფილხარ, მუსიე მიშელ.
წადი აქედან და თავს უშველი.

თვინიერების

არსებულ ზღუდეს გველის ტანის თვისებები აქვს
მზის გულზე, როცა თვალში აფენს ფერების გამას,
თითქოს შიშების დასაცხრობად აციმციმდება,
სრული მზადყოფნაც იფანტება გადაბიჯების.
და განთიადი, როგორც ზეცის დიასახლისი,
გაფაციცებით აალაგებს ღამის ნარჩენებს;
შემოაჩეჩებს სულში ჩამძვრალ უწესრიგობას
მოჩვენებითი არსებობის ვალდებულებით.
უსაშველოა პერიოდი დაღამებამდე;
ფარდებთან ერთად ზურგით გმანავ ოთახში დუმილს,
გმინავ სივრცეებს უხილავი გაუცხოების
და აშლილობაც უფსკრულივით გიახლოვდება.
დაგეუფლება უნებლიე თვინიერება.
გამოგირეცხავს ეს დინება მხნეობის ქანებს,
შთანთქავს სიცოცხლეს, მაგ სიცოცხლეს,
როგორც ქარიბდა,
შიში ღარიბთა – შიმშილისკენ რომ მიგაქანებს.

რჩევა

ნაჯერი ხსნარივით მოყირჭება სცოდნია ცხოვრებას,
თუ წარმოადგენ ერთგვარ ნაერთს ხასიათების,
გარკვეულ ზღვრამდე აიტანოს შენი ხსნადობა,
ან კრისტალებად ფსკერს მიმჯდარი განმარტოება.
ასე მარტივად აიხსნება ყველა მოვლენა.
უჩინარ დღეებს ვერ იკავებ ხველებასავით,
აფარებ სახეს საკუთარ და ხანაც სხვის მაჯებს,
საცეცებივით თითებს თავზე აამოძრავებ;
ცდილობ, სამყარო ვერ შენიშნო და ასე იხსნა
ილუზიების შესართათან უჩინარობა,
რომლითაც თითქოს თავს აჯერებ შეუპოვრობას...
უმეტესწილად არ გამოგდის და ილექები.
და ლუქავ სმენას, არ იტოვებ გასაქცევს მაშინ,
როცა გიტევენ – შეზღუდვები, ჩვევები; გყოფნის –
შიშები მკვეთრი, ლექსებშივე ჩამხრჩვალი ხშირად,
ალიაქოთი ფიქრების თუ იმგვარი შფოთი,
სიმშვიდის სახით მხოლოდ ქოშინს რომ გაიძულებს
და წარმოიდგენ ნეკნებს შორის გაყრილ სტაფილოს,
გაუსაძლისი ყოფასავით ებღაუჭები,
– თუ აბსურდია ყველაფერი აბსურდი იყოს...
არ გადამალო სახის მღვრიე ზედაპირიდან
ის იმედები, ცინიკურად რომ გექერცლება,
სიცოცხლის შემდეგ იქნებ შეძლო აღმოცენებაც.

ჩემში გათოკილო დღეებო

დიდი ხანია უსიტყვობა დაგაჯერეთ.
დატუსაღებული უღიმღამობა
მთელი მონდომებით იკმაყოფილებს
ჩაგვრის დაუოკებელ სურვილს სიცოცხლეზე.
პირგამშრალი მონდომება ხუჭავს თვალს
ჟანგის ნაფლეთებით ამღვრეულ წყალზე.
უკვე დამღლელია გასაგებად საუბარი.
აღარაფერი გესმით –
გამწვანების სამსახურისაგან თავდასხმებით გადაღლილო ხეებო,
გადავსებული სანაგვე ურნებით ჩახერგილო ქუჩებო,
უღიმღამო რიჟრაჟებო და შიმშილს შეგუებულო ცხოველებო,
გაფიცულო მუშებო და დაფიცებულო მშობლებო,
ლამში გატრუნულო წურბელებო,
კოკით ყოველთვის ვერ მოტანილო წყლებო,
გადაბრუნებულო ურმებო, გამოჩენილი გზა რომ გაგისულერთდათ,
ძვირად ფასიანო წიგნებო და ბრაზიანო მეეზოვეებო,
სასარგებლო დამბებო და უბიბლიოთეკო დაბებო,
გადაბირებულო იდეებო და დრომოჭმულო ამბებო,
დარბეულო დემონსტრანტებო და ლეგიტიმურო ხელკეტებო,
იღბლიანო ლიტერატორებო და მკვეხარა სკაბრეზებო,
ასფალტს შეხიზნულო ვარსკვლავებო და
მიწას შეფარებულო ადამიანებო;
მოქმედების მთელი არსი შედეგებით მსურდა გამეგო.
უდოლაბო წისქვილივით ვხრიალებ ახლაც.
რა გენაღვლებათ...

ვლადიმერ აფციაური

წუთისოფელი რა არი

წუთისოფელი რა არი,
გასა გებია, რომ ყველა
განვი თარებულ ქვეყანა
ში სი ცოცხლის ხან გრძლივობა

მეტია, ვიდრე საქართვე
ლოში, თან – საგრძნო ბლად მეტი.
მეორე მომენ ტია პრო
ცედუ რუ ლი რე გლამენტი:

ვინ როდის კვდება. რას ნიშნავს
სიცოცხლის ხანგრძლი ვობა? რომ
უფრო დიდხანს ცოცხ ლობ და გვი
ან მოკვდები. ა დამია

ნი უკვ დავი არ არის, მა
გრამ მთავარია, როდის კვდე
ბა ის. ჩვენ თან, სამ წუხაროდ,
ვიღუ პებით უფ რო ადრე,

იქ – უფ რო გვიან, მაგრამ ეს
არ ცვლის სიკვდილის მიზეზე
ბის სტრუქ ტურას. ეს ბუნებრი
ვი პრო ცესია და ამა

ში არაფე რი სა ოცა
რი არ არის. უბ რალოდ, ჩვენ
თან რა ღაც ა რარ ის ბოლომ
დე მო წესრიგე ბული. ბო.

სარეზერვო სისტემა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარეზერ
ვო სისტემის ახალი კონცეფცია მოამზა
და. ამ საკითხ ზე საქარ თველოს პრემი ერ-მინისტრ
მა გიორგი კვირიკა შვილმა მთავრო ბის დღევან

დელ სხდომაზე ისაუბ რა. როგორც პრე მიერმა
აღნიშნა, ა ხალი კონ ცეფცია ით ვალისწი
ნებს ტოტალურ თავდაცვა ში საქართვე ლოს მოქა
ლაქეების ჩართულო ბას და სამობილიზა

ციო რესურ სის ოპტი მალუ რად გა მოყენე
ბას. "ერთი რამ ცხადია, უახლესმა ისტორი
ამაც ნათლად აჩვენა, რომ მოქმედი რეზერვის
და მობილი ზაციის სისტე მა სა ჭიროებს

სერიოზულ გარდაქმნას და დახვეწას და ძლიე
რი სარეზერ ვო სისტე მა ჩვენი ქვეყ ნისთვის ძა
ლიან მნიშვნელოვანი ა. ახალი კონცეფცი
ა ტოტალურ თავდაცვა ში საქართვე ლოს მოქა

ლაქეების ჩართულო ბას და სამობილიზა
ციო რესურ სის ოპტი მალუ რად გა მოყენე
ბას ითვალის წინებს. მნიშ ვნელოვანი ა ითქვას,
რომ სამობი ლიზაცი ო რეზერვთან ერთად აქ

ტიური რე ზერვის სა მი სხვადასხვა სახე ა
რის გათვალის წინებუ ლი ახალი კონცეფცი
ის მიხედვით, ეს არის – ნებაყოფლო ბითი, სა
კონტრაქტო და ანაზღა ურებადი. ჩვენ ეს სის

ტემა საშუ ალებას გვაძლევს, რომ სა ქართველოს
მო ქალაქემ თავისი ად გილი ამ სისტემა

ში ისე მო ძებნოს, რომ ის არ მოწყდეს სამოქა
ლაქო აქტი ვობას, რაც არის ძალი ან მნიშვნე

ლო ვანი. მინ და, მადლო ბა გადავუ ხადო თავ
დაცვის სამი ნისტროს და პირ ადად მი ნისტრს, ლევან
იზორიას გაწეუ ლი სამუშა ოსთვის. დარწ
მუნებული ვარ, რომ სა პარლამენტო განხილვე

ბი, რომელიც დღევანდე ლი დღი დან და იწყება,
იქნე ბა ძა ლიან პრო დუქტიული. დარწმუნე
ბული ვარ, პარ ლამენტის გარდა ჩაერ თვებიან
ა სევე, ამ მიმართუ ლების ექსპერ ტები ამ

განხილვაში და, შედე გად, ჩვენ მივი ღებთ იმ სის
ტემას, რომე ლიც იქნე ბა დაბალან სებული,
სწორი და იმ საჭირო ები დან გა მომდინა
რე, რომელიც ჩვენს ქვეყა ნას აქვს”, – განა ცხადა გი.

საპენსიო კანონი

(სონეტი)

სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.
პენსიაზე უფლების წარ მოშობის სა ფუძველია
საპენსიო ასაკის სა მოცდახუთი წლის მიღწევა.
ამასთანა ვე პენსია ზე უფლება ქალებს წარმო

ეშობათ სა მოცი წლიდან. თუ პირს ერთდრო ულად წარმო
ეშვა უფლე ბა ამ კანო ნითა და სა ხელმწიფო კომ
პენსაციი სა და სახელ მწიფო აკა დემიური
სტიპენდიის შესახებ სა ქართველოს კა ნონით გათვა

ლისწი ნებულ სარგებლებზე, მას აქვს მხოლოდ ერთი კანო
ნით მინიჭე ბული სარგე ბლის მოთხოვნის უფლება, მი
სივე არჩე ვით. პენსია ზე უფლება არ წარმოი

შობა და წარ მოშობილი უფლე ბა შე წყდება პირის
მიერ საჯა რო საქმია ნობის განხორ ციელების
სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.

საპენსიო კანონი

(ანტისონეტი)

საქართ ველოსგან განსხვავე
ბით, მამაკაცთა საპენსი
ო ასაკი სა მოც დახუ
თი წელი, ხოლო ქალთა სა

მოცი წელი, ა რის დასავ
ლეთ ევ როპის იმ განვითა
რებულ ქვეყნებში, სადაც ოთხ
მოც წელს გადაცი ლებული

მოსახ ლეობა ოთხ პროცენტ
ზე მე ტია. მი უხედა
ვად იმისა, რომ აღმოსავ
ლეთ ევ როპის უმ რავლეს პოსტ

კომუ ნისტურ ქვე ყანაში
(გარდა პოლონე თისა), ოთხ
მოც წელს გადაცი ლებულთა
წილი ოთხ პროცენტ ზე მეტი

ა, მამაკაცთა მინიმა
ლური საპენსი ო ასა
კი სამოცდახუთ წელზე ნაკ
ლები ა. საინ ტერესო

ა, რომ მამაკაც თა სიცოცხ
ლის ხანგრძლივობა სა და მი
ნიმალურ საპენ სიო ა
საკს შორის სხვაო ბა როგორც

დასავლეთ ევრო პის, ასე
ვე პოსტ კომუნის ტურ ქვეყნებ
თან შედარებით, საქართვე
ლოში ყველაზე დაბალი

ა. იმას გარდა, რომ რამდე
ნიმეჯერ დაბა ლია ამ
ქვეყნებთან შედა რებით პენ
სიაც. პენსი აც. პენსი აც.

ნათია გიორგაძე

* * * (ჩემი თოჯინა თავდახრისგან...)

ჩემი თოჯინა თავდახრისგან,
დაჯერებისგან, ჯეჯილის
სააღდგომო აღმოცენებისგან,
ლოცვისგან,
უეცარი სიკვდილებისგან
გადაქანცული
გზას მიაშურებს,
ის ჯერ ფანჯრიდან,
მერე ჭიშკრიდან,
მერე ჭოგრიტიდან
და მერე მხოლოდ
დახუჭულ თვალებში
დაიწყებს გამოჩენას.
ძილი მომინდება,
ძილი მომერევა,
ძილი დამიფრთხება
და ცეცხლი მოედება
ყველაფერს
და ცეცხლში შევალ
წყლის ღმერთივით,
ჩემი თოჯინა დაბერდება,
მხრებში მოიხრება,
და არ იქნება უდარდელი
თოჯინებს შორის.

მთავარია ჯიბიდან არ გავარდეს

ჩემი თავის კერპი დავაპატარავე,
ისე რომ ასანთის ყუთში ჩაეტია,
ჯიბეში ჩავიდე, გარეთ გამოვედი,
გარეთ ღამეა და ძაღლების ყმუილი,
შენ არ შეგეშინდეს, ჩემი თავის კერპო,
ყველაზე მაგარი ალენ გინსბერგია,
ყველაზე ლამაზი – მისი ავტოგრაფი,
უნდათ და ვერაფერს პარავენ!
თავი რომ მოხადო, ტვინი რომ მოხაპო
და სვა, რაც ლოთებმა დატოვეს ცინცხალი,
ხეპრე მკითხველივით მხოლოდ ზმნებს იპოვი,
ზმნებია ცოცხალი.
თვითონაც რამდენი ასეთი შეჭამა,
ვინ მოთვლის, დრო მოთქმის არაა,
ვიაროთ... წამოდი...

* * * (ჩვენ რა შეგვეძლო გვეფიქრა...)

ჩვენ რა შეგვეძლო გვეფიქრა
როცა ქუჩები ცარიელი იყო,
როცა სახლები ცარიელი იყო
როცა გულები ცარიელი იყო
ხოლო ზღვა – სავსე.
ჩვენ რა შეგვეძლო გვეფიქრა
როცა სამი დღე დასვენება იყო,
როცა სამი დღე დამბალი იყო,
როცა სამი დღე გლოვა იყო,
ხოლო ბალიშისპირი – სუფთა.
ჩვენ რა შეგვეძლო გვეფიქრა
როცა მშრალ პურზე გვყავდა ბავშვები,
როცა მშრალ პურზე გვყავდა მტრედები,
როცა არავინ გვყავდა...
ჩვენ ვერაფერი ვიფიქრეთ,
ჩვენ ვერაფერმა გვაფიქრა,
ჩვენ ვერაფერს ვერ მივხვდით,
ცა იყო დაღმა...

* * * (პოეტი სატვირთო ავტომობილია...)

პოეტი სატვირთო ავტომობილია
„კია მოტორსი საქართველო“ გთავაზობთ
ფასებს ხელმისაწვდომს და გარანტიას
რომ 80 წლამდე ჩვენ შევძლებთ წერას,
ჩვენი ცხოვრება იქნება მძიმე
და ჩვენი გულის მულტისენსორზე
ითმაშებენ ვიგინდარები.
ჩვენ დავფუძნდებით
გადაჭრილი სურვილებიდან
და ჭიუხების მიუვალ ქედებს
არ ვაქცევთ გზებად,
დიდია ჩვენი საშიშროება
და იზომება,
ნაკრძალებიდან გამოსული
ჩვენი ლექსებით.

* * * (მე გამოვძვრები ნემსის ყუნწიდან...)

მე გამოვძვრები ნემსის ყუნწიდან
და ვიტყვი, ქვა გავხეთქე.
ტუჩებთან მივიტან,
ყელსაბამზე დაკიდებულ ერთადერთ ქარვას
ვიტყვი: ლოცვაა არავისთვის
და რომ არ დავრჩე ქვეყანაზე ამ ლოცვის მერე
ვიტყვი: ეს არის საშენო ტექსტი,
ვიღაც ეფლობა მუხლებამდე
არმოსულ თოვლში,
გვაგებებს ნიშანს და ამბობს რომ დაიგვიანებს,
ვერ ვაპატიე მე დედაჩემს ძუძუსგაშრობა
და კიდევ ბევრი, ამიტომაც ძუ მგელი მზრდიდა
და მას შევყარე მძიმე სენი დედაშვილობის.
უნდა გამოვყო ცალკე თავად,
რაც მერე მოხდა...
იქნებ არ ღირდა, ამის თქმა და ამაზე წერა?
მგელი ქალივით ამღერდა და ალაპარაკდა,
მე კი გიყვები, დაუღლელად
რაც ჩავიდინე და არასდროს ჩამიდენია.

არა ცენზურას

პეპლის ფრთებზე ვფიქრობდი
და კანონი მიბღვერდა,
მე კი სიტყვებს ვეძებდი
სასწაულის აღმნიშვნელს,
ქალებზე არ ვფიქრობდი,
არც კაცებზე ვფიქრობდი,
და კანონი მიბღვერდა
როგორც ვინმეს, კაცისმკვლელს.
სოკოებზე ვფიქრობდი,
წვიმის მერე რომ მოვლენ
და კანონი მიბღვერდა,
როგორც შინდაბრუნებულს,
როგორც დაავადებულს,
როგორც მოსარჯულებელს,
როგორც...
როგორც...
როგორსაც...
და კანონი მიბღვერდა,
დღესაც ვკვდები სიცილით.
ჩემო ლიტმოსარჩელევ,
მოსამართლეს გაფიცებთ,
ძალიანაც ნუ შეხვალთ
დაკისრებულ როლებში,
თქვენი თავი აცხონეთ,
თქვენი ნაკლი დამალეთ,
მე რომ დაბადებიდან
სულ თვალებში ვუყურებ
პირდაღებულ სამარეს,
მხოლოდ ჩემი საქმეა!

* * * (მზე შეიძულა...)

მზე შეიძულა,
სქელი ფარდები
დაუშვა,
წუთით ისიც დაუშვა
რომ აღარაა ქვეყნად
საშველი. მერე ის წუთი დაივიწყა,
როგორც ის კაცი,
რომლისგანაც სურდა გაქცევა.
და ჩაიქნია ხელი
ჩაის სმას – მიჰყო,
და ჩაიარა ვით ზღაპარში
მზეთუნახავმა.
იდგნენ ქალაქში
ჰამლეტები
და მეფეები
არ იყვნენ არსად,
არც მკვდრებში,
აღარც მოსაკლავებში,
აკვიატებულ აზრებს
იკრებდა.
მზე შეიძულა,
მზე ამოძირკვა,
მზისგულზე
იშვა, როგორც გეიშა,
მას ჰქონდა ფესვი
მზის სამშობლოში
და მოიკვეთა...

* * * (ვინც კარგად ყოფნა მოიგონა...)

ვინც კარგად ყოფნა მოიგონა
და გაღიმებულ მზეში ცხედარი გაიტანა,
მამის ყოველდღიურობა დააკანონა,
სიკვდილის ნიშანი ამოტვიფრა,
რათა წაეშალა დანარჩენი, იცის
რომ დიდი ვერაფერი გააკეთა.
რადგან ბრმებს უკვე ანბანი აქვთ,
თითებზე მიბმული თვალები აქვთ,
მეც მინდა ასე დაბრმავება,
დარდი ინახება, იმალება,
ცარიელ ფურცლებში მდინარეა
ყველაზე მშრალი და ახლობელი,
მიზეზი, რითაც მწოლიარე
ფეხზე წამოდგება, იგივეა,
ამიტომ დიდხანს მეყვარება
ვინც კარგად ყოფნა მოიგონა.

ფარნა კორინი

ღორი გზაზე

ღორი მიდიოდა გზაზე...
მარგალიტებით დაფენილ გზაზე...
ღორი არ ფიქრობდა მარგალიტებზე...
რა თავში იხლიდა?!
იცოდა, ოხრად დარჩებოდა – დაკლავდნენ მალე...
ცხელოდა საშინლად, უსაშველოდ
და ღორი ფიქრობდა ლაფზე...
და კიდევ ფიქრობდა საკვებზე, სალაფავზე... –
რას იზამ, მშიერი იყო...
სხვათა შორის, გაგიკვირდებათ და
ფიქრობდა ცხოვრებაზეც, ადამიანებზე... –
რომ გაჭმევენ, გასმევენ, გასუქებენ...
და მერე სიცილ-ხარხარით
ყელს გამოგღადრავენ... გამოგფატრავენ...
მარგალიტები დაბნეოდათ გზაზე...
და სევდიანად მიდიოდა
ერთი ღორი გზაზე...

მღილის ეგზისტენციალიზმი

კედელზე დაცოცავს მღილი...
თავგზააბნეული...
კედელი უზარმაზარია სამყაროსავით...
მღილი პატარაა, ვარსკვლავივით, უსაზღვრო ცაზე...
და მან არ იცის, საით წავიდეს, რა გზას დაადგეს...
კედელზე არაფერია... არაფერი იზრდება...
მზეც კი არ ჩანს...
კედელი ცივია... მიუსაფარი...
და მარტოობა სულშემხუთველი...
მღილმა არ იცის ეგზისტენციალიზმი...
და
საკმარისია მე ახლა საწოლიდან ხელის გადაწევა არ
დამეზაროს,
ჩუსტის აღება...
და
ვარსკვლავივით მღილი
თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებს,
ისე შეიგრძნობს მთელი არსებით
სიცოცხლის... ცხოვრების... სამყაროს აბსურდულობას...

* * * (ეს ფანჯარა...)

ეს ფანჯარა
ერთ დროს სახლში იყო...
და იმ სახლში
ერთ დროს ხალხი იყო...
და ის ხალხი
ერთ დროს ერი იყო...
იყო...
ყველაფერი იყო...
დრო გადის და
ბოლოს არაფერი...
ფანჯარაში მხოლოდ
ქარი მღერის...

სერე-ნადა

დავინახე –
ქალი ქათამს ჭრიდა დანით...
დანა დიდი იყო, ბასრი...
ქალი ღიღინებდა ბასით...
გარშემო ქათმის წიწილები
დარბოდნენ მხიარულად, გნიასით...

იდილია

ქალი ზის ჰამაკში,
ირწევა ტაატით,
მზესუმზირას აკნატუნებს
ლამაზი კბილებით,
და უმზერს მაღლა მზეს
ფიქრებში წასული...
გაიბერა ჰამაკი სიამაყით,
ჩაიგდო ხელში ქალი და რა ქალი!..
სადაფის კბილებით და თხელი ტუჩებით
კაიფში არიან მზესუმზირებიც...
მზეს ნუღარ მკითხავთ, მთვარეს ხედავს ქალში,
ელამუნება სახეზე ვნებით ატანილი...
ის დროა ზუსტად, იდილიისთვის,
ხიდან ხეზე გადაფრინდეს ჩიტი...
სად სცალიათ საფრენად ჩიტებს,
საეჭვოდ ჩახუტებულები, გატრუნულები
შემალულან ყვითელ ფოთლებში...

* * * (კაცი ქუჩაში მიათრევდა...)

კაცი ქუჩაში მიათრევდა
პიანინოს თოკით.
პიანინო იყო შავი, ბებერი, მტვრიანი...
დღე იყო გაზაფხულის,
ნათელი, კრიალა, მზიანი...
და ბებერ პიანინოს
ახსენდებოდა პირველი თითები, –
გრძელი, ნატიფი, –
პირველი მუსიკა...
პირველი სიმღერა...
და იყო დღე მზიანი, ნათელი...
და ყელზე თოკგამობმული,
შავი, ბებერი პიანინო
ხმით ხრინწიანით
მღეროდა იმ პირველ სიმღერას –
პირველი სიყვარულისას...

* * * (ფოთოლი ხეს მოწყდა...)

ფოთოლი ხეს მოწყდა.
თავისუფლებით გახარებული მიწაზე ეშვებოდა.
ფოთოლმა არ იცოდა,
რომ მიწა ზემოდან სხვანაირი ჩანს.

* * * (და როდესაც სამოთხეში...)

და როდესაც სამოთხეში
კონტროლიორმა ჩამოიარა,
თავპირისმტვრევით გაიქცა ყველა.

* * * (ჯვარს ეცვი თუ გინდა...)

ჯვარს ეცვი თუ გინდა...
მერე იმ ჯვარს
კისერზე ჩამოიკონწიალებენ...

* * * (და შემორჩენილმა ერთადერთმა...)

და შემორჩენილმა ერთადერთმა
ფოთოლმაც რომ დასტოვა,
მარტოსულმა ხემ ტყისმჭრელი ინატრა.

ეკა ქურხული

* * * (პარასკევია. ბუტიკები როტშილდის ქუჩის...)

პარასკევია. ბუტიკები როტშილდის ქუჩის
ისე “დავლაშქრე”, თითქოს ვიყო შთამომავალი
ბანკირ მაიერ ამშელის და შიფონის ურჩი
სიშრიალე, ეჰ, სიშრიალე – საამო, ლაღი,
სევდისფერ სხეულს განვაშორე...

მერე, ვით ანას “ბოშა ქალი”, სულ სტვენა-სტვენით,
მივუყვებოდი სანაპიროს შიშველი ფეხით...
იყო ზღვა... ქაფი... აფროდიტე... დღე – პარასკევი...
ვერ როტშილდობა...
და ამბავი – კატის და ძეხვის –
ჟანგისფერ სილას მოვუყევი...

უ ს ა ყ ვ ე დ უ რ ო დ

შემოდგომური სიყვარულის ვარ მასპინძელი,
შესამოსელი შემაფხრიწა სტუმრის ქარიზმამ.
ქრიზანთემის მაქვს სხეული და სული – ენძელის,
ჩემო სტუმარო, გულს ჩამიკარ, თორემ ქარისგან
არმიტოვებულ უშენობას ძლივს გავუძელი,
ხო, გავუძელი, ბევრზე-ბევრჯერ, უღმერთოდ ძნელ წლებს...
ღვინობისთვეში მოსვლა შენი, როგორც უძღები
შვილის მოსვლას ჰგავს. მოაყოლე მოტირალ ძეწნებს,
რას შევჩიოდი ძოწისფერი (ერთდროს) ტუჩების
ძრწოლა-თრთოლით და მოდი, ჰკითხე გულის საწნახელს,
რა დარდ-ბალღამი ჩავუწურე, როცა ვეურჩე
ჟამს – მაწანწალას (ის კი მაინც მკვეცდა ნაწნავებს!)
ჰკითხე, სისხლის წილ შიშს რად შობდა ჰემოპოეზი?[2] –
შიშმიმოქცევა ხომ უტიფრად უჭერდა მარწუხს
გულის პარკუჭს და მომწყვდეული ტრფობა პოეტის
ეპიტაფიას უტვიფრავდა უცოდველ ქალწულს...
ღვინობისთვეა. მივუყვებით აღმართს ვარაზის...
შემოდგომის მზეს გაბუსხული, როგორც ბეღურა
ვუმზერ და ვმზეობ, საყვედური ახლა აღარ ღირს,
ვიწყებ სიცოცხლეს ხელმეორედ, ხო, ახლებურად!..

* * * (ბედნიერება გაფრინდება დაფიქრებითაც...)

ბედნიერება გაფრინდება დაფიქრებითაც,
იქნებ სჯობს, ზოგჯერ, ტვინს კი არა,
ყური გულს ვუგდო?!
აი, შემეძლო, ცილინდრიან დათვის ბელითაც
(ვიტრინიდან რომ შემომცინა) მეხარა უხმოდ –
დავივიწყებდი თუკი, უცებ, ამდენ საზრუნავს,
უცხო მიწაზე გადმოხვეწის მიზეზს და დარდებს...
ოთხმოც შეკელად შევიძენდი წითელ დათუნას,
ვიტრინიდან რომ მომძახოდა: თან წამიყვანე!..
ბედნიერება გაფრინდება დაფიქრებითაც...

2. პოემები

მირიან ებანოიძე

დრამა რუსეთი

რუსეთი:

მაშასადამე, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ
ტატუნაშვილი ჩვენ გვეკუთვნის.
საქართველო იგივე ჩვენ ვართ –
ერთი ტაძარი, ერთი ხალხი, ერთი ოცნება.
დაბადება არაფერს ნიშნავს. მთავარია გარდაცვალება.
ის აქ, ჩვენთან გარდაიცვალა.

საქართველო:

დაგვიბრუნე ტატუნაშვილი
დაგვიბრუნე ტატუნაშვილი
დაგვიბრუნე ტატუნაშვილი

გმირის ცხედარი:

მომხედეთ, აქ ვარ.
შენ არ არსებობ, ვუთხარი რუსეთს
ღრმა და ვიწროა ჩემი სამშობლო
ფეხს ვერ ჩადგამ მის ხეობებში.
კლდეზე ცოცვით თუ გადაიარ,
მხოლოდ ყვავები დაფრთხებიან არარსებობით.

ქორო:

ბოლო წუთამდე დუმილს არ თმობს, იბრძვის ზამთარი
კუბო მზადაა, მაგრამ მტერი მაინც არ ტყდება
არ სურს რომ გულში აღიაროს, გმირი მკვდარია.
რუსეთი ცდილობს დაიმალოს არყის ჭიქაში
და ამ დამალვით ცხადი გახდეს, იგი არსებობს.
საკუთარ თავს მხოლოდ ასე ათვალიერებს.
ვინ ეტყვის დედას, მაგის მამას ვინ მიახარებს

სუდარა ფარავს ძვლებს აპრილისას
ეს წიწვოვანი მკლავები და თეთრი ბაფთები
სამგლოვიაროს ნამდვილად არ ჰგავს.

მიწა:

ნუ მეფარები, მე მაყვალს ვხედავ
ეცემიან ჩრდილები ხეებს, გაზაფხული ასე შემოდის
ჰაერში სუნი მოიფრქვევა,
პეპლების ცვენით ნაპერწკლებს ყრის ზარბაზნის ლულა
ცეკვავს შიმშილი, ნესტოებს წვავს ასკილის სუნი
ჭიანჭველა ფოთლებს ჭამს და ვენახის კვირტებს
აყალოსფერი ხელის მტევნები გადაუგრიხავთ, რომ
გაიაროს.
ამ პატარა ხევებიდან და ვიწრო მდინარეებიდან იელვებს
ქარი
და აფრინდება თეთრი ფანტელი
სივრცე ერთ მუშტად შეიკუმშა, რათა იხუვლოს
შეკუმშულია შურისძიება და რისხვა დაჰქრის
ფეხებში ურტყამს მარმარილოს სიცივე ძარღვებს
ღრმაა ზეცა და უძირო ფიქრი
ჩვენ ევროპა ვართ, ჩვენ ვარსკვლავებს შევუერთდებით.

გმირი:

მე ვიდექი ტყის შუაგულში.
მზე რომ ჩავიდა, მაინც ვიდექი,
დაღამდა და მაინც ვიდექი
და იქ ვიდექი, ვიდრე არ გათენდა.
მთელი ღამე გრძელი გამოდგა.
არაფერი აღარ ხდებოდა.
აღარც ცაა და აღარც მიწა.
აღარც მარჯვენა, აღარც მარცხენა.
ნიავიც არა. მხოლოდ ძილი სამარადისო.

ვნატრობდი, რამე მომხდარიყო, ცუდი თუ კარგი.
ჯერ მეშინოდა, შემდეგ შიშმაც გადამიარა.
ვიხსენებდი გაზეთებში წაკითხულ ამბებს.
აღმაშფოთებლად არ მოჩანდა ის, რაზედაც უწინ ვცხარობდი.
მავთულხლართები, ღობეები მთლიანად გაქრა.
გმირი ვიყავი, მაგრამ მინდოდა ვყოფილიყავი
მოღალატე, მატყუარა, ნაძირალა, უბრალო მკვლელი.
ვინ ლაპარაკობს?

ვარსკვლავები:

ტყე ირწევა, ჭრიალებს, კვნესის
მიცურავს და მოცურავს ნავი.
მხოლოდ ჩვენ ვართ უმოძრაონი
მთვარის ტალღებში.
ეს შენა ხარ
ამირანი, ასფურცელა, ადიხანჯალა, იახსარი, თუნდაც კოპალა.

გმირი:

მე შენ ვერ გხედავ
ვიღაც ცხოვრობს ჩემი სხეულით და ტანისამოსით.

ვარსკვლავები:

შენ მარტო ხარ? ტყეში რა გინდა.
ჩვენ ბევრნი ვართ, ვარსკვლავები.
გზა დაგებნა? ჩვენ მიგასწავლით.
გმირი:

ვინ ლაპარაკობს?

ექო:

ეს მე ვარ ექო. ექო? დიახ, ექო
აი ბილიკი. აი ბილიკი, აი ბილიკი,
ვარსკვლავები გამომწვევად ანათებენ,
შეგიძლია ყველგან წახვიდე, თუკი ექოს გამოგაყოლებთ.
ის გზას გასწავლის.
შენს სოფელში რა დაგრჩენია.
აქედან იქით გადაუხვევ.
სატრფოს ცრემლები? მშობლის საფლავი?
ღამის ყორანი ყურწამღებად გადიხარხარებს.
უბნელეს სივრცის განაპირას ისმის გოდება
რას ეძახიან, ვის უხმობენ?

სული:

აქ სიცივე უფრო იმატებს. ხავსი გამცვივდა, შიშველი ვარ
მე გავხდი ორი. არადა ადრე ის ვიყავი. ის, რაც არაა
და უკვე არის. ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ.

მკვლელი:

უსიერ ტყეში ის ცოლ-ქმარი შემოვიტყუე
ტყე მოიწევს, რათა შემბორკოს სიყვარულის დიდი
კოცონით
მთვრალი ვარ ახლაც იმ ამბებით, რასაც ვერ ვამხელ
ხევებში რჩება ექოებად ჩუმი ტირილი.
ჩავკეცავ, ჩავშლი, ამოვაჩენ, ისევ დავმალავ,
ღრუბლები ფარავს ცის სილაჟვარდეს.
წყალივით ჩქეფს ჩვენს შორის ის, რასაც არ ვამბობთ.
მის მკერდში ვმალავ უხილავ სახეს.

მე არ მომიკლავს, მან მე თავი მომაკვლევინა
ეს ის იყო, რუსეთი იყო.
გაიყინა. მდინარეში თავად ჩაიხრჩო. გამომიწვია.
და ჩემი ბრაზი და სინანული დაეხეტება ვიწრო ხევებში.

რა გეგონა, აქ რომ შემოდი.
აქ ყველაფერი ყვირილად ისმის.
თავგანწირულ ამოძახილად, კვნესად, გოდებად,
ჩაკლულ სულად.
ჩვენი სიმღერა ასეთია,
ბოღმით ვიხრჩობით, მაგრამ თუკი სივრცე გაიხსნა,
ალმასები ცვივა ჩვენი თოფიდან.
მდინარეზე წახრილი იყო, მიტომ ვესროლე.
თვალებში რომ არ შეეხედა, რომ არ ვეცნე.
გაურკვევლობით მომივიდა. და თან ქალი ამ უხეშ მთებში
პირდაპირ თვალში მიყურებდა და ხლართავდა
მკვლელობის სცენარს
და სიცილით არჩევდა კადრებს,
უსაზღვრო იყო იმისი მზერა.
მერე რა რომ ძმადნაფიცს ტყვია
არ გაუგია. მისი მზერა ექომ მომტაცა.
მთები მაინც ყოველთვის დუმან.
თოფის გასროლა მათ ვერ დააფრთხობთ.
ექო კივის, თავის თავს დასდევს.
მთა არ გატყდება, არსად გაგთქვამს,
რადგან მკერდში ჩაგუბებულ უსიტყვო ნაღველს
კიდევ ერთი დაუმატოს სიამაყისთვის,
რადგანაც მეტის ატანა ძალუძს.

ადვოკატი:

რუსეთი დიდია
ის იმთავითვე უფრო დიდია, ვიდრე ხეები. ჩიტები, მთები,
ჭეშმარიტება, მეგობრობა და სიყვარული
ვიდრე სიდიდე.
მე დაგიცავ უსაზღვრობისგან
მე დაგიცავ უსაზღვრობისგან.

მოწმე:

აი მოდის ბილიკზე მგზავრი, მის ზურგს უკან კი ღრიჭოებია
მოხერხებულად აეფარა, მაგრამ ღრიჭო დროდადრო რჩება
სამხედროები გადაუდგნენ და პასპორტს თხოვენ
მან გაიღიმა, ხელჩანთაში ნაზუქი უდევს თან ზურგს უკან
რაღაცას მალავს.
სხვა არაფერი, მაგრამ ნაზუქს ობი მოედო.
ჭიანჭველები დასევია. მაინც იღებს, მესაზღვრეებს რომ შესთავაზოს
მესაზღვრეები აფრთხილებენ, იქ **უსაზღვროა.**
სამშობლო კი აქვე მთავრდება
ამას იქეთ რუსეთია, ფეხს ვერ გაადგამ
მაგრამ უცებ ღრიჭოს ხედავენ, ფერი ეცვლებათ
უსაზღვროება იქ ჩავიდა?
ქართულ მიწაზე განყოფილებაში მიათრევენ,
ის კი იბრძვის,
ხავსს ეჭიდება,
მისგან გრეხს ბაწარს.
შეათრევენ, გარეთ გამოდის.
შეათრევენ, გარეთ გამოდის,
ბოლოს მაინც გადაყლაპა განყოფილებამ.
გოგონა გრძელი სახითა და მონღოლური ყვრიმალებით,
თხელი ჩულქებით
პასპორტს ხელში ატრიალებს,
ცისფერ თვალებს დამცინავად უშტერებს მზერას
ჰორიზონტს მიღმა, სადაც მამა ალექსანდრ სკრიპალი
ბავშვებს აჭმევს კოვზებით ფაფას
ისევ ბრუნდება ჰორიზონტში, დორბლი სდით ბავშვებს
გმირი ამ დროს წყლად გადაიქცა.
თვალებს დახრის?
დიახ, მოვკალი.

ფიცვერცხლი ვჭამეთ.
მაგრამ არაყიც მივაყოლეთ.
ჟიპიტაური.

ქარი:

ჩვენ უბრალო გამვლელები ვართ, სიტყვებს ვალაგებთ
არ დაუჯერო რასაც ყვება, ის ხომ ქარია
სიტყვებისა და მარცვლებისგან შედედდა სისხლი,
ასე დაიწყო ის პოემა.
მინდა მოგითხროთ იმ მოგზაურზე, შორეული ქვეყნებისკენ ვინც გაეშურა
იმ წელს, როდესაც კვლავ დაირწა გუბეში ნავი, ნავი, ნავი, ნავი.
და ქარმა ოდნავ დაუბერა სილის ნაპირებს,
ის დაიბადა ისე ჩუმად, თითქოს ამქვეყნად
ძალადობა არ არსებობდეს, მხოლოდ სუნი მწვანე ტყემლების.
რუსეთი მოვარდა, რუსეთმა წაგვლეკა.
მთელი ღამე ვებრძოდით რუსეთს.
ალაზანი დიდია,
გველეშაპი ჯერ არ მოსულა
რუსეთი ალბათ შურს იძიებს
ცდილობს ჩავიდეს ნისლის სახით ვიწრო ხევებში.
ყვავილები გათელილია, ბუჩქებიდან აფრინდა წერო.
და მზის გადაღმა იეროგლიფი
გამოჩნდება, დაიმალება.
ბოლოს ღრუბლები გადიყარა
და გაზაფხულის თეთრი ფანტელი
მოედო მინდვრებს, ვიწრო ხევებს, გიჟ მდინარეებს.
სსს.
ბუჩქებსა და ბალახებს შორის მიტოვებული არტილერია
საკუთარ თავზე გაბრაზებული

გაჰყურებს ნაპირს
ხავსი ამოსულა მათ მკლავებზე, დარდი ჩაუცვამთ
ლილეოს და ხასანბეღურას ვეღარ მღერიან
სადღაც ყელში გაჩხერილა თოვლის ფანტელი

სახლში, ბუხართან:

დარეკეს, ხომ არაფერი დაუბარებიათო
მხოლოდ დუმილი უშინაარსო, მხოლოდ დუმილი.
მამამისი, საცოდავი ბუხართან იჯდა
ვეღარ ფიქრობდა, ვეღარ გრძნობდა, ვეღარც იხსენებს
აქეთ ჩალაა შესაკრავი, საქონელიც თავისას ითხოვს
ზოგჯერ მზადაა დაუძახოს, მაგრამ სახელი
საზოგადო გამხდარა მხოლოდ
მისი შვილი ყველას მოუკვდა.
გატრუნულა მთელი ქვეყანა.
პრემიერ-მინისტრი. მამასავით ზრუნავდა კაცი.
ჯმუხი და სახედაღარული, როგორც ხეები
თავის შვილები აღარ ახსოვს, მხოლოდ ერთი
ტატუნაშვილი, ტატუნაშვილი.
მაგრამ გვამი არსად არა ჩანს.
საწყალი მამა მზად იყო ზამთარში წასულიყო და
ყინულის ლოლუებს შევედრებოდა
მომეცით შვილი.
მოფერებით სახელებს არჩევს
მხოლოდ მისთვის, რომ გაიხსენოს
წარმოსახვა ცრემლმა გაყინა
არავინ არ ყოფილა იქ, იმ ჭის ფსკერზე.
ვეღარ იხსენებს.

მდინარე

თუმცა ვერ გხედავ მაინც ვხვდები რისი თქმა გინდა
მე აქ დროებით... აღარ მოვალ.

შენი სული ისე ახლოა საუბარი არც კი გვჭირდება
ისიც აგრძელებს დაწყებულ ფრაზას და
ვხვდები, რომ უნდა იღიმებოდეს.
ის ცივია და მიწყრება თითქოს.
და ეს ღიმილი მე მებადება
დაე შენი სიტყვები ქარივით პირდაპირი,
წყალივით უშიშარი და
ჰაერივით მტკიცე იყოს
ნუ იქნები ცეცხლივით მორცხვი
ჰო ბიჭუნავ, გზა დაგეკარგა, ვის არ მოსვლია.
აბა ჯოჯიკ ადექი და მორთე ნაცარი
გამარჯობა ამხანაგო ტატუნაშვილო...
ისტორია ისევ გრძელდება, ოღონდ სცენაზე.
ხვალ კიდევ ეს სიტყვები იქნება საჭირო.
გადავუჩურჩულეთ, ტექსტი მაინც ესწავლა
მრავლობითობა ლაპარაკობს, ოღონდ უსმინე
ლაპარაკობს, ჩვენ მისი გვესმის
გაიმეორე პირველ პირში რასაც მოისმენ –
ეს მე ვარ ტყეო. შენი ექო რომ შევინახო
უნდა ვიბრძოლო. არ წავიშალო.
ღრუბლებს შორის არ გავფერმკრთალდე.
წყლის სკანერით შენამდე მოვალ,
ცის მონიტორზე
კლდის ქიმებზე ამოვბობღდები.
მე ვიღაცა ვარ.
მნიშვნელობა არა აქვს ვინ ვარ
ოღონდ არ ვიყო დასაბამი,
ოღონდ გავექცე.

დედა:

ათასობით ვარსკვლავი უხმაუროდ მოძრაობს ცაზე
მე მაინც გელი დაგვიანებულს

დასასრული წინ არ არის, ის თითოეულ ჩვენგანშია.
ყველა, ვინც კი კვდება, რუსეთში მიდის
როგორც თევზები ზურგშექცევით ჩადიან ზღვაში
თვალები კი თერგისკენ რჩებათ
ყოველ მოსახვევს იმახსოვრებენ, ვიწრო კბოდეებს,
კლდოვან ნაპირს, ალმასის მძივებს
ელევიან, ეფერებიან,
ფეხებიდან მოდის სიცივე,
შემდეგ მუხლები, წელი და მხრები
ამ დროს კი გვერდით, შუატყეში ამირანია
ვერსად ვერ მიდის. ტყე არ უშვებს...
გამარჯობა ბატონო ტატუნაშვილო,
შენი სამშობლო გელოდება.

თოვლი კი არა, გაზაფხულია
თოვლი კი არა გაზაფხულია.

ზაზა ბიბილაშვილი

ზაფხულის შუადღის სიზმარი (ლამის ეროტიკული პოემა)

•

ივლისის მზეზე შენი ძუძუები ცხვება,
უმაღლესი ხარისხის ხორბლის
ძუძუები,
ალუბლებით კენწეროებში.

ჰეი!
ივლისის მზე ჩამოსწევიათ, –
ვერ მოუსწრიათ გადაცოცება
თხელი მკერდის აქეთ და იქით.

ახლა წვანან და შეჰყურებენ ივლისის მზეს,
როგორც ერთმანეთს.

მზეც ჩამოჰყურებს,
როგორც თავის თავს
და კიდევ თავის თავს.

•

იქნებ, სულაც ივლისის მზეს ჩამოეღვენთე – ოქროს ზოდად რომ გალურსულიყავი ჩემს მიწაზე, სადაც ყოველდღე გიპოვიდი – დაქანცული, მაგრამ თურმე იღბლიანი ოქროსმაძიებელი და ყოველდღე არ დავუჯერებდი თვალებს და იღბალს –

მანამდე, ვიდრე ხარბად დახეთქილი ხელისგულები არ დაგწვდებოდნენ დაგეჭდობოდნენ დაგაკვდებოდნენ ოქროს ძუძუებზე – როგორც ოდესმე მანდედანვე წამოყრილი ქვის ყალიბები.

მაგრამ შენს მკერდზე დიდი ხნით როგორ მოკვდებიან ჩემი ხელები. ქვისაც რომ იყვნენ, მაგ ყოფაში რა გააქვავებთ. მით უფრო, თუკი იგრძნობენ კიდეც (ან თუნდაც მხოლოდ მოეჩვენებათ), სიცოცხლის ნდომით ოქროც როგორ შეკრთება მათში!

შეტოკდებოდნენ, ატოკდებოდნენ, არროკდებოდნენ დახეთქილი ქვაყალიბები, შე შეშმუ მიმო მიმოშმუშნიდნენ, აიდევნებდნენ შემცბარ ოქროსაც, და აი ასე, აი ასე, და აი ასე – პირველად სწორედ მზეძუძუებს გაგიცოცხლებდნენ.

ყოველდღე მოვზელდი. ყოველდღე მოვზელდი სუნთქვაჩამდგარ ოქროთიხას.

და ყოველდღე ხელახლა ისწავლიდნენ შენი ძუძუები, როგორ იძერწება: იღბლიანი ოქროსმაძიებლის ხელისგულებიდან – იღბლიანი შემოქმედის ხელისგულები.

•

შენი ძუძუები ჩემი თავსასთუმალია,
რომელზეც, აბა, რა დამაძინებს.

უძილო სიზმრებია შენი ძუძუები,
დიდი უსიზმრებო ძილის შემდეგ მოძებნილი
ფერადი სიზმრები –
თითქოს რომ თვალებს
თითქოს რომ ნიშნის მოგებით მიპაჭუნებენ –
აი, თუ არ ღირსო,
აი, თუ რად ღირსო,
აი – ჩვენად ღირსო
ქვეყანა მთელი!..

მთელი ქვეყანა გამოხვეულა
შენს ძუძუებში,
როგორც ბოხჩებში.

•

მგონი, ბოლომდე გადავიძერწე. სიამისაგან მოჟრიალე ყოველ ნეირონს აკი ეტყობა ხმაზე თუ ფერზე, რომ სადაცაა, სათითაოდ უნდა წამოსცდეს ახალშობილი საიდუმლო – მისი პატრონის ნების ყოვლისშემძლეობისა.

მაშ, რაღა გზა მაქვს იმის მეტი, თავგზა დავკარგო და გავეკიდო გზას, გადაკარგულს უგზოდ და უკვლოდ, რომლის ზიგზაგი არც ერთი რუკის ხატულა მკერდს არ ასვირინგია – ალბათ იმიტომ, რომ არც არსებობს, თუკი ვინმე არ მიილტვის მასზე, უფრო სწორად კი, როცა ვინმე არ მიიკვალავს უგზოობაში.

შემოქმედის უბოლოო გზას გავეკიდო...

რა მენაღვლება – ორი ხელით არ ჩამიბღუჯავს იქნებ ხურჯინი, სავსე საგზლით, უნუგბარესით, და იმ პურივით გამოულევით –
დაუზოგავად რომ ისრუტონ ღრმა ნაპრალებმა საუფლოვნებაშეჩენილი ხელისგულების – სვებედნიერი ორი ოსტატის – დაუღლელის და არხეინის –

გამოძერწონ თუნდაც შედევრი (გამოძერწონ რა – ელდასავით გამოეძერწოთ) – ამოსუნთქვას რომ არ აცლიან, არ დამაცდიან, მზერა მაინც შემოვასანთლო და მისი თუნდაც მკრთალზე მკრთალი ანაბეჭდები შემოვინახო მეხსიერების საცავებისთვის, არ დაგვაცდიან და ისევითომცაქარაფრად გადაზელენ, გადაზელენ, გადაზელენ და, როცა იქნება, სხვა შედევრად გადაძერწავენ. რომ მერე ისიც, მერე ისიც, მერე ისინიც. და რომ სულ ასე: შედევრებიდან – შედევრებამდე...

რა ენაღვლებათ – არ მომექციოს იქნებ მათში მთელი ქვეყანა.

ნოეს კიდობნით, ეტრატებით, პირამიდებით, სიმფონიებით, საკოსმოსე რეფლექტორებით...

ვზელ ოქროთიხას დიდოსტატის ნეტარებითა! პირველად იყო ის, რაც მინდოდა. რაც მომინდება, იქნება ბოლოს.

•

მომიტანე.

მომიტანე, როგორც ბოხჩაში გამოკრული
თვალმარგალიტი.
მერე ხელი გამოჰკარი, მომიღეღე და
ხარბ მკლავებში მომიხვავე
შენი ძუძუები,

რომ მთელი სიცოცხლე
ვთვალო, ვთვალო და ვერ დავთვალო
ჩემი სიმდიდრე.

•

სადღაც აქვეა წამით ედემიც. და წამით ვიზამ ამ საქმესაც, უფლის საყვარელს: ფოთოლ-ფოთოლ და წინწკალ-წინწკალ და ნადირ-ფრინველ და ადამ-ევა ჩამოვქნი წალკოტს, რომელშიც ვინმე ნეკნნაკლული დასდევს ნანეკნარს, მთლად ტიტლიკანა – ასეთივესამოსელიანს.

უფ, დასდევს, თორემ... თვალები მისი – უღრუბლობით – ივლისის ცანი...

ან რა იცოდეს გაჩენილმა არცოდნის ბაღში?

რა იცოდეს, რომ უნდა მოხდეს ერთი ამბავი, რომელსაც, ნებით მოამბისა, წინასწარ "ვაშლის ამბავი" ჰქვია; რომ ივლისის ცის სადარი მზერა პირველად მაშინ უნდა შეემღვრეს, როცა ხის ძირას მილულული მაღლა ტოტისკენ

უცხო წადილით აზნექილ ევას ახედავს და რამ ევაშლება... რა ევაშლება ვითომცოლის მოცდენილ ტანზე?

მოიწვდის ქალტოტს, ჩამოირხევს, ჩამოიბერტყავს. ჩამოცვივდება ძუძუსავით ნუგბარი ვაშლი – ანდა პირიქით – უმეცრების დაბჩენილ პირში.

დაიგემოვნებს ძუძუვაშლას – რომ პირველი ნეირონი იგრძნოს ეთერში. მერე კიდევ, კიდევ და კიდევ – სათითაოდ რომ მოენიშნოს ჟრუანტელის ყველა წერტილი. და აი ასე – აი ასე – და აი ასე – მტკაველ და მტკაველ გაუნათდეს მთელი ქვეყანა.

და გაიფანტოს მთელ ქვეყანაზე ახალშობილი საიდუმლო მისი საუფლო ვნების ყოვლისშემძლეობისა: ნოეს ნავიდან – საკოსმოსე ავტობუსამდე.

•

მკერდზე გადამდის
შენი მკერდის მღვრიე ტალღები.
ბორგავს მდნარი ოქრო,
დახრჩობას მიქადის.

ღმერთო! ღმერთო!

არ გადამარჩინო!

•

თან გამოვყვები ქვაბულიდან გამოცვენილებს – ხორციელ ადამს, ხორციან ევას – დანარჩენი ქვეყნის საქმნელად და დანარჩენ ქვეყანაზე სახეტიალოდ (ასე წყლის ფონზე გადამავალნი წინ-წინ ლოდებს იყრიან ხოლმე). საშემოქმედოდ და საკვეხნად შემოქმედობით.

გამოვყვები და გავეყრები – არ აირიოს – ამ ამბავში მთავარი ან ამ სიზმარში გმირი ვინ არის!

რომ მსახურები დროისა და მითებისა დროს გამოუყვნენ – აქეთ და აქეთ – თავიანთი მითის ბოლომდე. დრო-მითების მეუფე კიდევ დროს გაუყვეს იქით და იქით – იქამდე, ვიდრე პირველად იყო.

მოსწყდეს და მოსწყდეს ცარგვალს მზე, მთვარე და დარი მათი უთვალავი. და დედამიწაც შეცურდეს და გალღვეს ქაოსში – შაქრის ნატეხი, მარილის კვნიტი...

ქაოსს ვეწიო – შემოქმედის ტრაბახი თუა, ქაოსს ვეწიო – იყოს კვეხნა შემოქმედობით!

რა მენაღვლება, თუ დაერქვა შენს ძუძუებს უკვე ქაოსი. ქაოსი მექნა თავზე საყრელად. ქაოსი იქნა ტილოც და ფუნჯიც, ქვა-საჭრეთელიც, საწერ-კალამიც და თიხაც და ხელისგულებიც...

რა მენაღვლება – გამოვძერწო ერთი შედევრი (გამოვძერწო რა – ელდასავით გამომეძერწოს) – ამოსუნთქვაც არ დავაცალო, მზერაც კი არ შემოვასანთლო – რომ მისი თუნდაც უმკრთალესი ანაბეჭდები მეხსიერების საცავისთვის შემოვინახო, არ დავაცალო და ისევითომცაქარაფრად გადავზილო, გადავზილო, გადავზილო და, როცა იქნება, სხვა შედევრად გადავაკეთო. რომ მერე ისიც, მერე ისიც, მერე ისინიც. და რომ სულ ასე: შედევრებიდან – შედევრებამდე...

•

სანთლის ძუძუებს კერტები წაჰკიდებია –
ალბათ, მაშინ, როცა შენს თხელ მკერდზე
პირველმა მზემ გადაიგორა.

მე ვერ ჩავაქრობ –
ვერ მოვგუდავ კერტების ალებს –
თუნდაც მთელი საუკუნით
დავახურო ტუჩის ზარქუში,
თუნდაც მთელი საუკუნით
ენის უწყვეტი ჭავლი მივუშვა.

მარადისია ეგ ცეცხლი და
ეგ ძუძუები.

•

...მანამდე, ვიდრე – როგორც ხდება ასეთ ამბებში – მოულოდნელად გაისმება ხმა იდუმალი. ხმა იდუმალი – ანუ ზუსტად ვინ იცის, ვისი. ანუ, ამბავში შემოქმედის როლის თანახმად, მოულოდნელად იქნებ ჩემი ხმაც გაისმება:

”რად არ მოგწყინდა ვითომ ქვეყნის ქმნა და მერე ვითომ მასზე ტანტალი? ნუთუ ვერ ხვდები, უამქაოსოდ შემოქმედია ეგ ხელები, როგორც ლოდები? განა ვერ ხედავ – რომ ყოველ წამს პირველად არის ოქროსფერი ძუძუები – ქვეყნიერების ნედლეული, როგორც ქაოსი? ხოლო მათი განძუძუება მოჰგავს, ტაძარი ანგრიო და ნანგრევი ლოდით ყორე აშენო. რას დატანტალებ ქვეყანაზე, თუკი თვითონ ქვეყნიერება ამ ძუძუებში გამოკრულა, როგორც ბოხჩებში?

დროა, იცოდე, თუ რა იყო... არის პირველად. დროა, იცოდე, რომ ის იყო და ის იქნება მეორედ და მერე და მერე, რასაც კი შენი საუფლო ვნება მოიფიქრებს და მოიპრიანებს.

და დროა, რომ ბოლოც იცოდე: ყველაფერი იყო იმისთვის, ბოლოს და ბოლოს, ამ მიწაზე მოსულიყავი და იმას, რაც აქ დაგხვდებოდა ანდა აქ ვეღარ დაგხვდებოდა, განეხიბლე სიუშნოვით ან სიუცხოვით. და ამის შემდეგ უდაბნოში

გეხეტიალა – მანამდე, ვიდრე ერთხელაც და მერე ყოველდღე მას იპოვიდი და თვალ-ბედს არ დაუჯერებდი.”

და უკვე ვიცი, რომ სიბრიყვეა, ჩემი ტაძარი ვანგრიო და ნანგრევი ლოდით ყორე ვაშენო. და აჰა – შენმა ძუძუებმაც იცოდნენ მაშინ, თუ უკან როგორ იძერწება იღბლიანი შემოქმედის ხელისგულებიდან – იღბლიანი ოქროსმაძიებლის ხელისგულები.

•

ეგ ძუძუები
იქნებ მთვარისგან მოგლეჯილი დოლაბებია.

მთვარის დოლაბებს აბრუნებენ
ჩემი ხელები –
ყველაზე ძველ
და ყველაზე მართალ
ინსტინქტებს ფქვავენ.

•

აბრუნეთ, დამსკდარო ხელისგულებო, ოქროს ძუძუების დოლაბები. აბრუნეთ, ოქროს დოლაბებო, ოქროსმაძიებლის ხელისგულები. ჩამოფქვით ინსტინქტები, ყველაზე ძველი და ყველაზე მართალი –

რათა დავნაყრდე. რათა დავიმშე. რათა დავნაყრდე, რათა დავიმშე. ნუ დამაპურებთ – ლუკმა მიყარეთ ხამუშ-ხამუშ, გამოზომილად – განა გასაძღომი – მადაზე მომყვანი –

რომ ავასრულო ბოლო მისნობა, შემორჩენილი შემოქმედის ჯადოსნობიდან – რომ გავაცოცხლო!

უკვე მთლიანად გაგაცოცხლო – ოქროს თოჯინა. ოღონდ არა – სამარადისოდ, ოღონდ – დროებით – სულ ცოტა და სულ იმდენი ხნით, რაც ჰყოფნის ხოლმე:

დახეთქილ ტუჩებს – ეგ ღიმილი შეიტკბარუნონ.

ამ ხელისგულებს – რიგრიგობით, არა – ურიგოდ, უკვე ოქროს ყველა ფრაგმენტის ყალიბებად ჩამოყალიბდნენ.

ტუჩებს, და ხელებს, და ყველაფერ დანარჩენს ჩემსას – ისევ გაკვალონ ოქროსხეულში პირველყოფილი ნეტარების გვირაბი-ჩიხი, ჟამით ჟამზე ჩამომეწყრილი.

მე და შენ – გავდნეთ ივლისის მზეში და ავავსოთ ჩემიშენი ზიარჭურჭელი, და გამიზავდე და გაგიზავდე ნამცეცებამდე, უჯრედებამდე, ატომებამდე... იქამდე, რაც პირველად იყო... ვერც დავეტიოთ, ვერც გადმოვიდეთ – დავიბზაროთ, დავიფშვნათ და ჩამოვიქცეთ დედამიწიდან ჩვენ – ნიაღვარი: შენ – ყოფილი ოქროს ზოდი და მე – ყოფილი იღბლიანი ოქროსმძებნელი.

•

ვერ გადავივლი შენი მკერდის ქედს.

და თუ როგორმე გადავივლი,
მხოლოდ იმისთვის,
ისევ უკან გადმოვიარო,

გადავლახო და გადმოვლახო
დაუსრულებლად.

აღარც სავალი მაქვს
და აღარც საჭვრეტი
ამ ქედის იქით.

აი, აჰა – გადმოვიხედე:

შენი მკერდის მწვერვალებიდან
რა პატარა...

რა პატარა...
არა, სულ არ მოჩანს ქვეყანა.

•

ვებღაუჭები ყუნწებს შენი ძუძუებისას. ხეო, ხეო ცხოვრებისაო, ტანს ნუ შეირხევ, ნუ შეიბერტყავ.

განა არ ვიცი? – უკვდავების წვენს არ მიგზავნი – ასე ტკბილი ვერ იქნებოდა. მერე ყუნწიც – გინდა ოქროსი – ხომ იმისაა, რომ ოდესმე მოწყდეს ან მოსწყდე...

მით უმეტეს, რომ – სად უკვდავება და სად სიზმარი – თავისი არსით ხანნაკლული, გაფანტული გაღვიძებისას. თუნდაც უძილო სიზმარი ჩემი, შენი ოქროს ნაყოფებით განათებული?!

ან შენ რა გინდა ამ სიზმარში, საიდან გაჩნდი? თითქოს ქვეყანამ გადმოგწიდნა, რომ შემირიგოს. თითქოს ქვეყნისთვის მოგიგონე – შევრიგებოდი.

შენც – თვალსა მჭრი და ვეღარა ვხედავ. შენც – გონს მიბანგავ და აღარ მახსოვს. ისე ანათებ, რომ აბნელებ ქვეყნიერებას. ქვეყნიერებაც აჩრდილების ნაფლეთებია შენი მკერდის თაკარა მზეზე.

და მოწყალე ვარ, რაკი ვერ ვხედავ. და მოწყალეა, როცა არ მახსოვს.

დამავიწყე, ხეო ცხოვრებისავ! დამაბრმავეთ, ოქროსფერო ძუძუებო!

•

თაფლის ტიკებია შენი ძუძუები.
მეშინია, წვეთი თაფლი არ დაიკარგოს

და ფეთფეთებით ვყარაულობ
სანუკვარ დვრილებს.

თუ გამიბეზრდნენ,
თუ გამიბრაზდნენ –
ავი ბზუილით წამომიფრინდნენ
შენი კერტები!..

ჯერ მე ვზუზუნებ –
მუქთახორა მამრი ფუტკარი –
და ფეთფეთებით ვყარაულობ
სათაფლე დვრილებს.

•

...მანამდე, ვიდრე ჩემი და შენი შუადღე გადაივლის. ვიდრე ივლისის მზე აგიყოლიებს, წამოგკრეფს – სხივებს – გაბნეულს და მოსაკლისებულს...

ანდა უფრო მიუკიბავ-მოუკიბავად: ვიდრე, ერთხელაც, საბედისწეროდ წაიფორხილებენ ერთმანეთზე შენი თვალები და ჩემი თვალები, და შენი თვალები და ჩემი თვალები ჩემს თვალებს თავგზადაკარგულ სიყვარულში გამოიჭერენ –
ვიდრე, ერთხელაც, გამომიჭერ, რომ გაცოცხლება გისწავლია შენით, უჩემოდ. და ამიტომ ვიდრე, ერთხელაც, შენით, უჩემოდ გაცოცხლდები. ვიდრე თვითონვე მოილოკავ საკუთარ ღიმილს. ვიდრე წამოკრეფ მზეძუძუებს, ფრთხილად გამოკრავ და გაიკრეფ ჩემი მიწიდან. ვიდრე ქვეყანაც, ჩრდილებად განფენილი, მტკაველ-მტკაველ აიზნიქება და ბობღვა-ფორთხვით გადმოგყვება სასაზღვრო ქედზე, რომელსაც შენი ძუძუებისფრად აწერია:

კიდევ ერთი უძილო სიზმრის

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

(2000-2018)

დიმიტრი წიკლაური

ჯეკის უიღბლო სიყვარული

1. დაბა

ხშირად ახალი მიჯობს ძველ წიგნს,
გავასრულებ და დავსვამ წერტილს.
სიტყვები, მელნით განაჟღენთი,
ცვილის დაღვენთილ ნაკადს ერთვის...
ცხოვრება ძველი იგავია,
ადრე რაც იყო, იგივეა,
თან თავის სივრცე უკავია,
თან უცხო სივრცესაც გთავაზობს...
არ მოგშორდება ბირკავივით,
სანამ არ გაქცევს სათამაშოდ.

*

ასეთი მახსოვს პროვინცია,
მწირი მინდვრები დამშრალ ტბებით.
ერთხანს ცხოვრებამ მომიწია
იმ უღიმღამო ლანდშაფტებში.
მცირეოდენი დანაკარგით
გამოშიგნული ანდეზიტი...
თითქოს აქ დაწვეს ჟანა დარკი,
თითქოს აქ წერდა ანდრე ჟიდი.

*

იქნებ სჯობდა დუმილი და დეპეშის გაგზავნა.
შეიფარა სტუმარი განშორების ვაგზალმა.
ნისლი დანთქავს ბილიკსაც, გზა ხომ მისი ახოა.
ახმაურდა რკინიგზა, ელმავალი ახლოა.
მიყრუებულ ბაქანზე ელმავალი შემოდის,
იქნებ მგზავრობს ის ქალი, ვისაც დღემდე ველოდი?

ჰოი, რა დრო გასულა და რა გვიან დაგეძებ,
მატარებლის ხმაური ისმის ლიანდაგებზე.

*

თვლემს ვაგზლის მომცრო შენობა, კენტად ანთია ნათურა,
რომელიც მთის მწვერვალიდან ჩანს, როგორც მინიატურა.
მდინარის პირას წნორი წევს, გაბეზრდა სინოტივით
და იკითხება მიდამო სევდიან სონეტივით...
მთვარის ყვითელი ოვალი დაჰნათის სპეტაკ სავანეს...
ყაშყაშით მოსთქვამს ყორანი, ეს ბებრუხანა მჩხავანა...
ესაა წუთისოფელი, ზრახვებითა და ხრიკებით.
ნაყარ-ნუყარით მოფენილ გზას, სხვა რა გზაა, მივყვები...
გზაზე ჭკვიანიც შემხვდება, უმეტესად კი ბრიყვები,
თან კი მარადი კითხვები, მტანჯავენ, გამოგიტყდებით...

*

ქალები რომ ჩხუბობენ, სოფლის მეძავებია.
კამათობენ, მოთქვამენ, ერთურთს ედავებიან –
ლაპარაკი არ იცი? იქნებ ენაბლუ ხარო!
ბრიყვო! ეს შენ არ გესმის! დაბადებით ყრუ ხარო!

*

ფხიზლად ცხოვრების მტრებია,
დუქანს რომ ეტანებიან,
წყვდიადში გზას ძლივს იგნებენ,
თუმც არ ადარდებთ სიბნელე,
მოდიან მკაცრი გრაფიკით.
სასმელი აქ იაფი ღირს.
თუმც სურვილები ჰქონდათ ულევი,
სმას შეაჩვია ყოფამ ოხერმა.
შემოინახეს ნაფეხურები
ლუდხანის ზღურბლთან გრძელმა ნოხებმა...

უღირს და ლოთ ქმარს გვერდს რომ უმშვენებს,
ეს გახლავს მისი ერთგული ცოლი
და თუ საათი სწორ დროს უჩვენებს,
არ უნდა იყოს სახლამდე შორი...
სულაც შეგვეძლო, რომ გვეთქვა ასე,
სხვა მნიშვნელობას შევძენდით ფრაზებს –
ყოფნა-არყოფნის ზღვარი, მცირე ნუგეშთა შორის –
დეპრესიული ქმარი... ეკლესიური ცოლი...

2. ჯეკი

ცხოვრების მთავარ საქმეს დიდხანს ვერ ჩავუჯექი...
შებინდდა წყალგამყოფთან და გამახსენდა ჯეკი.
ფუჭად გარჯილა მაესტრო, ვერ ჩაწვდომია საქმის არსს,
საუკეთესო მუსიკად მქუხარე ტაშს თუ აღიქვამს...
დაე, იყეფონ ავმა ძაღლებმა! დაე, იკნავლონ ანჩხლმა კატებმა!
ნაცნობი ხმები, ხშირად დამღლელი, მდინარის ხმაურს აღემატება.
გაღმა მხარეს რომ შენობა მოჩანს, გახლავთ სამხედრო აკადემია.
ვიწრო არხებში მღვრიე წყლის ნაცვლად, დაღვრილი სისხლის ნაკადებია.
და ამ სამხედრო აკადემიის სტუდენტი იყო ჯეკიც.
ერთი სემესტრი, ვაგლახ, დასრულდა მისი ოთახის ჩხრეკით,
მაგრამ ამ ხერხით ვერას დააკლებ ქუჩაში გამოჯეკილს.
ჯეკს ადვოკატი გამოესარჩლა, თავდებში ჩადგა მისთვის.
თავად ჯეკი კი თავს იმდაბლებდა, არ ვარო ამის ღირსი.
სწავლა განაგრძო მკაცრი პირობით, თუმცა ვერ დაამთავრა.
თოფ-იარაღი უყვარდა, მაგრამ გულს ვერ უდებდა სწავლას…

*

შავადმოსილნი, ვით მომლოცველნი,
თეთრი, ქათქათა ხელსახოცებით,
ჩქარობენ, თითქოს უნდა მიასწრონ,
კუბო შეუმკონ იასამნებით...
ის კი ამქვეყნის სურნელს ვეღარ გრძნობს,
რადგან იმ ქვეყნად მიაქვს ამბები.
*

გარდაიცვალა ადვოკატი,
ყველას შემწე და სათნო კაცი.
სცენიდან გააქვთ კულისებში
ხარაჩოს ძველი განძელები,
ხოლო შეწყვეტილ გულისცემას
ცის დაფდაფები აგრძელებენ…

*

ფარდები და კარადები,
ფართლეული, ცოტა ფარჩა
შეძენილი განვადებით...
იქცა განსჯის ქვაკუთხედად...
და იქცევა, როგორცა ჩანს,
მევახშეთა საკუთრებად.

*

განრისხდა ჯეკი და ერთ სისხამს
თავზე დაეცა მევახშის სახლს.
ავმა ძაღლებმა იწყეს ყეფა,
ჯეკმა ისინი დანით ჩეხა...
მარტო რას გახდებოდა?!
მერე კარგა ხანს ციხეც ხეხა,
ჭკუა ისწავლა ცოტა...

*

თანამესაკნე კავკასიელი,
შამილის ხმლით და კაფკას იერით.
თურმე ყოფილა ადრე მეარღნე,
მერე კი თითებს ამაოდ შლიდა,
ერთხელ ამ საკნის კარიც შეაღეს
და დაუდგინეს ნევროზი შიდა...
ფუჭად ურჩევენ უმწარეს წამლებს,
რომელსაც იგი არასდროს დალევს.
ექიმი სიტყვებს ამაოდ ჩრიდა.
არ აღელვებდა პროტესტი დიდად.

*

შეფს უწოდებდნენ მნახველები, ჭლექიანივით ახველებდა.
ბოროტ საქმეთა შემძლებელი იჯდა ფეხმორთხმით ბელზებელი.
მასზე ბევრი რამ გამიგია, შეუცდენია ბევრზე-ბევრი.
ზონა ხომ მისი ამინდია, ესოდენ მომაბეზრებელი...
არ ეშინია სიკვდილის, არა ღვრის ცრემლებს ცხარეს,
კაცი, დახვრეტამისჯილი, ბოლო წამს შეიწყალეს.
კამერა ჰქონდა ძველ მეარღნეს, ვერვინ ბედავდა ჩხრეკას.
ხშირად საქმეებს არჩევდა და თვლიდნენ მეფედ და შეფად.
განთავისუფლდა ბოლოს ისიც და მიაშურა ქუჩას,
სიცოცხლის ფასი უკეთ იცის, ვინც სიკვდილს გადაურჩა.
ის ვერ იტანდა დამსმენ ხალხს, გამყიდველს, ფლიდს და ვაჭარს.
უყვარდა ჯეკი, ნასტუდენტარი, სამშობლოს მთავარ ყაჩაღს.
ჯეკს კი გულზე არ ეხატებოდა, არ მოსდიოდა თვალში,
შეფს კი უძახდა, მაგრამ

გულსგარეთა და ცალყბად,
თვალში აყრიდა ნაცარს, ყაჩაღს, ესოდენ საშიშს...
როდესაც ვადამ განვლო და გამოვიდა გარეთ,
მონახეს შეფის ხალხმა და დაბა ჩააბარეს...

*

– რას საქმიანობ, ჯეკ?
– ისეთს არაფერს, შეფ!
ცოტა მომშივდა და
ხორცის ბულიონს ვხვრეპ!
– უფლება არ აქვს განგსტერს,
ბრძოლაში გადგეს განზე!
მალე ჩამოხვალ, ჯეკ?
– ასაღებ ფულებს ვკრეფ!
თუკი მოვრჩები ხვალ,
გამოვცხადდები ზეგ!

*

ორი დღის მერე სტუმრობდა ექთანს,
შეფმა რომ ისევ დარეკა ჯეკთან.
მან უგერგილოდ გასცა პასუხი,
ვით ადევნებულ, აბეზარ სექტანტს,
– ხვალე გნახავთ, ორშაბათს,
დღეს კვირაა, შორსა ვარ!

*

ელვის მსგავსია ჯეკი, ქუხილითა და ჭექით.
პაპის ნაქონი ფილთაქვა ესროლა ბებერ ვირთაგვას...
იგი მძვინვარებს ღვარცოფივით, მისი ცხოვრება მეფურია,
უსაზღვრობამდე განვრცობილი, სრულიად
განსხვავებულია.
ზედმეტი ფულის მიჩქმალვას, უნებლიეთ თუ ნებსით,

ჯეკი არავის პატიობს, არ შედის მის გეგმებში.
ცხოვრებას მაინც ვერასდროს ვერ დაამსგავსებ მეჯლისს,
თუ თანაგრძნობა გტანჯავს და თუკი სინდისი გქეჯნის.

*

ჯეკს სულის სიღრმეში არ სურს, დააშავოს,
თუმცა არც კი ეძებს რამე სამუშაოს.
ერთადერთი ვაკანსია მისთვის ციხის საკანშია...
მკურნებელი, უვნებელი სიტკბოება იასამნის,
რომ შეცვალოს სურნელებით დენთისა და ტყვია-წამლის.
არაფრად აგდებს მილიარდს, მას ყველგან თავის წილი
აქვს.
თუმც ჩასუქებულ ბანკირებს სიმდიდრით ვინ გააკვირვებს?

*

ლომბარდის მფლობელს, ბრუციანს,
ოქრო აქვს ასი უნცია, ერთიც რომ არ გაუცია.
მაგ მოდგმის ყველა ძუნწია, ასეთნი იყვნენ უწინაც.
ღარიბად რომ წარმოჩინდეს, ღრიჭოში ტილოები ჩანს,
ზოგან ძენძი და ბაწარი,
თუმც მიადგება ჯეკი და ფულის გაცემას ასწავლის...

*

ბარგით ჩამოვიდა ვინმე ესტონელი,
გახსნა ბაზრობები კაფე-რესტორნებით.
მალე დაიწყო ხალხში ტრაბახი,
რომ ჩაეწერათ, შედგებოდა ოცი თაბახი.
გააგრძელებდა ამდაგვარად დიდხანს და დიდხანს...
როდესაც ჯეკმა ინახულა, რუსულად ჰკითხა:
– ეტა ვაშ ბიზნეს
პაჩემუ ბეზ ნას?
მან უპასუხა, ვინა გდიხარო...

ჰოდა საზღვარი არა ჰქონდა ჯეკის სიხარულს...
უკანასკნელად ვაგზალზე ნახეს,
უბარგოდ, თანაც არ აჩნდა სახე...

*

ო, დაშოშმინდი, სდექ!
სიზმრები გტანჯავს, ჯეკ!
დათვი დაჰყურებს ხაფანგს,
ბღავის და სულსა ღაფავს...
ცუდად გენიშნა, ჯეკ!
რადგანაც ქედს იდრეკ,
და სხვა სიმღერას მღერიხარ,
თვითონ არჩიე ელიტას,
ცხოვრება ქარაფებში.
ცოტ-ცოტა ყველაფერი ხარ,
ბევრ-ბევრი არაფერი...

*

აგერ, სოფიოს ბებია ღიღინით კაზმავს ლობიოს,
მადისაღმძვრელი სურნელი მთელ უბანს რომ
მიმოფინოს...
რა ლამაზია სოფიო, დედამისია კოპიო,
მის ეშხს და მომხიბვლელობას შენატრის მთელი
მსოფლიო.
და ერთ დილასაც ჯეკი სოფიოს გადააწყდა.
იმ დღიდან მოსვენება სულ დაეკარგა საწყალს...
ჯეკი მოვიდა გონზე და მყისვე გადგა განზე.
უჯობს, ემოსოს სტიქარი, ლოცვა ემსგავსოს ქარს,
მიმოფანტავდეს კვამლს, ბოლი ზეგნებზე მოფინოს.
თან ახლდეს – ლამაზი ქალი, ქალი, სახელად სოფიო...
*

და გამოუტყდა ჯეკი სოფიოს,
– შენ მინდა, გიძღვნა მთელი მსოფლიო!
და შევეგებო ზღვას, იალქნიანი ნავით.
მგზავრად კი მთელი გზა შენ მყავდე... სხვა არავინ!
მიყვარხარ თავდადებით, გმოსავს ატლასის კაბა.
ძველს რომ ძლივს ვუმკლავდები, ახალ ბრძოლებში
მაბამ...
უთხრა სოფიომ ჯეკს, შენში სხვა სისხლი ჩქეფს,
გგონია უყვარხარ ამ ნაყარ-ნუყარ ხალხს?
შენ აღგიქვამენ მტრად! რად შემიყვარე, რად?
როცა ყოველი გაცხადდება,
ვინ გაპატიებს ამჩატებას?

*

მართლაც, ბოროტმა შეფმა
ჯეკთან ინება შებმა.
ბრძანება გასცა დილით,
დღეს ვერ იქნებით უქმად.
გული ჯავრს ვეღარ იტევს,
თოფები დაზეთილი,
ნალესი ხმლები, ბასრი,
მოდის მკვლელების რაზმი,
რომ მოაყუჩონ ჯეკი.
ყველას ხელს უშლის უკვე,
წრე კი იკვრება, წრე კი
ვიწროვდება და მალე
გაინასკვება ყულფად,
რომ დაბის ავტორიტეტს
სუდარად ექცეს სუფრა...
უნდა მოასწროს ჯეკმა,
უნდა გახიზნოს ტურფა...

*

ჯეკს დაეძებენ ბილწი მკვლელები,
ცივსისხლიანი, მარად ძველები...
სამეფო მოსპეს, მეფის ამალა
დარჩენილია ბედის ამარა.
ვინღაა მეფე კვერთხის გარეშე?
ვერ ატრიალებს სხვებს ყირამალა...

*

ჯეკი ჩაუყვა მღვრიე მდინარეს,
შლამით ჩახერგილს, ვიწროს და ქვიანს,
თუ დაყოვნდება, იცის, ინანებს,
რადგან სიკვდილი სადღაც აქვეა.
ნაპირი ჭავლთა ფერხთით ფენია,
ხეობა ვრცელი დერეფანია –
საშუალებას აძლევს მდინარეს,
ზღვაში მიაგნოს თავისიანებს.
მიერეკება ფოთლებს ქარები,
შორს კი მატულობს ქარის ბღავილი.
ჯეკი – დასჯილა ამ მწუხარებით,
თავსაც სუსტად გრძნობს ამ ნიავივით...
ცხოვრება მღვრიე ისტორიაა,
მდინარეებად ქცეულ ღელეთა...
სანამ ჰორიზონტს ბინდი ერევა.
ჯეკი გააღწევს ინდიელებთან...
ტომაჰავკებით ხარკის ამკრეფნი,
ღამით დამცემნი მდიდრულ სახლების,
ცეცხლთან მოხმობილ სულთა თანხლებით,
ტანს იხატავენ ფერად ფანქრებით.
ჯეკს არ ხვდებიან ჩვეულ ყიჟინით,
როგორც რჩეულთა და თეთრთა მეფეს,

ანცი ბელადი ბილწად იცინის,
მის წინააღმდეგ პირი თუ შეკრეს...

*

ბრუნდება გულგატეხილი და ასე ფიქრობს ჯეკი,
კაცი მსხვერპლია ბოროტის, ჩლიქებისა და რქების,
მტრები ძაგებით რომ კლავენ, მოყვარეები ქებით.
აჩრდილებივით ვცოცხლობთ და აჩრდილებივით
ვკვდებით...
მოაპირკეთეთ სამარე! მოახატინეთ ქვები!

*

ჭავლები მოაქვს ღელეს
და ლოშნის ნაპირს ქვიანს.
ცხოვრება ისეთია,
ბრძენს ბრიყვად მოგაჩვენებს.
მრავალი დროის მერეც
ჭავლები მოაქვს ღელეს,
ეს გაგრძელდება დიდხანს,
სანამდე უცემს გული.
ითქმება ბევრი სიტყვა,
მრავალი სისულელე
და ცოტა გონივრული...

3. ბრძენი

აქეთ მომავალ ბრძენს,
ნუ შესთავაზებთ რძეს!
იუკადრისებს ძღვენს,
თითქოს უწვდიდეთ ბზეს.
სიბრძნე გვასწავლე, ბრძენო,
ჩვენზეა გასამრჯელო!

*

ათანასეს რძალო, დაუკემსე ჯვალო,
არ შეგხედოს მწყრალად და გცნოს კეთილ ქალად.
ნაკითხია, მაგრამ სამოსელი არ აქვს.
ჭკვიანია, მაგრამ ლუკმა-პური არ აქვს.

*

მოდის სევდით შეპყრობილი, არ მჭმუნვარებს, არ იცინის...
ფეხითა აქვს შემოვლილი ალასკა და ცარიცინი.
სრულად გასცა, რაც ივაჭრა ფქვილითა და დარიჩინით...
დაჯილდოვდა ბოლოს მკაცრად მოაზროვნის მყარი
ჩინით...
ასეთები, სადაც მივლენ, სულ ყველგან გავლით არიან,
აღსავსენი ამ ცხოვრების დამღლელ ოხერტიალებით,
მოივლიან ჰოლანდიას, ინგლისსა და იტალიას,
მაგრამ არსად მკვიდრდებიან მარად მოხეტიალენი...

*

დადის ისევე (რაც მას უვლია!)
ვარსკვლავებია მისი გზამკვლევი.
ეს ბილიკები გაკვალულია
ქურდბაცაცებით, ბილწი მზაკვრებით,
საშიშ მკვლელებით და მეძავებით
და ავაზაკთა მოდგმის მსტოვრებით...
მათხოვრებს ვერას შეედავები,
ხელს არ იწვდიან აქ მათხოვრები.

*

სხვებისთვის ჰქონდა, თუ რამ ებადა,
ხორცის დამცრობით სული ნათდება.
არ ღირს ამქვეყნად ტახტის ძებნა და
ზედ მეფესავით მოკალათება...
მომცრო ჯირკოზე გაფცქვნის კარტოფილს

დაღლილი სევდით და სიმარტოვით...
ბაღში მოუსმენს ლეღვების ლუღლუღს
და მკუთავ კილოს კუტკალიების,
აბუჩად იგდებს წყვდიადში მწუხრი,
მთვარის უბადრუკ გამოძიებას.

*

დაბაში ბრძენი გამოჩნდა, შემოეხვია ხალხი.
მისჩერებიან მდუმარედ და ყეფს დაბმული ძაღლი...
ჯეკიც მათ შორის ჩადგა, ჩამოფხატული კეპით,
მოყუჩდა ისე მარჯვედ, ვერ შეამჩნევდნენ სხვები.
მრავალ შეკითხვით ბრძენს ჩაეძიენ,
თან რიხიანი ჰქონდათ აქცენტი,
ტახტზე დაბრძანდი, რახან დაბრძენდი
და ჩვენც გვიბრძანე, რა გზას ვეწიოთ...
უბრალო საკითხის გამო თავს ნუ შეირცხვენთ სტუმართან...
მიწის შესახებ ცას ჰკითხეთ, ის გაგცემთ პასუხს
გულმართალს.

*

ჰქონდა დაღლილი მზერა, როცა წარმოთქვა ბრძენმა,
– პატივცემული სახელები, ვით ლიანდაგის ვაგონები.
მაღალი რანგის მოხელენი ძაბვის სადენებს მაგონებენ.
საქმეს ნუ იჭერ, თუკი ბეცია.
გადაულოცე იგი ბრუციანს,
ზურგის შექცევა მათი წესია,
შემორიგება ფუჭად უცდიათ,
მყისვე შეიგრძნობ მათთან სიშორეს.
რადგან ბუტია რჩება ბუტიად.
ფულის დაზოგვით ფულს ვერ იშოვი...
ცხოვრება მკაცრი ინსტიტუტია...
დღეის ნაგავი რომ არ გახვეტოთ,

ხვალ რა აიტანს ათას საყვედურს?
ვინ დაგიბნელათ ასე გონება?
ჰაერში აგდებთ ვერცხლის მონეტას,
გვირგვინს ვამბობთ და გერბი ჯდებაო...
ერთ ბრიყვს ვიცნობდი, ვითომ საქმეს იიოლებდა,
ზღვაში თესავდა, მორწყვა აღარ დასჭირდებაო...
ჩვენ კი მივტოპავთ მღვრიე რუებს, ვიწრო ღელეებს,
იხვების ოხვრას ყურს ვუგდებთ და
ვროშავთ ათასგვარ სისულელეებს...
ღრუბლები, რუხი ძენძები ზეცის სიშიშვლეს ფარავს...
ყველას აქვს თავის შეწევნა, თავისი გზა და ძალა,
მწამს, უზენაეს ძალებს, ვინც ამ ქვეყანას მართავს,
მნიშვნელობა აქვს დიდი, როგორც ჯარისთვის სარდალს...

*

მერე კი ჯიქურ მიმართა ლოთებს.
მხრების აჩეჩვით ვიშვიში მორთეს.
– მეფურ რჩევას მოგცემთ, თუ დამისხამთ ღვინოს.
სულს იდუმალება არ დააკარგვინოთ!
მეც რომ სხვებივით მესვა არაყი,
ვერ მოვიყრიდი მათუსალას ხნის...

*

ბრძენი ათასგვარ ამბებსა ყვება:
– დამღალა სხვებით აღტაცებამ, ქებათა-ქებამ.
სხვების გულისთვის ნაზიდმა ქვებმა.
არ მივარგოდა პირობები, არ მქონდა კვება...
და თუ ცხოვრება გამაჩნდა მძიმე,
სამაგიეროდ არასოდეს ვკარგავდი იმედს.
კავშირი მქონდა მისტიური
ჩუმი და ევქარისტიული.
ტანჯვას ვუძლებდი ცამეტწლიანს

ერთი ვნება რომ დამეძლია...
მე არასოდეს ვიყავი უქმად,
დევნილ არტისტებს შევუერთდი, ვიყოფდით ლუკმას
და როცა ჩიხში აღმოვჩნდით, ჩიხი არენად ვაქციეთ
და ზედ გავმართეთ თამაში შეშლილმა ჯამბაზებმა...
ამგვარად ვხსნიდით საქციელს,
რის გამოც ბევრჯერ დაგვცინეს.
დოქებში ღვინო გვესხა და ხელში ჯამები გვეპყრა.
საქმე მშვენივრად იციან,
გავმართეთ რეპეტიცია,
როლები უცებ მოვირგეთ, ვეტევით ალბათ დროში...
ერთი – ტუსაღი ზებრა, მეორე – ალბატროსი.
ხოლო სულ ბოლოს დავდგით სპექტაკლი
მწვერვალის თოვლზე უფრო სპეტაკი...
ვითომ ვზიდავდით მაღლა მთისაკენ
ტალახით სავსე მძიმე კიდობანს.
გზადაგზა გვღლიდა ოღროჩოღრობა,
დაღლილობა და უამინდობა,
მაგრამ გვჯეროდა, თუ მივაღწევდით,
დამყარდებოდა ქვეყნად მშვიდობა,
დაივანებდა სიამტკბილობა
და გაქრებოდა პარვა, ფლიდობა.
ტალახი თვითონ გადიქცეოდა
ოქრო-ვერცხლად და თვალ-მარგალიტად,
და მერე მათთვის ჩვენც ვიქცეოდით
მიბაძვის ღირსად და მაგალითად...

*

ვინც მიიჩნევდა ნათქვამს თავისად,
თითქოს გაუქრა სევდა და დარდი,
იქაურობას ტოვებდა მყისვე...
და დარჩა ჯეკი სულ ბოლოს მარტო.

ბრძენის უცნაურ ლაპარაკს ვეღარ უგდებდა ყურს.
– მიამბე, ჯეკ, რა გაწუხებს, თუკი გამხელა გსურს?
– მითხარი, ბრძენო! – წარმოთქვა ჯეკმა,
ნუთუ იცოდი, ჯეკი რომ მერქვა? –
ბრძენს გაეცინა და განაგრძო მან სევდიანად,
ოცნების გამო თავი ბევრმა დაიზიანა.
კაცი მიიწევს შემართებით, როგორც ულისე,
თავის ხანგრძლივი ოდისეის დასასრულისკენ.
შენც ხომ შენ ალღოს მიჰყვებოდი, სანამ ერთხელაც არ გიმტყუნა.
თავი გეგონა სამშვიდობოს, როს მიადექი დათვის ბუნაგს...

*

სანთლებით გვართმევენ
შენებრ ვაჟკაცებს, ჯეკ!
არწივის მართვეებს
კლდის ნაპრალები ჩეკს...

*

ჰოდა, მისმინე, შვილო, ნუგეშისცემას ვცდილობ.
ცხოვრების მძიმე ჩარხი არ გახლავთ მონაჩმახი.
ძვირფას ტილოთა შორის ჩანხარ, ვით მონახატი.
რომ არა მონა-ხალხი, შენც შენ გზას მონახავდი...
ფუჭად ამაყობს კნუტი, არ გაჩენილი თაგვად...
ყოველი დღე და წუთი ამქვეყნად დათვლითა გვაქვს!
არც ჩვენი ნებით მოხდა, ამქვეყნად ერთად შეყრა.
უნდა ვიცხოვროთ ბნელში, ხელში სანთელი გვეპყრას!
როგორც ღვთის გამოჩენა ირწმუნა სამმა მოგვმა,
ჩვენც ნათელ ვარსკვლავს მივყვეთ, სანამ ვცოცხლობთ და დრო გვაქვს...

*

ამასობაში ირგვლივ ჩამოწვა ბნელი ღამე,
უკანასკნელად ბრძენმა უთხრა ასეთი რამე,
– გაგყიდის ყველა, შენი სამკვიდროც,
ვერაფერს შეცვლი, ასე ჩათვალე.
ბოლოს თვით შენი სისხლიც გაგყიდის,
თუ დაჭრილი ხარ
და მდევარი მოუყვება სისხლის ნაკვალევს...

4. გაქცევა

და მიხვდა ჯეკი ბრძენის სიტყვებით,
ცხოვრება კარგს რომ არას უქადდა.
მისი წუხილი უფრო ღრმა იყო
და უფრო მძიმე სხვის საწუხართან.
მხოლოდ სოფიო გახლდათ მიზეზი,
რაც აკავებდა ჯეკს ამ დაბაში.
ფორნით გასწია მისი სახლისკენ,
წამოიყვანა, სანამ განგაში
ატყდებოდა და გაუყვნენ ერთად
ჩრდილებში, ჯეკი სინათლეს უფრთხის...
მალე გაისმა, ვით გულის ფეთქვა,
თოფების სროლა და ბათქაბუთქი...

*

გადაიქცა ზეცა მწვანე მალაქიტად,
ჰორიზონტთან შეერია ტყეს.
სიყვარული გაქრა დაბა-ქალაქიდან,
სანთელივით დაიღვენთა დღე.
ორნი ისხდნენ ფორანში და იწვა ბინდი
და ეჟვნები აკვნესებდნენ ზარს,
ისე გასცდნენ, ვერ შენიშნეს ძველი ხიდი
და მდევარიც გამოუდგა გზას,
დაეწივნენ, საფრთხე ამცნეს საყვირებმა,

მათ კი წყალში ვერ გააგნეს ფონს.
ბედმა მხოლოდ ერთხელ იცის გაღიმება,
მხოლოდ ერთხელ გეუბნება ჰო-ს...

3. ახალი თარგმანები

ვლადიმირ მაიაკოვსკი

რუსულიდან თარგმნა ნინო ქოქოსაძემ

სასტიკად იკრძალება

ამინდი – მაისის შესაფერი.
რისი მაისი –
სისულელე.
ზაფხულია ისეთი,
ხალისით უყურებ ყველაფერს:
მტვირთავს,
კონტროლიორს
ბილეთის.
ხელს თვითონ
კალამი
აიღებს,
გულს წამოადუღებს
სტრიქონი
და მზად ხარ,
ედემის განრიგში გაწერო
ქ. კრასნოდარის
ბაქანი.

განწყობა –
ჩინური ჭურჭელი
ჩაისთვის.
აქ უნდა უსტვინოს
ბულბულთა დასმა.
უცებ კი,
კედელზე:
– კონტროლიორისთვის
სასტიკად იკრძალება
კითხვების დასმა!

ეგრევე –
გულისთვის – მარწუხად.
ქვად – ბულბულებისთვის ტოტიდან.
არადა
მინდოდა მეკითხა:
– როგორ ხარ?
რას შვები?
– ბავშვები
როგორ გყავს?
მე კი ჩავიარე
მიწას მიბჯენილი თვალებით.
ვქირქილებ –
ვერ ვპოვე მფარველის წყალობა.
მინდოდა მეკითხა
და
აკრძალულია –
ეგებ და გეწყინოს კიდევაც –
მთავრობავ!

1926

ასე გავძაღლდი

ეს უკვე სავსებით გაუსაძლისია!
მთლიანად, ასე ვთქვათ, დახრული დარდებით,
თქვენსავით კი არა,
მელოტი მთოვარის სახეს რომ ეხვევა,
მე იმ ქოფაკივით –
ვბრაზდები.

ნერვების ბრალია...
გამოვალ,
გავივლი.
ქუჩაშიც არაფერი! იგივე განწყობა!
ვიღაცამ შემიყვირა, ნაცნობმა – სალამივით,
ვლამობ და –
ადამიანურად
პასუხი ვეღარ გამიცია.

რა უმსგავსობაა!
მძინავს თუ რა არის?
სახეს ვისინჯავ და –
იგივე!
ჩემში –
არ არის ცვლილება! ტუჩი მოვისინჯე
და ტუჩის ქვემოდან –
ეშვი!

ხელი მივიფარე, ვითომ ცხვირს ვიხოცავ,
ავჩქარდი! ნაბიჯი ორ ნაბიჯს უდრის!
ფრთხილად ავუქციე გვერდი პოლიციას,
და უცებ განწირული: გუშაგო!
კუდი!

მოვსინჯე. გავქვავდი!
პიჯაკის ქვემოდან,
რომ არც შემინიშნავს სირბილში – მრუდი,
ის –
ეშვზე უარესი,
გამოჩრილიყო და,
დამთრევდა ვეება, ძაღლური კუდი!

რაღა ვქნა?
ყვირილზე ბრბომ იწყო მატება,
მარცხენას მარჯვენა,
წინას კი უკანა –
მოჰყვა და მოეჯარა,
პირჯვარს რომ იწერდა,
ეშმაკს რომ ახსენებდა –
გათელეს ბებრუხანა.

და როცა ამეშალა ცოცხივით ულვაში,
ბრბო შემომესია
მზირალი ავად.
დავდექი შუაში ოთხზე და
ავყეფდი:
ავ! ავ!

1915

6 მონაზონი

ნაღვერდალიდან ამოღებულ
კარტოფილის სიფათით, შავით,
იმ ზანგზე უფრო,
აბანო რომ არ უნახავს
თვალით – საერთოდ,
ღვთისმოსავი კათოლიკე,
ექვსი ასკეტი –
გემი „ესპანის" ბორტზე გაეძრო.

გინდა წინიდან,
გინდ უკნიდან –
ლარივით სწორი.
მხრებს,
როგორც ლურსმანს –
ჰკიდია შალი,
სახეები კი –
მოვლებულა ქათქათა გოფრით,
ვით სააღდგომოდ –
ხელსახოცით გოჭის
ბარკალი.

აივსოს წლებით
ცხოვრების კვოტა,
სანახაობა ამდაგვარი
ეყოფა მარტო –
გაიხეს პირი მთქნარებისაგან
მთელი მექსიკის ყურეზე ფართოდ.
ზესუფთა –
როგორც ბორაქსის ხსნარი,
ჯარი – ერთად რომ იწყებენ კვებას,

თავს აფარებენ, ჭამის მერე, საპირფარეშოს.
ერთი ამთქნარებს –
ამთქნარებს
ყველა.

ცნობილ ადგილას –
სიმეტრიულად,
სადაც ქალებს აქვთ ბორცვები (მკერდი)
ამათ ღრმულები ამოუვსიათ –
ვერცხლის ჯვრითა და პიუსის მედლით.
როს სამოთხეში –
ნაადრევად გადაჭვრეტილებს,
ცოტა ზედმეტი წაძინება წასცდება თვალებს,
უდირიჟორო ორკესტრივით –
ექვსეული აირევა და,
ექვს სახარებას (გზად საკითხავს)
ამოალაგებს.
შეხედავ ღამით –
ჩამომსხდარან და პრუტუნებენ,
და ყოველგვარი გადამეტებით:
დილას, საღამოს,
შუადღეს –
სხედან
და პრუტუნებენ, პრუტუნებენ –
ღვთის ჩერჩეტები.
ჩავლენ, იცვამენ 12 გალოშს,
მაშინვე, როცა –
დღის იერს ოდნავ გადაკრავს ბინდი,
მერე ამოვლენ კაბინებიდან
და ისევ –
შეხმატკბილებული წკმუილი მიდის.
ვიცოდე ენა – ესპანური,

ვკითხავდი ბრაზით:
ანგელოზებო,
უპასუხეთ პოეტს მარტივად:
თუ თქვენ ხალხი ხართ,
ვინ არიან ყვავები მაშინ?
თუ ყვავები ხართ,
რად არ დაფრინავთ?
აგიტატორო!
ნუ ძვრები კანში,
მოავლე თვალი მთელ დედამიწას.
საუკეთესო ათეისტიც კი –
ვერ მოიფიქრებს ამაზე კარგ შარჟს.
ო, გიხაროდენ,
ჯვარცმულო ქრისტე!
ნუ დაუსხლტები
შენი ძელის სამსჭვალებს,
გიჯობს!
როცა მეორედ მოხვალ ამქვეყნად,
დარდისგან –
ნაღდად –
თავს ჩამოიხრჩობ.
1925

დამშვიდობება

ავტომობილში!
დახურდავდა ბოლო ფრანკიც კი.
– რომელ საათზეა მარსელის რეისი? –
ჩემ გვერდით გარბის და
არნახულ ქარიზმით
მაცილებს პარიზი.
ჩადექი თვალში
გაყრის დურბელა,
სენტიმენტებით გამიხეთქე გულის ტომარა!
პარიზში დავრჩებოდი სიკვდილამდე – უცვლელად,
მოსკოვი რომ არა.

1925

მიშელ უელბეკი

ერთი ტონა სასოწარკვეთა

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა

ამ ბოლო დროს საქართველოში მიშელ უელბეკის სახელი იმდენჯერ გაჟღერდა, რომ გვარების წარმოთქმის სიხშირის მხრივ საზოგადოების ყველაზე რეიტინგული ფენა — პოლიტიკოსებიც კი დაჩრდილა. ლიტერატურის ვარსკვლავები (ორჰან ფამუქი, ფრედერიკ ბეგბედერი, ვლადიმირ სოროკინი და ა.შ.) სხვა დროსაც ჩამოსულან საქართველოში, მაგრამ ამდენ ადამიანს უსასრულოდ არ უტრიალებია მათი გვარები ბორბალში მომწყვდეული ციყვებივით.

რატომ არის მიშელ უელბეკი ასეთი სკანდალური და საინტერესო ქართველებისთვის, ეს თვითონ მუსიე მიშელისთვისაც ძნელი ასახსნელი აღმოჩნდა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ასეთ შემთხვევაში რაღაც ერთი ნიშანი მუშაობს. როგორც წესი, პოპულარობას ვიწრო წრე ქმნის, დანარჩენები კი სნობურად მიჰყვებიან ხოლმე ფეხისხმას. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ უელბეკი ის იშვიათი უცხოელი მწერალია, რომლის თითქმის ყველა წიგნი მყისიერად ითარგმნება ქართულ ენაზე და შემდეგ კარგადაც იყიდება. თუმცა წიგნების ათვლა მისი მსოფლიო დონის ბესტსელერიდან (“ელემენტარული ნაწილაკები“) იწყება და თითქმის არავის ახსენდება, რომ ლიტერატურული საქმიანობა პოეზიით დაიწყო და რამდენიმე არც თუ ისე წარუმატებელი კრებულიც გამოსცა 90-იან წლებში.

თუ პროზაიკოსი უელბეკი ცინიკური და მკაცრია ადამიანების მიმართ, როგორც პოეტი, მთლიანად იშორებს გამოხატვის ამ საშუალებას და აღსარებებს ამბობს საკუთარი თავისა თუ ადამიანების წინაშე. თუ პროზაიკოსი

უელბეკი თავხედურად დასცინის, პოეტი ბოლომდე შიშვლდება და არ ერიდება, იმავე ადამიანს, რომელსაც პროზაში სარკასტულად არიგებდა ჭკუას, ახლა თავისი უსუსურობა დაანახოს. მისი ლექსები თითქოს თავის თავში მოიცავს იმ მთავარ მიმართულებებს, რაც კი მსოფლიოს საუკუნეების მანძილზე შეუქმნია. თუმცა, მიუხედავად ამ სისრულისა და მრავალმხრივობისა, თითქმის ყველა ლექსში ისმის მისი სასოწარკვეთილი ხმა, რომელიც რევერბერირებს სტრიქონიდან სტრიქონში, თითქოს ბედისწერის ექოაო, რომელიც ბოლოჯერ გაძლევთ რჩევას ან უკანასკნელი თხოვნის შესრულებას გპირდებათ…

წერო უელბეკის ლექსებზე მას მერე, რაც უკვე წაკითხული გაქვს რომანები, ეს იგივეა, ნაჯახი გააყოლო ხეზე ამოტვიფრულ ორნამენტებს მათი უკეთ აღქმის მიზნით. იმის თქმა მინდა, რომ ერთი შეხედვით აბსოლუტურად უცნობი უელბეკი იხსნება თქვენ წინაშე. მაგრამ უფრო კარგად თუ დავაკვირდებით, ის უბრალოდ ნიღაბს იხსნის, ნიღაბს, რომელსაც რომანის წერისას ირგებს ხოლმე.

უელბეკის აზრით პოეზია ტანჯვით იწყება და ტანჯვითვე სრულდება. საუკეთესო პოეტები კი მიტოვებული ბავშვებისგან, სიყვარულში უარყოფილებისგან, დაღუპული ახლობლები რომ ჰყავთ, იმათგან იზრდებიან, რომელთა ცხოვრებაც ადრეული ასაკიდან ფსიქოლოგიური სტრესებითაა სავსე. ტანჯვას უნდა ეძიებდეო, გვმოძღვრავს ის თავის ესეში დამწყები პოეტებისათვის. უნდა გძაგდეს საკუთარი თავიც და სხვებიც, ცხოვრობდე უსიყვარულოდ და აგროვებდე უიმედობასა და განხიბვლას სამყაროს მიმართ. სწორედ ესაა უმთავრესი პოეტური კაპიტალი. ისწავლო პოეტობა, ეს ნიშნავს, გადაეჩვიო ცხოვრებას. მისი ლექსები სწორედ რომ ამ ფორმულირების დადასტურებაა. თითქოს ავტორი

ცდილობს, მისდიოს თავისსავე წესებს. მარტოობა და სიკვდილი — ესაა მისი სასოწარკვეთილი აღლუმი ლექსებში. სექსი, რომელსაც მის პროზაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, აქ მხოლოდ სკეფსისის საგანია. მისი ლირიკული გმირი ადამიანიც კი არაა, არამედ არსება, რომელიც სავსეა საკუთარი თავისადმი სიძულვილით. უფრო სწორად, სიძულვილის განცდით, რომელიც რეალურად სასოწარკვეთილი ადამიანის ბრძოლაა სრულიად საპირისპირო ფასეულობების არსებობაში დასარწმუნებლად: "დრო იყინება, სიცოცხლე გვტოვებს", "არ მსურს სიცოცხლე და მეშინია სიკვდილის", ან "როს ჩვენი სხეული უკიდურეს ზღვარს მიუახლოვდება, შემაძრწუნებელი უძრაობის წუთებს შევიცნობთ." უკიდურესი აზრები ხშირად გამოწვევაა ხოლმე ამ საპირისპირო ფასეულობებში დასარწმუნებლად. ის გულმოდგინედ გვიხატავს სამყაროს, სადაც არ არსებობს სიყვარული. გარშემო სიკვდილი და სიმარტოვეა. ერთადერთი უნარი, რაც მის ლირიკულ გმირს აქვს, ესაა ხალისისა და მხიარულების დანგრევა, წაშლა. რადგან გამოუსადეგარი იყო ახალგაზრდობა და საზიზღრობად ქცეულა სიბერე. ცხოვრებას ანგარიშებს მოსთხოვ თუ სულაც ბადეში გაეხვევი, ყველაფერი სულერთია. – ამბობს. ქვეყანა, სადაც ის ცხოვრობს, გაუცხოებული ადამიანებითაა დასახლებული. ადამიანები თითქმის არ განსხვავდებიან ჭურჭლის სარეცხი მანქანებისგან, გაზქურებისგან, ლეიბებისგან. ერთადერთი – მათ აქვთ ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა, თუმცა უელბეკისთვის სწორედ ესაა გულისამრევი. "ჭეშმარიტება — ესაა გუბე ყასბის დახლის წინ." სიყვარული კი:

"სიყვარული არსად არ არსებობს.
ეს მხოლოდ სასტიკი თამაშია, მსხვერპლი კი თქვენ ხართ,

გარწმუნებთ, სპეციალისტების თამაშია, სხვა არაფერი.“

პერიოდულად მისი ლექსების პერსონაჟი ცდილობს, თავი დააღწიოს იმ გალიას, რომელიც თავადვე შემოიქსოვა გარშემო. სანაპიროზე მონებივრე ოჯახის დანახვისასაც ამბივალენტური განცდები აქვს – რომელი სჯობს, ეკუთვნოდეს იმ სამყაროს, იყოს ერთი იმათგანი თუ მოიცილოს სქემები, კლიშეები და დარჩეს იმად, ვინც არის. ასეთი ფიქრები მის ლექსებში ხშირად სიკვდილის სურვილით მთავრდება ხოლმე., თუმცა ესეც უაზრობად ეჩვენება, დაახლოებით ისეთსავე უაზრობად, როგორიც სიცოცხლეა:

“იქნება სიკვდილი... შენ ეს იცი, საყვარელო ჩემო,
იქნება უბედურება და უკანასკნელი დღეები...
ადამიანი არასოდეს არაფერს ივიწყებს. სიტყვები და სახეები
ზანტი ფრენით მიემართებიან უკანასკნელი ნაპირისკენ,
იქნება სინანული, დაბოლოს, ყოველივეს დასასრული –
ბნელი ძილი...”

და მაინც, ერთი ტონა სასოწარკვეთის მიუხედავად, მის ლექსებში არის სინათლეც, იმედიც, რომლის აღმოჩენა არც ისე იოლია. სიკვდილიც, შეიძლება, როგორც მისი ბრძოლა, ასე გავიგოთ, რადგან ესაა რაღაცის შეცვლის სურვილი და მისი იმედიც სწორედ ამიტომ სიკვდილთან ინაცვლებს, რაც ეწინააღმდეგება სხვების გაგებას. რადგან სხვებისთვის საუკეთესო – ეს სიცოცხლეა. ხოლო უელბეკისთვის სიცოცხლე დაახლოებით ასეთია: “მუდამ თან დამყვება ნაწილი ზამთრისა, პარიზის შუაგულში ვარსებობ, ვითარცა უდაბნოში.”

საბოლოოდ კი ეს “უდაბნო” მისი რომანების ინსპირატორი გახდა, სამყარო, რომელიც სიძულვილით ვერ

გამოაფხიზლა, საშინლად ბასრი სარკაზმით შეანჯღრია და რამდენიმე ნაწილაკი მაინც გადااადგილა ჩვენში.

სტატიაში გამოყენებულია ციტატები გიორგი ეკიზაშვილის მიერ თარგმნილი ლექსებიდან.

ლელა კოდალაშვილი

მთარგმნელობით საქმიანობაში მიღებულია კონვენციური ლექსის თავისუფალი პრინციპით თარგმნა, რათა პოეტის აზრი უცვლელად მოგვაწოდოს მთარგმნელმა და არ მოუწიოს კომპრომისის გაკეთება რითმის სრულფასოვნების შენარჩუნებისთვის.

მიშელ უელბეკის ეს ლექსებიც არ ინარჩუნებს კონვენციურ ფორმას ქართულ თარგმანში. მთარგმნელმა გადაწყვიტა, ესარგებლა თავისუფალი თარგმანის პრინციპით და ქართველი მკითხველისთვის ზედმიწევნით სრულყოფილად გადმოეცა ავტორის სათქმელი.

ლექსები

ასე ამბობს უელბეკი:
“მარჯვენა თვალი +10, მარცხენა -10, ამიტომ ყოველივეს სხვებისგან
განსხვავებულად ვხედავ, განსაკუთრებით კარგად ვარჩევ ცხოვრების მტკივნეულ
წერტილებს და თითით ვაწვები... დაე, ადამიანებს კიდევ მეტად ეტკინოთ!
იქნებ რაღაცას მიხვდნენ...“

უკანასკნელი დღეები

მოვა დღე... დადგება ჟამი უჟამობისა,
იქნება ძნელი, მტანჯველი ღამეები.
როდესაც მაგიდაზე უღონოდ დაყრილ
მკლავებში თავჩარგული ადამიანები ატირდებიან,
როდესაც სიცოცხლე წვრილ ძაფს გამოებმება...
საყვარელო ჩემო, ვიცი, რომ ქალაქის ქუჩებში დადიხარ...

იქნება დაწერილი და მერე ნაგლეჯებად ქცეული
წერილები,
იქნება ხელიდან დასხლეტილი შესაძლებლობები,
დაღლილი მეგობრები,
უმიზნო მოგზაურობები, ამაო ძიება სასურველი მხარისა.
იქნება უმოძრაობის საათები თაკარა მზის ქვეშ.
იქნება შიში, რომელიც თან მდევს, მუდამ და ყველგან.

ზოგჯერ მიახლოვდება და სახეში შემომცქერის, –
სათნო ღიმილი, ნაბიჯი მშვიდი და მტკიცე,
ელვარე თვალებში უამრავი მოგონება,
ფოლადის ხელებში კი ჩემი მიმავალი –
შიში, რომელიც სამყაროს თავს ადგას, ვითარცა ყინულის
შარავანდედი;

იქნება სიკვდილი... შენ ეს იცი, საყვარელო ჩემო,
იქნება უბედურება და უკანასკნელი დღეები...
ადამიანი არასოდეს არაფერს ივიწყებს. სიტყვები და
სახეები
ზანტი ფრენით მიემართებიან უკანასკნელი ნაპირისკენ,
იქნება სინანული, დაბოლოს, ყოველივეს დასასრული –
ბნელი ძილი...

* * * (ამ სახლების მიღმა...)

ამ სახლების მიღმა
სხვა სამყაროა.
ჩემს არსებაში იფეთქებს
იმ სამყაროს სურვილი...

უბადრუკი სახლების გროვა,
ჩემს მე-ს სისხლი დასდის...
ვესწრაფვი სამყაროს, სადაც უყვართ,
სადაც ოკეანის ზვირთებს ადამიანები ერკინებიან...

უარი ამ უსახურ აუზებს,
რომლებშიც გარეუბნის მობინადრენი ნებივრობენ...
ნანგრევებად ქცეულ დისკოთეკებში
უსაქმურნი იზმორებიან და მასტურბირებენ...

სული ნაპრალებმა დასერა,
მსურს ვიპოვო სიხარული,
მსურს შევეთვისო ადამიანს და ბუნებას...
ვერას ვახერხებ... მცივა...

* * * (ო, ეს სურვილი არაფრის კეთებისა...)

ო, ეს სურვილი არაფრის კეთებისა, განსაკუთრებით,
არაფრის განცდისა,
ეს უცაბედი საჭიროება დუმილის და განშორებისა,
თავის წარმოდგენისა ბებერ სენატორად,
ლუქსემბურგის წყნარ ბაღში ხეების ჩრდილს რომ
შეფარებია...

ვერც ბავშვები, ვერც ქაღალდის გემები,
ვერც მუსიკა, ვერც სიყვარული და ვერც შიში
დამირღვევს გულგრილ მედიტაციას, თითქმის
ატარაქსულს...
დაივიწყეთ ძველი ალერსის მოგონება!

გაუჩინარება

დავდივართ ქუჩებში, თვალს ვუსწორებთ გამვლელებს
და ეს განსაზღვრავს ჩვენს ყოფიერებას სამყაროში;
კვირის დასასრულის აბსოლუტურ სიმშვიდეში
ნელა მივუყვებით სადგურის გზას.

ფართო ტანსაცმელი შეიფარებს ნაცრისფერ სხეულს
უძრავი დღის მიწურულს,
ჩვენი პატარა სული, დასაღუპად განწირული,
ტანსაცმლის ნაკეცებში წრიალებს. მერე გაყუჩდება...

ჩვენ ვარსებობდით, გვიმტკიცებს ლეგენდა,
ჩვენი სურვილით ავაგეთ ეს ქალაქი,
ვებრძოდით შემოსეულ მტერს,
მერე კი დასუსტებული ხელებიდან გაგვისხლტა სადავეები

და სამუდამოდ დავემშვიდობეთ ყოველივე შესაძლებელს,
დრო იყინება, სიცოცხლე გვტოვებს
და დუმილიდან ამოიზიდება წარსული დღეების გახსენება,
ჩვენი სხეულებიც თანდათანობით უჩინარდება.

გარე სამყარო

რაღაც სიკვდილის მსგავსმა დაისადგურა სულში...
ბუნდოვანი ნევროზი, სიხარულის არარსებობა.
მუდამ თან დამყვება ნაწილი ზამთრისა,
პარიზის შუაგულში ვარსებობ, ვითარცა უდაბნოში.

დღისით გავდივარ ლუდის საყიდლად,
სუპერმარკეტში რამდენიმე მოხუცია.
ადვილად ვახერხებ, ავერიდო მათ გამოხედვას
და არ მაქვს სურვილი, გავეპასუხო მოლარე ქალს.

არაფერს ვერჩი მათ, ვისაც გულჩათხრობილი ვგონივარ,
მუდამ ასე იყო, სხვებისთვის გუნების გაფუჭება
მეხერხებოდა.
ადამიანებს მხოლოდ სინანული, შფოთი, მარცხი და
სიცარიელის
გამოცდილება შეიძლება გავუზიარო.

სიმარტოვეში ოცნებას ვერარა დამირღვევს,
ოცნება შეენაცვლა სიცოცხლეს და ბედისწერას,
ექიმებს რომ ჰკითხოთ, ყველაფერი ჩემი ბრალია,

ასეცაა, ცოტა მრცხვენია და სჯობს, გავჩუმდე,
სევდით ვაცქერდები საათის ისრების ტრიალს,
წელიწადის დრონი კი ერთმანეთს მიჰყვებიან გარე
სამყაროში.

* * * (მეშინია ჭკუადამჯდარი და მორჩილი ადამიანების...)

მეშინია ჭკუადამჯდარი და მორჩილი ადამიანების,
ვისაც სურთ, წამართვან ჩემი ამფეტამინები.
რატომ მაშორებენ ჩემს უკანასკნელ მეგობრებს?
სხეული დაიღალა, სიცოცხლე ნანგრევებად იქცა.

ხშირად ექიმები, ეს ჩაშავებული მუწუკები,
არაფრისმთქმელი ფორმულებით ღლიან ჩემს ტვინს;
ყოველგვარი წესის გარეშე ვარსებობ...
მიმიფურთხებია... ის, რასაც ვესწრაფვი, ამ ცხოვრების
გარეთაა...

დილით, ზოგჯერ საწოლზე წამოვჯდები და ვყვირი;
უცებ გადამივლის, დიდხანს არ გრძელდება, მაგრამ
ტკივილი რჩება;
არაფრად მენაღვლება, რა თავში ვიხლი სოციალურ
დაცვას,

საღამოობით ვკითხულობ კანტს, საწოლში მარტო ვარ.
ვფიქრობ ჩავლილ დღეზე – დამამშვიდებელი
წამალივითაა.
ფეხებზე მკიდია... საწყის წერტილს ვუბრუნდები.

* * * (ჩემი სხეული წითელი ძაფებით ნაქარგი ტომარაა...)

ჩემი სხეული წითელი ძაფებით ნაქარგი ტომარაა,
ოთახში ბნელა, ჩემი თვალი სუსტად კიაფობს.
მეშინია წამოდგომის, ჩემს სიღრმეში ვგრძნობ
რაღაც რბილს, ბოროტს, მუდმივად მოძრავს.

რამდენი წელია, მძულს ეს ხორცი,
ადვილად მოწყვლადი, ქონიანი, ოდნავ დაჩვრეტილი,
რომელიც ზემოდან ედება ჩემს ძვლებს,
ცოტა ქვემოთ კი ორგანო, რომელიც მკვრივდება.

მძულხარ, იესო ქრისტე, რომ მიწყალობე ეს სხეული!
მეგობრობა ქრება, ყოველივე გარბის, ყოველივე ჩქარობს;
წლები მისრიალებენ, იკარგებიან და აღარაფერი არროდეს
აღდგება;
არ მსურს სიცოცხლე და მეშინია სიკვდილის.

სიყვარული, სიყვარული

პორნო-კინოთეატრის დარბაზის კუთხეში შეყუჟული
მორცხვი პენსიონერები
ჭვრეტენ, თუმც კი არ სჯერათ,
ორი ვნებამორეული წყვილის სასიყვარულო თამაშებს;
და არავითარი ინტრიგა.

“აი, ეს არის, – ვფიქრობ მე, – სიყვარულის სახე,
ჭეშმარიტი სიყვარულისა“.
ზოგიერთი სახე მართლაც მომხიბვლელია,
სხვები ნაგლეჯებად თუ შემორჩება მეხსიერებას.

არ არსებობს ბედი, არც ერთგულება,
მხოლოდ სხეულები, რომლებიც ერთურთს მიიზიდავენ.
არც გრძნობა, არც შეცოდება,
ადამიანები თამაშობენ და მერე ამსხვრევენ სათამაშოებს.

ზოგიერთი გიზიდავს, ამიტომაც ისინი უყვართ,
მათ იციან, რა არის ორგაზმი.
მაგრამ რამდენია დაღლილი, რომელსაც არაფერი აქვს
დასამალი,
თვით ფანტაზიებიც კი.

მხოლოდ სიმარტოვე შემორჩენიათ და გახსენება
ქალების ურცხვი აღტყინებისა;
მხოლოდ ეს ერთი სწამთ: “საჩემო საქმე არ არის“, –
პატარა ბნელი დრამა.

ისინი მოკვდებიან, ამაში დარწმუნებული ვარ,
იმედგაცრუებულები,
ლირიკული ილუზიების გარეშე;
გულის სიღრმეში სძულთ საკუთარი თავი,
ეს თავისით მოდის, მექანიკურად.

მივმართავ ყველას, ვისაც არასოდეს ჰყვარებია,
ყველას, ვინც არავის არასოდეს მოსწონებია,
რადგან არასოდეს ფლობდნენ თავის მოწონების ხელოვნებას,
მივმართავ იმათ, ვინც შორსაა თავისუფალი სექსისგან,
ჩვეულებრივი სიამოვნებისგან.

ნურაფრის გეშინიათ, არაფერი დაგიკარგავთ:
სიყვარული არსად არ არსებობს.
ეს მხოლოდ სასტიკი თამაშია, მსხვერპლი კი თქვენ ხართ,
გარწმუნებთ, სპეციალისტების თამაშია, სხვა არაფერი.

* * * (პატარა პრიალა საგნები...)

პატარა პრიალა საგნები
მეტყველებენ არყოფნაზე...
სამზარეულოში, გულშეძრული
ველი შენს გამოჩენას,

საწოლზე ფეხმორთხმულო
თანამგზავრო, ჩემო ბოროტო ნაწილო,
ჩვენ ვათენებთ საშინელ ღამეებს,
შენ მე შიშს მგვრი... და მაინც მიყვარხარ.
შაბათს, ნაშუადღევს,
მარტო დავეხეტები ბულვარის ხმაურში...
საკუთარ თავს ვესაუბრები. რას ვეუბნები?
“სიცოცხლე... ისიც იშვიათად, მხოლოდ იშვიათად...”

* * * (როგორც მიწიდან ამოგლეჯილი...)

როგორც მიწიდან ამოგლეჯილი
სიმინდის ღერო,
ან ზღვისგან დავიწყებული ძველი ნიჟარა,
სიცოცხლის გვერდით მიგდებული...

მიცქერ შენ, ვინც გაბედე და შემიყვარე.
წამო, გზას გავუდგეთ,
მსურს, ვიპოვო ღამის ნაფეხურები...

* * * (ყალბი სიხარულის ნაშუადღევი...)

ყალბი სიხარულის ნაშუადღევი,
ერთმანეთს დაშორებული სხეულები...
შენ მე აღარ მისურვებ.
ჩვენი თვალებიც თანამზრახველები აღარ არიან.

ო, განშორება, ო, სიკვდილი.
ჩვენ ერთმანეთს მზერა ვუსწორეთ:
ჩვენს თვალებში ნელი განშორება სხეულებისა.
ზაფხულის ამ მშვენიერ ნაშუადღევს.

* * * (**რატომ არ შეიძლება ოდესმე...**)

რატომ არ შეიძლება ოდესმე,
ოდესმე,
ვინმემ შეგვიყვაროს?

* * * (დავიწყების გრძელი ძაფი იშლება...)

დავიწყების გრძელი ძაფი იშლება
მერე იქსოვება გარდაუვალად
ყვირილი, ტირილი, ჩივილი...
თავს ვაღწევ ძილს, ვგრძნობ სიცოცხლეს,
რომელიც მისრიალებს, როგორც დიდი თეთრი გემი,
მშვიდი და მიუწვდომელი.

* * * (ვენეციის ქუჩებში მავალი...)

ვენეციის ქუჩებში მავალი,
იმ საღამოს შენზე ვფიქრობდი, ლიზ.
მინდოდა მოვარაყებული საკურთხევლის წინ
დაგვეწერა ჯვარი.

ადამიანები მიდიან, ერთმანეთს შორდებიან,
სურთ უფრო სწრაფად განვლონ ცხოვრება.
მე კი დავბერდი, სული დამიმძიმდა.
ამქვეყნად სხვა არაფერია, თუ არა სიყვარული.

* * * (სიცოცხლემოწყურებულო ადამიანო...)

სიცოცხლემოწყურებულო ადამიანო,
შეიცან შენი შემოქმედი.
ღამის შუაგულში ვარ
და ძგერს გული ჩემი.

* * * (საკუთარი ბავშვების სურათები...)

საკუთარი ბავშვების სურათები, –
ეს ერთადერთი უპირობო სიყვარულია.
და მაინც, ერთ დღეს ხომ უნდა მოვკვდეთ...
ზეცაში შეხვედრამდე!

* * * (სექსსა და ადამიანების ურთიერთობებზე მელაპარაკებოდი...)

სექსსა და ადამიანების ურთიერთობებზე
მელაპარაკებოდი.
მაცოდინა, მართალს ამბობდი? ჩვენ გარშემო ხმაური იყო;
პირიდან სიტყვები გადმოგდიოდა. მატარებელი გვირაბში
შევიდა.
მოგვიანებით, მსუბუქი შიშინით ვაგონის ნათურები აინთო.
მე
მძულდა შენი დაპლისული ქვედაბოლო, შენი
ფერუმარილით ალაპლაპებული სახე და იყავი ისეთივე
მომაბეზრებელი, როგორიც სიცოცხლე.

სიცივის შეგრძნება

დილა იყო მჭვირვალე და სრულიად მშვენიერი;
შენ გსურდა დაგეცვა საკუთარი დამოუკიდებლობა.
გელოდებოდი და თვალს ვადევნებდი ფრინველთა ფრენას...
რაც არ უნდა მოვიმოქმედოთ, მუდამ იარსებებს ტანჯვა.

* * * (სიმარტოვის აშკარა ორპირობა...)

სიმარტოვის აშკარა ორპირობა. ვუყურებ მაგიდის გარშემო
შემოკრებილ ჭკუადალაგებულ
ბებრუხანებს, ათნი თუ იქნებიან. შემიძლია დავითვალო და
ამით გავერთო. დარწმუნებული
ვარ, სულ მცირე, ათნი არიან... და ფრიიი! რომ შემეძლოს
ავფრინდე, ცაში ავიჭრა, ახლავე,
მყისვე!.. ყველანი ერთდროულად ლაპარაკობენ,
ერთმანეთს სიტყვას პირიდან სტაცებენ,
ბგერათა კაკაფონია, რამდენიმე მარცვალს თუ
გამოარჩევ...
ღმერთო ჩემო! რაოდენ ძნელია სამყაროსთან შერიგება.
დავითვალე, თორმეტნი არიან... მოციქულთა მსგავსად. ვინ
იცის, იქნებ, კაფეს მიმტანი მათი ქრისტეა?
ერთი, მაისური ხომ არ ვიყიდო, წარწერით “იესო”?

პარასკევი, 11 მარტი, 18 სთ 15 წთ.

სასტუმროს ოთახში, საწოლზე ვარ გართხმული. სიარულით დაღლილ კუნთებს სასიამოვნო სითბო ელამუნება და მეც ვისვენებ.
დასავლელი, მგრძნობიარე, პრიმიტიული, მე მართლაც ვერ ვიგუებ ბუდიზმს (იმას, რასაც ის გულისხმობს: ინტელექტით მართულ, სხეულის, მისი რეაქციებისა და ამ რეაქციების მისტიკური და პრაქტიკული გამოყენების დაჟინებულ, თითქმის მეცნიერულ კვლევას).
სხვაგვარად რომ ვთქვა, ვრჩები ზეცაში აჭრის სურვილით აღფრთოვანებულ რომანტიკოსად (სხეულს დაცილებული წმინდა სულის ზეცად აღვლენა, წმინდა სპირიტუალისტური ზესვლა). მწამს სისპეტაკისა და უბიწოებისა, მჯერა ცრემლებისა და გულიდან მომდინარე ლოცვისა. ბუდიზმი გონისმიერი, უფრორე შედეგზე მიმართული მოძღვრებაა. მიუხედავად ამისა, მის მხარეს ვერ დავდგები.
კუნთები ისვენებენ, მე კი, საწოლზე გართხმული, მზად ვარ, როგორც ერთ დროს, სიყმაწვილეში, გული და გრძნობები გადაგიშალოთ.

* * * (მართალია, რომ სამყარო...)

მართალია, რომ სამყარო, რომელშიც ესოდენ გვიჭირს სუნთქვა,
არას შთაგვაგონებს ზიზღისა და
უკანმოუხედავად გაქცევის გარდა.
და ჩვენ აღარ ვკითხულობთ გაზეთის სათაურებს.

გვსურს, დავუბრუნდეთ ძველ საცხოვრისს,
სადაც ჩვენი მამები ბინადრობდნენ, მთავარანგელოზის ფრთებს შეფარებულნი.
გვსურს, მოვიხვეჭოთ უცნაური ზნეობა,
რომელიც გვასწავლიდა, გვეცხოვრა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

გვსურს, მოვიპოვოთ რაღაც ერთგულების მსგავსი,
რაც ემსგავსება ნაზ ალერსს,
რაღაც, რაც გადაასწრებს და აგრძელებს არსებობას...
აღარ ძალგვიძს ვიცხოვროთ მარადისობიდან შორს.

* * * (ღრუბლების ნაზი, დახვეწილი მოხაზულობა...)

ღრუბლების ნაზი, დახვეწილი მოხაზულობა
ხეების უკან ინავლება;
...და უცებ, სიჩუმე, რომელიც წინ უსწრებს ქარიშხალს...
რა ლამაზია ზეცა, მარმარილოსებრ ჰერმეტული...

ვარიაცია 32

პლაჟის კიდეზე ორი მწოლიარე შიშველი მამაკაცი...
და სიცოცხლე ხაზავს უცნაურ ხაზებს მათ სხეულებზე.
ისინი აქ არიან, ესოდენ უბიწონი და ესოდენ მშვიდნი.
დროდადრო ზღვის მოქცევა გადაუვლის ცხელ სხეულებს,

ორი დიდი ზვიგენი გარს უვლის მკვდარი თევზის ჩონჩხს,
უცოდველი მზე მკვდარ თვალებს …სარდონიკულ ნათებას მატებს...
დიდი არაფერი, მაგრამ რა საშინელი დეკორაციაა...
თოლიები კი, ფრთების შუილით, წრეებს ხაზავენ!

* * * (მთვარის ნაკვალევი ბნელ ცაზე...)

მთვარის ნაკვალევი ბნელ ცაზე...
მარტოსული ვარსკვლავი ობლად ანათებს
და ემზადება შორეული ევქარისტიისთვის.

თითოეული ჩვენგანის ბედი სხვებისას ჰგავს,
ერთნაირად შეშფოთებული,
ერთნაირად უძრავი...

და ჩვენ მივიჩქარით, მერწმუნეთ,
უცნაური განთიადებისკენ.

* * * (ნელა მივიწევდით...)

ნელა მივიწევდით, ცრემლებით გარემოცული,
ფიქტიური სასახლეებისკენ.
ლაჟვარდი იზიდებოდა, როგორც ძაფს გამობმული ბუშტი;
მამაკაცებს იარაღი ესხათ.

* * * (სისხლის გუბე, ზიზღის გუბე...)

სისხლის გუბე, ზიზღის გუბე...
რამ შეყარა ბრბო?
ეს ადამიანური საზოგადოებაა.
პარიზზე ეშვება მწუხარე ღამე.

იმ დროს, როდესაც ლაჟვარდში
ადამიანები თვალს აყოლებენ ევრორაკეტების ფრენას.
მოხუცი მეცნიერი ჩასჩერებია
გადაშენებული ცხოველების ძვლებს.

დინოზავრებო, ძვირფასო დინოზავრებო,
რას ხედავენ თქვენი ბრიყვული, დიდი თვალები?
თქვენს ჭაობებშიც
სამკვდრო-სასიცოცხლო ომები იმართებოდა?

იყო ოდესმე "ოქროს ხანა" და
ბუნების კეთილი კანონები?
მიპასუხეთ, სათნო დინოზავრებო:
რად არის ცხოვრება ესოდენ სასტიკი?

ვერონიკა

სახლი ვარდისფერი იყო, ლურჯი დარაბებით,
ღამის სიბნელეში ვხედავდი შენს სახეს.
განთიადი ახლოვდებოდა, ცოტა არ იყოს, ვღელავდი.
ღრუბლების ტბაში ცურავდა მთვარე

და შენი ხელები ხატავდნენ უჩინარ სივრცეს,
რომელშიც მოძრაობდა და განივრცებოდა ჩემი სხეული.
და მე მოვდიოდი შენკენ,
შენ კი იყავი ესოდენ ახლო და ესოდენ მიუწვდომელი.
მე მოვდიოდი აგონიაში მყოფი კაცივით,
რომელიც სიკვდილისკენ მიხოხავს.

უცებ, თეთრად იფეთქა და ყოველივემ სახე იცვალა.
ახალ სამეფოზე დიდებული მზე ამობრწყინდა.
თითქმის ცხელოდა და კვირადღე იდგა.
ჰარმონია ჰაერში განიღვრებოდა.

შენს თვალებში უცნობი სითბო ამოვიკითხე
და უცებ შევიქენ ბედნიერი ჩემს პატარა ნიშში,
ეს იყო ფაქიზი სიზმარი და თან, ნათელი,
შენ იყავ ჩემი სატრფო, მე კი შენი ციცქნა ლეკვი.

ქალიშვილი

შავგვრემანი ქალიშვილი, მკაცრად შეკრული ტუჩებით,
რომელსაც ყველანი ვიცნობთ, თუმც კი
სიზმარში თუ შევხვედრივართ,
ხეშეში თითებით ჩქმეტს ჩვენი
მუცლებიდან გადმოყრილ ნაწლავებს.

* * * (სწრაფ ბილიკს გავუყევით...)

სწრაფ ბილიკს გავუყევით
დამრეცზე, დიდი ხვლიკები
ბრმა მზერას შეავლებდნენ
ჩვენს მჭვირვალე გვამებს.

ძარღვების მგრძნობიარე ქსელი
გადაურჩა სხეულის სიკვდილს,
მე მწამს ხარების
და მიახლოებითი ბედის.

საკუთარი თავის ზუსტი შეცნობა
სიმარტოვეში მიინავლება.
გვიახლოვდება უსასრულობა...
და ჩვენც ვიქნებით ღმერთები, ვიქნებით მეფეები.

* * * (ჭარხლის ველზე მაღალი ბოძები თეთრად ელავენ...)

ჭარხლის ველზე მაღალი ბოძები თეთრად ელავენ,
საკუთარი თავი გვეუცხოება,
მშვიდად ვართ. წვიმის წვეთები უხმაუროდ ეცემა,
როგორც მათხოვრის ქუდში ჩაგდებული წვრილი ფული.
შეკავებული სუნთქვა დილის ზეცაში უცნაურ ფიგურებს
ხატავს.

და ჩვენს გულებში ფეთქავს ჯერ კიდევ შეუცნობელი
ყოფიერება,
ვითარც გამოცხადება.
ერთში კი დარწმუნებული ვარ:
ცივილიზაციიდან ნანგრევები დარჩა.

* * * (ველოდებოდით, გულმშვიდნი...)

ველოდებოდით, გულმშვიდნი, მარტონი, თეთრ ასაფრენ ბილიკთან;
ვიღაც აფრიკელი ჩანთაში ალაგებდა უბრალო ნივთებს,
უდაბნოდან ძალიან შორს ეძიებდა საკუთარ ბედს,
მე კი სამაგიეროს გადახდის თავიც არ მქონდა.

ღრუბლების გულგრილობა
ჩვენს სიმარტოვესთან გვაბრუნებს,
უცებ, წლების ტვირთი ქრება
და ჩვენ ცაში ავიჭრებით.

როდესაც გაუჩინარდება ხელშესახები ილუზიები,
მარტონი ვრჩებით, მეგობრებო, საკუთარ თავთან
პირისპირ მდგომნი.
როს ჩვენი სხეული უკიდურეს ზღვარს მიუახლოვდება,
შემაძრწუნებელი უძრაობის წუთებს შევიცნობთ.

ზღვის სიმშვიდე
სიცოცხლის ჟინს მოიტანს.
მზესა და იდუმალებას დაშორებული,
შევეცდები ფეხი აგიწყო.

ნიზარ კაბანი

სიყვარულის წიგნი

არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ

(ფრაგმენტები)

ნიზარ კაბანი (1923-1998) მეოცე საუკუნის გამოჩენილი არაბი პოეტი, "სიყვარულის მგზნებარე მომღერალი" დაიბადა სირიაში, ძველ არისტოკრატულ და კულტურული ტრადიციებით ცნობილ ოჯახში. დაამთავრა დამასკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ჰქონდა ბრწყინვალე დიპლომატიური კარიერა. სხვადასხვა დროს მუშაობდა სირიის საელჩოში ეგვიპტეში, თურქეთში, ლიბანში, დიდ ბრიტანეთში, ჩინეთსა და ესპანეთში. დიპლომატიური კარიერის დასრულების შემდეგ იგი ლიბანში, ბეირუთში დაფუძნდა და დააარსა გამომცემლობა "მანშურათ ნიზარ კაბბანი". გარდაიცვალა ლონდონში, გულის შეტევით, 75 წლის ასაკში. ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი გადაასვენეს და დაკრძალეს სირიაში, ბაბ საღირის სასაფლაოზე.

1.

ვიდრე შენ ჩემი სიყვარული ხარ,
მრეშო ბეღურავ,
ესე იგი,
ღმერთიც... ცაშია...

2.

მეკითხება ჩემი მიჯნური:
რით განვსხვავდებით ერთმანეთისგან მე და ზეცაო?
განსხვავება მხოლოდ ისაა,

რომ როდესაც შენ იცინი,
ცა მავიწყდება...

3.

სიყვარული, ჩემო მიჯნურო,
მთვარეზე დაწერილი ლამაზი კასიდაა,
სიყვარული მიხატულია ყველა ფოთოლზე,
ამოტვიფრული ბეღურების ბუმბულებსა და
წვიმის წვეთებზე...

4.

როცა გავები სიყვარულში,
მე შევიცვალე,
შეიცვალა უფლის მთელი საბრძანებელიც:
განთიადს სძინავს
ჩემს საწვიმარში
და მზე ამოდის დასავლეთიდან...

5.

უფალო, ჩემი გული არ მყოფნის,
რომ შევიყვარო,
ჩამიდგი მკერდში ეს კი არა, კიდევ სხვა გული,
რომლის სივრცეც
ქვეყანას იტევს...

6.

რომ ამოვიდეს
ბოთლიდან ჯინი
და მითხრას:
აჰა, გემორჩილები!
ერთი წუთი გაქვს, რომ აირჩიო
ყოველივე, რაც კი გწადია,

იაგუნდის და ზურმუხტის მბრწყინავ ზოდთაგან.
მე უყოყმანოდ მაგ შენს თვალებს ამოვირჩევდი...

7.

გამუდმებით მეკითხები,
როდისა მაქვს დაბადების დღე.
ჩაიწერე მაშინ შენთვის ის, რაც არ იცი:
მე დავიბადე იმ დღეს, როცა
შენ შემიყვარდი.

8.

შავთვალავ,
მწვიმარ, გადაწმენდილთვალებიანო,
არაფერს ვითხოვ არასოდეს ჩემი უფლისგან
გარდა მხოლოდ ორი რამისა:
რომ დაიცვას ეგ ორი თვალი
და მიუმატოს ჩემი სიცოცხლის დღეებს ორი დღე,
რათა მაგ ორ მარგალიტზე
ლექსი დავწერო...

9.

ჩემო მიჯნურო,
ჩემი სიშლეგის ზღვარზე რომ იდგე,
გადაყრიდი ყველა სამკაულს, რაც გაბადია,
გაყიდდი შენს ყველა სამაჯურს
და ჩემს თვალებში ჩაიძინებდი.

10.

ზეცას შევჩივი შენზე,
აჰა, შევჩივი ზეცას:
როგორ შეძელი,
რომ შენს თავში შემოგეკრიბა
ყველა ქალი, ვინც კი არის ამ სამყაროში...

11.

და რადგანაც დაიხოცნენ ლექსიკონების სიტყვები,
რადგან დაიხოცნენ სამკითხველოთა სიტყვები,
რადგან დაიხოცნენ რომანთა სიტყვები,
მინდა, აღმოვაჩინო სიყვარულის ისეთი ხერხი,
როცა ისე მეყვარებოდი, უსიტყვებოდაც...

12.

მე მათთვის შენზე არაფერი მიცნობებია,
მაგრამ მათ შენ შეგამჩნიეს,
ჩემი თვალების ფოსოებში
რომ ბანაობდი...
მე მათთან შენზე არასოდეს მისაუბრია,
მაგრამ მათ შენ წაგიკითხეს
ჩემს მელანში და ჩემს ფურცლებში...
სიყვარული გამოსცემს სურნელს...
არ შეგვიძლია,
რომ სურნელებას არ აფრქვევდნენ
ატმის ბაღები...

13.

არ მწადია, რომ როგორც სხვებს, ისე მიყვარდეს,
არ მწადია, როგორც სხვებმა, მეც ისე ვწერო...
მინდა, რომ ჩემი ენა-პირი იყოს ტაძარი,
და სიტყვები ზარებივით მომწკრიალებდეს...

14.

ჩავადნე შენს ვნებაში კალმები:
ცისფერი,
წითელი,
მწვანე,
ვიდრე სიტყვები ჩამოთავდა...

და ჩემი შენდამი ტრფობა
მტრედს ყელსაბამად ჩამოეკიდა.
არ ვიცოდი,
ჩემო მიჯნურო,
რომ თურმე ვნებაც
ისე მიფრინავს ჩვენგან, ვით მტრედი...

15.

ხელის თითებზე ვითვლი
იმას, რაც უნდა მოვიდეს:
პირველი: შენ ხარ ჩემი მიჯნური...
მეორე: შენ ხარ ჩემი მიჯნური,
მესამე: შენ ხარ ჩემი მიჯნური
მეოთხე და მეხუთე
და მეექვსე და მეშვიდე,
მერვე და მეცხრე
და მეათე... მიჯნური შენ ხარ!

16.

შენი სიყვარული, ჩემო ღრმათვალებავ,
გვერდს უქცევს
და ხელიდან უსხლტება
მონობას.
შენი სიყვარული
დაბადებასავით,
და სიკვდილივით არის.
რომ განმეორდეს,
შეუძლებელია.

17.

ოცი ათასი ქალი შევიყვარე,
ოცი ათასი ქალი გამოვცადე,

და როდესაც შენ შეგეყარე,
ჩემო საყვარელო,
ვიგრძენი აი, ახლა დამიწყია...

18.

მთვარეზე დავჯავშნე ოთახი ორისათვის:
იქ გავატაროთ კვირის უქმეები, ჩემო საყვარელო!
მსოფლიოს სასტუმროები მე არ მომწონს,
სასტუმრო, სადაც გაჩერება მიყვარს, მთვარეზეა.
მაგრამ იქ ისინი, ჩემო საყვარელო,
არ იღებენ მამაკაცს - უქალოდ.
ჩემო მთვარევ,
აბა, მითხარ:
მთვარეზე წამომყვები?

19.

ვერსად გამექცევი,
მე ვარ კაცი,
რომელიც ბედისწერამ მოგისაჯა.
თავს ჩემგან ვერ დაიხსნი...
რადგან შენთან ღმერთმა გამომგზავნა...
თუ ერთხელ შენი ყურების კურდღლებიდან წამოვხტები,
მეორედ გამოვკრთები შენი ხელების ფირუზის
სამაჯურებიდან...
ზაფხული რომ მოვა,
თევზივით
შენი თვალების ტბებში ვიცურავებ...

20.

რომ გაიხსენო ყველა სიტყვა, რაც
ორ წელში მითქვამს,
რომ გავხსნა ათასი ბარათი,

რომელიც
ორ წელში დავწერე...
ვიყავით ვნების ცისკიდეებზე,
ვფრენდით, როგორც ორი გვრიტი
და ერთი ბეჭედი შენს მარცხენა თითზე
ორ ბეჭდად
იქცა...

21.

რატომ? რატომ? მას მერე, რაც ჩემს სატრფოდ იქეცი,
ანათებს ჩემი მელანი და ბალახივით იზრდებიან
ჩემი რვეულები.
შეიცვალნენ საგნები, რაც შენ შემიყვარე
და ბავშვებივით გავხდი,
და მზეს ვეთამაშები...
მე არა ვარ მოციქული, ღვთის წარგზავნილი,
მაგრამ
მოციქული ვხდები,
როცა ვწერ შენზე...

22.

ჩემს ხელისგულზე
შენ ისე ხარ ამოკვეთილი,
როგორც ქუფური ხელნაწერის ხაზები –
მეჩეთის კედელზე.
ამოკვეთილი ხარ
ტახტრევანის ფიცარზე, ჩემო შეყვარებულო,
სავარძელის სახელურებზე
და ყოველთვის,
როცა შეეცდები,
რომ წუთით გამშორდე,
გხედავ

ჩემი ხელისგულის
ჩაღრმავებაში...

23.

ნუ დაღონდები
თუკი მთვარის ზედაპირზე
ეშვებიან
მეცნიერები...
შენ ჩემ თვალში
მუდამ
უტკბესი მთვარე
დარჩები...

24.

როცა შეყვარებული ვარ,
ვგრძნობ, რომ მე ვარ
ჟამის მეუფე,
ვფლობ ქვეყანას და ყველაფერს, რაც კი მასშია
და ჩემს ციხე-სიმაგრეში
მზეს მივუძღვები.

25.

როცა შეყვარებული ვარ,
სპარსთა ხელმწიფეს მსახურად ვიხდი,
ჩინთა მეფეს ვუმონებ ჩემს კვერთხს,
ზღვებს ადგილს ვუცვლი
და თუ მომინდა,
წამებს ვაჩერებ...

26.

როცა შეყვარებული ვარ,
თხევადი სინათლე ვხდები.
არ შეუძლია თვალს, რომ მიხილოს,

და რვეულებში ჩემი ლექსები
მიმოზების და გვირილების
მინდვრები
ხდება.

27.

როცა შეყვარებული ვარ,
მოჟონავს წყალი
ჩემი თითებიდან და
ენაზე
ბალახი ამომდის,
როცა შეყვარებული ვარ,
ჟამის გარე ჟამად
ვიქცევი...

29.

ჩემო მიჯნურო,
როგორ შეცდი ჩემს გაგებაში:
არ მაწუხებს კომპლექსი.
არ ვარ
ოიდიპოსი ოცნებებსა და ფარულ ვნებებში,
მაგრამ ყოველი ქალი,
რომელიც კი შემიყვარდა,
მოვინდომე,
რომ მქცეოდა
სატრფოდ და დედად.
მთელი გულით მწადია,
რომ ჩემს დედად იქცე.

30.

სიმართლეა ყველაფერი, რაც ჩემზე უთქვამთ
სიმართლეა, რაც სიყვარულსა

და ქალებში
ჩემს სახელზე უთქვამთ,
მაგრამ ის კი არ იციან,
რომ სიყვარულში
სისხლად ვიცლები
იესოსავით.

32.

შენი თვალები
მაგონებენ
წვიმიან ღამეს,
რომელშიაც დაიღუპნენ ჩემი გემები...
დავიწყებას მიეცნენ ჩემი ნაწერები.
ჭეშმარიტად, არ აქვთ სარკეებს მეხსიერება.

33.

ქარს დავაწერე ის სახელი,
რომელიც მიყვარს...
წყალს დავაწერე...
და არ ვიცოდი,
რომ ქარს გულით სმენა არ ძალუძს
და არ ვიცოდი:
ვერ იმახსოვრებს
სახელებს
წყალი...

37.

ყველაზე უფრო წარმტაცი,
რაც ჩვენს სიყვარულშია,
არის ის, რომ
მას არც გონი აქვს და არც ლოგიკა.
ყველაზე უფრო ლამაზი,

რაც ჩვენს სიყვარულშია,
არის ის, რომ
წყალზე დადის
და არ იძირება...

38.

ყოველთვის როცა ვმოგზაურობ მე შენს თვალებში,
ასე მგონია,
რომ ჯადოსნურ ხალიჩაზე ვარ
და თავს ზემოთ ვარდისფერი ღრუბელი მაკრავს,
რომელსაც მერე იისფერი ღრუბელი მოსდევს...
მე შენს თვალებში ვბრუნავ, ვბრუნავ, ჩემო მიჯნურო
ვბრუნავ,
როგორც
ეს დედამიწა...

44.

შიშვლდები და დიდი ხანია,
დედამიწაზე არ მომხდარა სასწაულები..
შიშვლდები... შიშვლდები
მე მუნჯი ვარ
და შენმა ტანმა
ყველა ენა
ბრწყინვალედ იცის...

არაბულიდან თარგმნა
გიორგი ლობჟანიძემ

ტონუს ოსტერჰოფი

ჰოლანდიურიდან თარგმნეს დავით ღოლიჯაშვილმა და ზვიად რატიანმა

პოეტი, პროზაიკოსი და ესეისტი. დაიბადა 1953 წელს. სწავლობდა ჰოლანდიურ ლიტერატურას და ლინგვისტიკას გრონინგენის უნივერსიტეტში. ლიტერატურული ტექსტების გამოქვეყნებამდე ანონიმურად წერდა მოთხრობებს ჟურნალისთვის „Mijn Geheim“.

ოსტერჰოფი ჟანრში „ლექსები მოძრაობაში“ პიონერად ითვლება, როგორც თავის ქვეყანაში, ასევე მსოფლიოში. 2005 წელს მიწვეული იყო გრონინგენის უნივერსიტეტში საპატიო სტუმარ-მწერლად. სადებიუტო პოეტური კრებულისთვის „ვეფხვი ფერმიდან“ (1990) ოსტერჰოფს კორნელის ბუდინგის პრემია გადაეცა. მას შემდეგ პოეტს მრავალი ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი – პ.კ. ჰოოპტის პრემია პოეტური შემოქმედებისთვის 2012 წელს.

2018 წელს იყო თბილისის მეოთხე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მონაწილე.

* * * (შემდეგ მათ მითხრეს...)

შემდეგ მათ მითხრეს, ჩემი ტვინის უჯრედებმა:
ამ წერილში რაღაც არ გვესმის.
იქნებ ისეთ ენაზეა დაწერილი, ჩვენ რომ არ ვიცით?
არა, არ არის იმ ენაზე, ჩვენ რომ არ ვიცით.
იქნებ ისეთ საკითხზეა, რომლის შესახებ არაფერი გაგვეგება?
არა, ამ საკითხს კარგად ვიცნობთ და კიდევაც გვაინტერესებს.
მაშინ სიტყვების ფოსოები რატომაა ცარიელი?

თხრილებსა და ორმოებში დასანგრული კავშირები ელოდებიან ჟურნალის დახურვას. მე სათვალე გავიკეთე, რათა დამფრთხალი მტრედებისგან თავი დავიცვა. ნათელი ფრაზები არასდროს იძვრიან. სამაგიეროდ – გამუდმებით მოძრაობენ გაუგებარი წინადადებები.

სასუფევლამდე მიგაცილეთ, ახლა შენით უნდა იარო.

* * * (მე შევესწარი...)

მე შევესწარი,
მწვანე ხეო, ო, მწვანე ხეო,
როგორ დაიწყო მგალობელმა ქვების სროლა
გამრუდებული სამყაროს ბზარიდან.
მე ასევე შევესწარი
ქვას და მანძილს, რომელიც დაფარა.

* * * (საშიშია დოკში მუშაობა...)

საშიშია დოკში მუშაობა. სახიფათოა სიცოცხლისთვის, თუ ჩაგეძინა.
კაცებს მიაქვთ ბარაკებში ძილისაგან დამცავი აბები.
ისევ გაიპო სახურავი: გათენებულა. დაუბრუნდით თქვენ-თქვენ გემბანებს.
სქელ ფარდებს მიღმა ცხადს ჰგვანან სიზმრები
და ძილს უფრთხობენ ჩინეთის მმართველებს.
კარგად არავის სძინებია, რაც გაგიცანი.
ღამეში წვანან ორნი ერთად და სახეების შავი ბრწყინვა აგრძნობინებთ, რომ ერთმანეთს მისჩერებიან.
“უნდა დავშორდეთ”. ერთმანეთის გამოხედვას ვერ ხედავენ, მაგრამ ხვდებიან.
“აკი ვშორდებით”. საბრალო შეყვარებულები ერთურთის ფიქრებში.
ვიღაცის ტანს მიათრევენ საშიშ ბილიკზე
სხვა სამყაროსკენ. წამდაუწუმ ელდა აღვიძებს.
რომ დალიოს, რომ გავიდეს მოსაფსმელად, რომ მოიფხანოს.
ეს ტკივილია? თუ სტრესია? ადრე, გადაბრუნებული, მყისიერად ვიძინებდი. მაგრამ ახლა, როცა უკვე ვიცი პასუხი,
დასასრულის დასაწყისი, ისღა მრჩება, რომ ახლიდან ვისწავლო ცურვა.
კარგად არავის სძინებია, რაც გაგიცანი.
ხვრელი ფართოვდება, იზრდება სიბნელე.
ვინ, ჩინეთის მმართველებო, ვინ იცის, რამდენი ათასწლოვანი ბრძოლა გაილევა,
ვიდრე ახალი დღე მშვიდობით ჩაქრება?
ბეჭდით განმტკიცებულია დასასრული დასაწყისისა.

თეთრად მოპირკეთებული დერეფანი უსასრულოა.
შენი სახელით დაიწყო კვირადღე,
რომელიც კეგლის სვეტივით წაიქცა.
მოდი, შეშლილო, დატრიალდი, და კიდევ ერთხელ
დატრიალდი.
საშიშია დოკში მუშაობა. არცერთ გემს არ შეუწირავს
ერთი სიცოცხლეც. ბოსი იგინება.
ნათესავები ჩამოვიდნენ. შრომა გრძელდება.

* * * (ჩიტს უყვარს სიმღერა...)

ჩიტს უყვარს სიმღერა. რ-ს უყვარს სიმღერა. ყელის ტკივილით გაღვიძებული, გაუჩერებლად ლაპარაკობს მათ გასაგონად, ვისაც ამის მოსმენა უნდა (თუმცა სახლში არავინაა): “როგორც აღმოჩნდა, ყელის კიბო აქვს! თურმე ყელის კიბო ჰქონია! ყელის კიბო! სწორედ ასე, ყელის კიბო! როგორი ახალგაზრდაა და – ყელის კიბო. ბედი არ გინდა? – ყელის კიბო. წარმოიდგენდი? – ყელის კიბო. და კიდევ კარგი – ყელის კიბო. მაინცდამაინც ყელის კიბო. რას მეუბნებით, ყელის კიბო? ვინ იფიქრებდა, რომ პირველი ის იქნებოდა. არა. ამას ვინ იფიქრებდა! არც ეწეოდა და არც რამე. არა, განა საყლაპავის, ყელის კიბო! რამხელა უბედურებაა! რამხელა უბედურებაა ახლობლებისთვის. უბედურება მშობლებისთვის. ალბათ რა დღეში იქნებიან. ანდა რა არის გასაკვირი. თან როგორ მღეროდა. უცნაური ხმა. მაგრამ ტკბილი. ახლა ვხვდები, რატომ იყო უცნაური, მაგრამ უკვე გვიანია. ყელის კიბო, წარმოიდგენდი? ყელის კიბო! მთელი ის ხანი ყელით კიბოს ატარებდა. მაინც ჯიუტად მუშაობდა. მუდამ დაღლილი, და თურმე რატომ. ახლა ვხვდები. ყელის კიბო აწვებოდა მკერდის ძვლებზე. როგორ მითხარი, ყელის კიბო? დიახ, ყელის! დიახაც, კიბო!
და ასე შემდეგ. როგორც ჩიტი. ჩიტის სიმღერა.

* * * (დასაძინებლად ადრე დავწექით...)

დასაძინებლად ადრე დავწექით, უმოკლესი ღამე,
უგრძელესი დღე.
შასტა მერლინმა, სპამ-ზვიგენმა, მომწერა წერილი.

უგრძელესი დღე. გაზაფხულისგან შუშდება ბუნება:
კენდი, დედა-იხვი, თოლიების შემოსევისას, კარგავს
ექვს ჭუკს. დარჩა ერთი, და ისიც – ქარიყლაპიას წილი.
დასაძინებლად ადრე დავწექით, მზის სხივები ატანდა
ფარდებში.
ამჯერადაც ვერაფერი მოვახერხეთ. ნეტავ რამდენი უნდა
იარო, რათა ოდნავ მიუახლოვდე?
ისევ თენდება.

საქორწინო სარეცლიდან წამოხტება ყმაწვილი სიძე,
ცეკვით გარეშემო უვლის კარავს, რომელიც ზეციურმა
მამამ გაუშალა.
მთელი დღე ფეხზე ყოფნით დაღლილი, ღამით ბიჭი
ძიძასთან წვება.
მზის პირველ სხივზე წამოხტა სიძე
სარეცლიდან, და დედამიწის ბრუნვას აჰყვა.

ძიძის ჩურჩული,
მოგუდული საუბარი, ნამდვილი ცოდნა.
ყელიდან სიმებამოცლილი საჭურისი, ღირსეული
განმკარგველი საზომი ლენტის.
დღე უყვება ამას ღამეს, ღამე ჩურჩულებს.

თუ შასტამ წერა არ განაგრძო, ფსკერზე დაეშვება.
ოღონდ პირდაპირ უნდა წეროს, არ მიედ-მოედოს:
“რით არ მოგბეზრდათ ფულის ხარჯვა, რათა პენისი
გაიზარდოთ, და ბოლოს მაინც

ის არ იყოს, რასაც ელოდით? ჩვენი ჯადოსნური აბების
წყალობით მიიღებთ
დამსახურებულ სიგრძეს.
აი, ეს ფრაზა, დაწერილი უცნაურ ენაზე, სწორედ ჩემზეა,
უცნაურ მეზე. მაინც რომელ
სიგრძეს ვიმსახურებ?

დღეს = ქენჯნას,
ქენჯნა ხვრეტს სამყაროს შავი ტყვიასავით,
არ ადარდებს, დღეა თუ ღამე.

ჩვენი ბრალია ყველაფერი, ჩვენ მოვახდინეთ.
მიზუზუნებს შავი ტყვია. დგას წარსულის ნედლი სუნი,
როგორც ნაავდრალზე.
ზედმეტად ფართო მანქანები მიგრუხუნობენ
ქვაფენილებზე,
რომ არ გამოაკლდნენ საშინელ მოვლენებს. ხოლო შემდეგ
წინა ფარებით
გაოცებული იხედებიან დაღუნული გრილებიდან.
ბრწყინავს ჯაბახანა,
ლაპლაპებს მზეში.

უაზროა ყველაფერი, რაც მოგეცა,
უაზროა, როგორც თმაში ჩაწნული ბაფთა.

* * * (ახლახან დავეცი (მე) დავეცი...)

ახლახან დავეცი (მე) დავეცი
დამპალ ფიცარზე ავსრიალდი
(მე) დავეხეთქე კარგად მაგრამ არასწორად
რაც იყო სწორი თუმცა კარგად
არაფერი მომიტეხავს
მოვიტეხე არაფერი

ყველა ბავშვი ვინც ოდესმე დაკარგულა
უცებ ჩემქვემოთ შემოცვივდა
ვიქეცი ტომრად გამხდარი ბავშვების
არ უნდა დავცემულიყავი

-
ყველა ბავშვი ვინც ოდესმე დაკარგულა
უცებ ჩემქვემოთ შემოცვივდა
ვიქეცი ტომრად გამხდარი ბავშვების
არ უნდა დავცემულიყავი

ჩვენ მინდვრები გავიარეთ
ზოგჯერ ზოგი იხრჩობოდა იძირებოდა
ხშირად არა, და ჩვენ არა

-
ჩვენ საძოვრები გავიარეთ
ზოგჯერ ზოგი იხრჩობოდა იძირებოდა
ხშირად არა, და ჩვენ არა

ღრუბლის ბელტები
ძლიერ ქარში
მდინარის თავზე
ღრუბლის ბელტები
ძლიერ ქარში

მდინარის თავზე
მცოცავი შეტევა

წყალზე ტივტივებს განზომილება
წყალში ეშვება ღუზა

-
ყინულის ბელტები ძლიერ ქარში
მდინარის თავზე. ძლიერ ქარში მდინარის თავზე.
ამაღამ წავალ
მთვარისაკენ
ღრუბლების გავლით.

ახლახან დავეცი (მე) დავეცი
დამპალ ფიცარზე ავსრიალდი
(მე) დავეხეთქე კარგად მაგრამ არასწორად
რაც იყო სწორი თუმცა კარგად
არაფერი მომიტეხავს

მოვიტეხე არაფერი

-
სკოლის სპორტული მოედანი ჩემ ზურგს უკან
მე ვიყავი ცელქი ბავშვი
კედელზე ზურგით მიტმასნილი

-
ახლახან დავეცი (მე) დავეცი
დამპალ ფიცარზე ავსრიალდი
(მე) დავეხეთქე კარგად მაგრამ არასწორად
რაც იყო სწორი თუმცა კარგად
არაფერი მომიტეხავს მაგრამ

ჩვენ მინდვრები გავიარეთ
ზოგჯერ ზოგი იხრჩობოდა იძირებოდა

ხშირად არა, და ჩვენ არა

მოკალი ფარდა

-
თავი დამძიმდა
დავეცი და წამოვდექი
მოვიტეხე არაფერი

-
დავეცი და ვერ წამოვდექი
მოვიტეხე არაფერი

-
დაეცა თუ არა მაშინვე წამოდგა

ეს-ესაა მოსული თოვლი მაშინვე წამოდგა
ეს-ესაა მოკლული ლომი მაშინვე წამოდგა
ქალი მშობიარობისას, კაფეს ძუ-ლომი,
წამოდგა, წავიდა

-
როგორ მძიმდება თავი
როგორ მძიმდება თავი
როგორ ყავისფრად ქაფდება ტვინი
სიტყვით გამოდის ღორი,

-
სჯობდა თავი გადამეკიდა
მხარზე, ვაი…

წყალში ეშვება ღუზა
წყალზე ტივტივებს განზომილება

-
მე ჩავებღაუჭე (რას) რაღაც თეთრს:
ყინულიდან ამოვიდა ბოცვერის თავი

ჩემი (რით) აზრით იმისათვის დავეშვი ქვემოთ
სამყარო ქვესკნელს ავარიდო

ეს მისიაა

ზამთრის მკაცრი მზე, მკაცრი შემთხვევა

-
წვიმა მიდის ქვემოდან ზემოთ, ათოვს ველებს
ბედნიერ ძველ წელს ვულოცავთ ერთმანეთს

-
ჩვენ მინდვრებში მივლასლასებდით
სიარულით მივფრინავდით, ურიკის სახელურებით მუჭებში
და გზადაგზა ვკლავდით
ფარდებს. ღრუბლის ბელტები

ქვემოთ ტივტივებდნენ განზომილებები

-
ფიცრები კი არა მოჯადოებული, დასჯილი ბავშვები
რადგან ერთ-ერთი თავისიანი გაიმეტეს დასახრჩობად
და ამაზე იცინოდნენ. ეს გააკეთეს.

ჯადო აიხსნა (გაიპო ყინული)

[1] ელე-მელე – ძველი საქართველოს ღვთაებები, ღმერთი დიონისო და ქალღმერთი არიადნე.

[2] ჰემოპოეზი – სისხლწარმოქმნა.